ლელო

№033 (12 410) 11 თებერვალი ორშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა




ეგვიპტის ნაკრებმა აფრიკის მთავარი ტიტული დაიცვა. გუშინ, "ფარაონებმა" ფინალში კამერუნი დაამარცხეს (1:0) და "შავ კონტინენტზე" ზედიზედ მეორედ, სულ კი მეექვსედ (რეკორდი) გაბატონდნენ.



# 7:0 რეალი არავის ინდობს

შოკი მანჩესტერულ დერბიში

მსოფლიო ფეხბურთი 6-10

რაგბი. ერთა თასი

# ზედიზედ მეორე და სარეკორდო!



შაბათი. საქართველოს ნაკრები ანთიმოზ ივერიელის თასით

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

9 თებერვალი, მიხეილ მესხი

**საქართველო-რუმინეთი 22:7**

საქართველო: (15-9) ბარკალაია, შკინინი, კაჭარავა (გიგაური 63), გიორგაძე, ჩხიკვაძე, მალაღურაძე, აბუსერიძე (სამხარაძე 75); (1-8) შველიძე (დადუნაშვილი 56), ნატრიაშვილი, ზირაქაშვილი (ქუბრიაშვილი 53), უჩავა, გორგოძე, სუთიაშვილი, ჩხაიძე, ბასილაია (ურუშაძე 67) - ლ (*გორგოძე*), გ,3ს (*ბარკალაია*), ა (*მალაღურაძე*)

რუმინეთი: (15-9) ვლაიკუ, ბიჟუ, გალი, დასკალუ, ჩუნტუ (ფერკუ 56), დიმოფტე, კალაფეტიანუ; (1-8) ბასალაუ, ზებეგა (მიჰალაკე 14-24, ბურჩა 70), პაულიკა, პოპარლანი (რუსი 59), კოსტე, მაკოვეი, ტინკუ, მერსოიუ - ლ (*ტინკუ*), გ (*ვლაიკუ*)

მსაჯი: ნილ ბალარდი (უელსი)

**ბესიკ ჯანგავაძე**

აქამდე არასდროს ყოფილა, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს რუმინეთის ეროვნული გუნდი ორჯერ ზედიზედ დაემარცხებინოს. შარშან, რუმინეთში გამარჯვების შემდეგ (20:17), ბორჯღალოსნებმა ანთიმოზ ივერიელის თასი საქართველოში დააბრუნეს და ბოლო მოგების შემდეგ ჯილდო კიდევ ერთი წელი ჩვენი საკუთრება იქნება.

ამ შეხვედრაში კიდევ ერთი რამ მოხდა რეკორდული. აქამდე "მუხის ფოთლები" ჩვენს მორაგბეებს ყველაზე დიდი, 11 ქულიანი სხვაობით ჰყავდა დამარცხებული. ამჟამად თამასამ 15 ქულამდე აიწია. რუმინელების 22:7 დამარცხება იმითაცაა აღსანიშნავი, რომ სავარაუდოდ, მათი ამ სხვაობით მარცხი საშუალებას მოგვცემს მსოფლიო კლასიფიკაციაში ერთბაშად ორი საფეხურით წავიწიოთ წინ და მეთექვსმეტე ადგილიდან სარეკორდო მეთოთხმეტეზე გადავიდეთ.

11

ძიუდო. პარიზის სუპერთასი

# ბაინდურაშვილის სიურპრიზი



გიორგი ბაინდურაშვილი

**ირაკლი თავაძე**

გუშინ, პარიზში, ძიუდოისტთა მსოფლიოს სუპერთასზე ჩვენთვის უსიამოვნო ტრადიცია კინალამ დაირღვა - **გიორგი ბაინდურაშვილი** (81) ფინალში გავიდა და რუსთა ახალბედა ალიბეკ ბაშკაევთანაც ისე რომ ეყოჩაღა, როგორც მანამ - სხვებთან, ამ ტურნირის ისტორიაში მეხუთე ქართველი ჩემპიონი გახდებოდა. მაგრამ ისტორია და სტატისტიკა იქით იყოს და ეს ვერცხლიც ძალზე მნიშვნელოვანი ჯილდოა - ამით ბაინდურაშვილმა დიდი ნაბიჯი გადადგა ოლიმპიური ლიცენზიისკენ.

სალიცენზიო რეიტინგში მისი პოზიციები ბევრად გამყარდა. არადა, გულახდილები თუ ვიქნებით, ტურნირის დაწყებამდე მისგან ასეთ წარმატებას ვერავინ წარმოიდგენდა. მით უფრო, ვერავინ წარმოიდგენდა, ჩვენი გუნდის ერთადერთი მედალოსანი ის თუ იქნებოდა. საბოლოოდ პარიზში მართლაც ამ ერთი ვერცხლის ამარა დავრჩით - ჩვენებურთა უმეტესობა ისე გავარდა, სანუგეშოშიც ვერ ჩაერთო, მაგრამ ტურნირმა, ვფიქრობ, გარკვეული სიცხადე შეიტანა 90-ში მძაფრ კონკურენციაში, რაც 81-ის ლიცენზიის შემდეგ ნაკრების მეორე დილემაა. მართალია, ჩვენები აქაც წარუმატებლად გამოვიდნენ, მაგრამ, ვფიქრობთ, ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურის** მარცხი პირველივე წრეში უტიტულო მეტოქესთან ნაკრების თავკაც **შოთა ხაბარელს** გარკვეული დასკვნებისკენ უბიძგებს.

ალბათ, ამ ტურნირზე ფინალში გასვლისა თავად ბაინდურაშვილსაც ნაკლებად სჯეროდა, არათუ ქომაგსა და მწვრთნელებს. მთელი ეს პერიოდი ძირითადად იმაზე ლაპარაკობდნენ, რომ მას დარჩენილ ტურნირებში შვიდეულში მაინც ეტრიალა სტაბილურად და ასე წვალებ-წვალებით შეეკონწიებინა სალიცენზიო ქულები. ამ წონაში ლიცენზიის მოპოვების პესიმიზმი თბილისის ტურნირზე უმედლოდ დარჩენამ კიდევ უფრო გაამყარა, მაგრამ ბაინდურაშვილმა პარიზში ყველა ლოგიკა თუ პროგნოზი თავდაყირა დააყენა და უმაღლეს შედეგებს შეუტია.

11

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



გოგიტა გოგუა

ინტერვიუ გოგიტა გოგუასთან

# გაცილებით ძლიერი ნაკრები უნდა გვყავდეს

გოგიტა გოგუა ნაკრებში დაბრუნდა. მართალია, 6 თებერვალს საქართველოს ეროვნულმა გუნდმა გული დაგვწყვიტა, მაგრამ თავად გოგიტას მონდომება და თავდადება, ტრადიციულად, არ დაეწუნებოდა. ნალჩიკის "სპარტაკის" ნახევარმცველთან საუბარი, ცხადია, ლატვიასთან შეხვედრით დავიწყეთ. წაგების მიზეზებზე გოგიტა საინტერესო მოსაზრებას გვიზიარებს...

- არ მინდა, მარცხი სხვა რამეს დავაბრალო, გარდა იმისა, რომ პირველ რიგში ჩვენ ვერ ვითამაშეთ. ამას გარდა, მოედანიც ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. ცუდი იყო ჩვენთვისაც და, ბუნებრივია, ლატვიელებისთვისაც. ასე რომ, ამ ფაქტორმა ორივეს ხელი შეგვიშალა. ეტყობა, ჩვენ უფრო მეტად, რადგან ტექნიკური გუნდებისთვის მოედნის ხარისხს დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა ვაღიაროთ, რომ ლატვიელებმა გვაჯობეს, უპირველესად, სტანდარტული მდგომარეობების უკეთესი გამოყენებით. ჩვენ კი საწინააღმდეგო საშუალება ვერ გამოვნახეთ. სხვათა შორის, ლატვია ლიტვაზე ბევრად ძლიერი ნაკრები აღმოჩნდა. კარგადაა ორგანიზებული, სათამაშო დისციპლინაც თვალშისაცემი იყო და, რაც მთავარია, კონტრშეტევებს ძალიან სწრაფად ახორციელებდნენ. გვაჯობეს და ამას ვაღიარებ, მაგრამ გადახედეთ მათ და ჩვენ შემადგენლობებს, სად თამაშობენ ლატვიელთა ლიდერები და სად ჩვენები. ორი აზრი არაა, რომ მათზე გაცილებით ძლიერი ნაკრები უნდა გვყავდეს.

**- მაგრამ არ გვყავს და მიზეზების შენეული ახსნა გვაინტერესებს. დღემდე რატომ ვერ მოვახერხეთ ძლიერი ნაკრების ჩამოყალიბება?**

- ამ მიზეზებს მთელი საქართველო ეძებს და პასუხს ვერც მე გაგცემ. უბრალოდ, პასუხი არც მაქვს. ვიცი, რომ მთავარი ტაბლოა, რომელიც ყოველთვის ჩვენთვის არასასურველ შედეგს აჩვენებს. პირველი ტაიმი პირწმინდად დავთმეთ, ორთაბრძოლებში გვაჯობეს. მეორე ნახევარში ვითარება გამოვასწორეთ, მაგრამ 0:3-ის შემდეგ თამაშის შემობრუნება თითქმის შეუძლებელია. როგორ დავეწეოდით, 70-ანი წლები კი არაა. და მაინც, ორი აზრი არაა, ლატვიელებთან წაგება არ გვეპატიება. სხვათა შორის, ჩვენ ფსიქოლოგიურად წამგებიან მდგომარეობაში ვიყავით, რადგან გვითხრეს, თამაში გადაიდოო და მოვეშვით.

**- როგორ თუ გადაიდოო?!**

- მოედანი რომ ნახეს, აქ თამაში შეუძლებელიაო და, როგორც გვითხრეს, თამაში სხვა დროისთვის უნდა გადაედოთ. ეს საუბრები მატჩის დღეს გვესმოდა და ბოლოს სახლებში წასასვლელადაც ვემზადებოდით. თამაშის ჩატარება ბოლოს მაინც გადაწყვიტეს და... არ ვიცი, შეიძლება მობილიზება გაგვიჭირდა.

**- ტოპმიოლერთან კონფლიქტის შემდეგ ნაკრებში პირველად ითამაშე. როგორ შეგხვდა?**

- ნორმალურად. რაც იყო, იყო. წყენა არც ერთს აღარ გაგვხსენებია.

**- ლატვიასთან მიღებული ტრავმა რამდენად სერიოზულია?**

- ზუსტად იგივე მომივიდა, რის გამოც ლიტვასთან მატჩი გამოვტოვე. კოჭი მეტკინა. მცველი ძალიან უხეშად მეთამაშა, კოჭში ჩამარტყა ფეხი. თუმცა ტრავმა სერიოზული არაა.

**- ბოლოს ნალჩიკის "სპარტაკზეც" ვთქვათ. გუნდში როგორ შეგხვდნენ?**

- ძალიან მაგრად, კარგად მიცნობენ, იური კრასნოჟანი მენდობა და მჯერა, იქ დაბრუნებით შეცდომა არ დამიშვია. მირჩევნია, შედარებით სუსტ კლუბში მეტი ვითამაშო, ვიდრე უფრო ძლიერი გუნდის სკამზე ვიჯდე.

**მერაბ მამულაშვილი**

## საკონტროლო მატჩები

# უხვგოლიანი ფრე ოლიმპზე



ამერი მარცხისგან დეკანოსიძის გოლმა იხსნა

**ამერი–გაგრა 3:3**

1:0 დავითაშვილი (13), 2:0 რ. გოცირიძე (20), 2:1 მეტრეველი (35), 2:2 კორიფაძე (56), 2:3 აბაშიძე (63), 3:3 დეკანოსიძე (85. პენ.)

ამერი: ნადირაშვილი, მესხი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, დიდავა, დობროვოლსკი (62. ელბაქიძე), დეკანოსიძე, სილაგავა, შალამბერიძე (78. ხუციძე), დავითაშვილი, რ. გოცირიძე (66. ჩიმაკაძე).

გაგრა: ბათიაშვილი (46. ხომერიკი), ტეტუნაშვილი, ჩოჩია, ქაჯაია, მეტრეველი (46. თოთაძე), ლალიანი, ხელაძე (46. ბ. ყიფიანი), გ. აფციაური (46. დათუნაშვილი), სუხიშვილი (46. კორიფაძე), სეთურიძე (54. ჯალიაშვილი), აბაშიძე.

"ოლიმპის" საფეხბურთო აკადემიის ხელოვნურსაფარიან მოედანზე პირველლიგელმა უმაღლესლიგელს ღირსეული ბრძოლა გაუმართა და დამსახურებულ ფრეს მიაღწია. "გაგრის" ნევრთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორბურთიანი ჩამორჩენა დამაჯერებლად აღმოფხვრეს და გამარჯვებაც კი შეეძლოთ.

"ამერი" სეზონს 17 თებერვალს განაახლებს ჭიათურის "მაღაროელთან" ვასვლითი სათასო მატჩით, პირველი ლიგის მეორე წრე კი მოგვიანებით დაიწყება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**სიონი–ოლიმპი 1:1**

0:1 ომელიანოვი (20), 1:1 სანიკიძე (70. შ. ჯიქიას პასით).

სიონი: ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, სვანიძე, ბოიომო, კ. ჩხეტიანი, გ. ოქროპირიძე, სანიკიძე, ბ. ნოზაძე, შავგულიძე, ბაჯელიძე, შ. ჯიქია. *შეცვლაზე შევიდნენ: კობაური, მ. ოქროპირიძე, კვიტაიშვილი, ჩასემი, ავალიანი, რაქვიაშვილი.*

ოლიმპი: მერლანი, ორბელაძე, მახვილაძე, ჭიჭვეიშვილი, კახელიშვილი, გენაძე, ხუბუა, გაბედავა, სტეფნაშვილი, მეტრეველი, ომელიანოვი. *შეცვლაზე შევიდნენ: შეყრილაძე, აკუასაგა, მგელაძე, სებისკვერაძე, ჯოჯუა, ლაბაძე, დევდარიანი, ყრუაშვილი, კვარაცხელია.*

ბოლნისის "სიონმა" ორიოდე დღის წინ შავიზღვისპირეთში დაიწყო მოსამზადებელი შეკრება. გიორგი ყიფშიძის გუნდი ბათუმში, ოთხვარსკვლავიან სასტუმრო "თანამგზავრშია" დაბინავებული. ბოლნისელებმა ამხანაგური შეხვედრა რუსთავის "ოლიმპთან" გამართეს. გამცნობთ იმასაც, რომ რუსთაველებმა შავიზღვისპირეთში შეკრება სწორედ "სიონთან" ამხანაგური თამაშით დაასრულეს.

"სიონის" მენეჯერ **ჯემალ ჭიპაშვილის** თქმით, "ოლიმპთან" ამხანაგურ შეხვედრაში უპირატესობას ბოლნისელები ფლობდნენ. მათ კიდევ არაერთი გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ **ჩასემმა, ჯიქიამ** და სხვებმა შანსი ვერ გამოიყენეს.

როგორც ხედავთ, უკვე "სიონში" უკვე ითამაშა "ზესტაფონის" ყოფილმა კაპიტანმა **კახა ჩხეტიანმა.** ჭიპაშვილის თქმით, ბოლნისური კლუბი ფეხბურთელს უკვე ესაუბრა მომავალი კონტრაქტის პირობებზე და "სიონში" ჩხეტიანის ჩარიცხვა 90 პროცენტით გადაწყვეტილი ამბავია. იმასაც ვწერდით, რომ შესაძლოა, ყიფშიძის გუნდს ფორვარდი გია მეგრელაძე შეჰმატებოდა. თუმცა, მხარეები ვერ მორიგდნენ და ეს ვარიანტიც გამოირიცხა. ბოლნისელებს დაუბრუნდათ მცველი **მიხეილ კობაური,** რომელმაც მიმდინარე სეზონის პირველი წრე "ამერში" გაატარა.

დაბოლოს, "სიონი" შავიზღვისპირეთში კიდევ ოთხ ამხანაგურ მატჩს გამართავს. 12 თებერვალს "სიონი" ქობულეთში გორის "დილას" ეთამაშება. 15-ში ასევე ქობულეთში ზუგდიდის "მგლებს" გაეჯიბრება, 18-ში "მერანს" დაუპირისპირდება, ხოლო 19-ში "ბათუმთან" მოსინჯავს ძალებს.

**დავით ცაბაძე**

# სიონი და ოლიმპი დაზავდნენ



ანგარიში ომელიანოვმა გახსნა

საკლუბო რეიტინგი

# დინამო 304-ეა

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) ახალი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა. 350-გუნდიამ ჩამონათვალში საქართველოს წარმომადგენელთაგან მხოლოდ "დინამოა" მოხსენიებული. თბილისური კლუბი 304-ე პოზიციაზეა და ამ საფეხურს რამდენიმე კლუბთან ერთად იყოფს, მათ შორის, ინგლისურ "მიდლსბროსა" და გერმანულ "ბოხუმთან". ცნობისათვის, წინა თვის რეიტინგში "დინამო" 303-ე ადგილზე იყო.

**ახალი რეიტინგის საუკეთესო ათეული კი ასეთია:**

1. სევილია (ესპანეთი)
2. მანჩესტერი (ინგლისი)
3. ჩელსი (ინგლისი)
4. მილანი (იტალია)
5. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)
6. ინტერი (იტალია)
7. რომა (იტალია)
8. სანტოსი (ბრაზილია)
9. ბარსელონა (ესპანეთი)
10. ლივერპული (ინგლისი)

**ლევან ჯანეზაშვილი**

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# არველაძის ულტიმატუმი



შოთა არველაძე

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ესპანური პრიმერადივიზიონის აუტსაიდერ "ლევანტეს" რამდენიმე ფეხბურთელთა ხელფასი არ გაუსტუმრებია. იმ ფეხბურთელთა შორის, რომელთა მიმართ კლუბს დავალიანება აქვს, ქართველი ფორვარდი შოთა არველაძეცაა. ამ თემაზე უკვე გამცნეთ და იმასაც ვწერდით, რომ "ლევანტეს" პრეზიდენტმა ხულიო რომერომ პრესასთან საუბარში აღნიშნა – კრედიტს ავიღებ და დავალიანებას დავფარავო. გუშინ ამავე თემაზე პოპულარულმა საagენტოებმა კიდევ გაავრცელეს ცნობა.

"ლევანტეს" ფეხბურთელებმა კლუბს ულტიმატუმი წაუყენეს, რომელიც განცხადებაშია ჩამოყალიბებული. განცხადებას კლუბის ყველა ფეხბურთელი აწერს ხელს. მოთამაშეებმა დავალიანების დასაფარავად კლუბის თავკაცს ერთკვირიანი ვადა მისცეს. 17 თებერვლამდე, "ოსასუნასთან" მატჩამდე.

*"დავალიანება იმდენად გაიზარდა, რომ უკვე აუტანელ პირობებში ვართ. თუ დავალიანება "ოსასუნასთან" მატჩამდე არ იქნება გასტუმრებული მაშინ საკუთარი შეხედულებებისამებრ მივიღებთ ზომებს"*, - აცხადებენ ფეხბურთელები.

როგორც ირკვევა, შარშან დავალიანებამ ფეხბურთელთა ხელფასის 60-80 პროცენტი შეადგინა, მიმდინარე წელს კი 85 პროცენტამდე გაიზარდა.

**დავით ცაბაძე**

# ხოჯავამ და აშვეთიამ გაიტანეს

თურქეთში მოსამზადებელ შეკრებაზე მყობმა მახაჭყალის "ანჟიმ" პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. **ომარ თეთრაძის** გუნდი ბელარუსულ "გომელს" დაუპირისპირდა და 3:1 მოიგო. მახაჭყალელთა რიგებში ექვსმა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა, თითოეულმა 45-45 წუთი. სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ მცველი **ვალერი აბრამიძე**, ნახევარმცველი **გოჩა ხოჯავა** და ფორვარდი მიხეილ აშვეთია. ნახევარმცველი **ზურაბ არზიანი** 46-ე წუთიდან ჩაერთო თამაში, ისევე როგორც **რევაზ ჯიქია** და **რევაზ ბარაბაძე**. ჯიქიამ ხოჯავა შეცვალა, ბარაბაძემ კი აშვეთია. სამიდან ორი გოლი ქართველებმა გაიტანეს. ჯერ იყო და 22-ე წუთზე გოჩა ხოჯავამ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო 38-ე წუთზე მიხეილ აშვეთიამ მახაჭყალელები დააწინაურა (2:1). "ანჟი" მომდევნო ამხანაგურ მატჩს 12 თებერვალს ტაშკენტის "ფახთაქორთან" გამართავს.

**დავით ცაბაძე**



შუაში გოჩა ხოჯავა




მიხეილ აშვეთია



დავით მუჯირი ლოკომოტივთან ერთად თურქეთში მოემზადება

# ქართველები შეკრებებზე

რამდენიმე ქვეყანაში საფეხბურთო სეზონი უკვე განახლდა, ზოგან კი გუნდები კვლავაც მზადების პროცესში არიან. მოლდოვური "შერიფი" კვიპროსშია, ტირასპოლელთა რიგებში გუნდის ქართველ კაპიტანთან, **ვაჟა თარხნიშვილთან** ერთად, ძმები **ვალტერ** და **პაველ ხორგუაშვილები** ირიცხებიან. პირველი მათგანი მცველია, მეორე კი ნახევარმცველი.

ესპანეთის ქალაქ "ალიკანტეში" გაემგზავრნენ **გოგიტა გოგუა** და **ალექსანდრე ამისულაშვილი**. იქ ნალჩიკის "სპარტაკი" ლა მანგის საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, სადაც მისი მეტოქეები უკრაინული "შახტიორი", დანიური "ნორდსიელანდი" და ნორვეგიული "ლილესტრიომი" იქნებიან.

**ლაშა ჯაკობია**, რომელმაც პოლტავის "ვორსკლასთან" კონტრაქტი სულ ახლახან გააფორმა, თავის ახალ გუნდთან ერთად თურქეთში გაემგზავრა. ეს "ვორსკლას" მეორე შეკრებაა. ჯაკობია სრულფასოვნად მხოლოდ ახლაღა ივარჯიშებს, მანამდე იგი ტრავმის გამო უქმობდა.

ასევე თურქეთში მოემზადება მოსკოვის "ლოკომოტივი". **მალხაზ ასათიანიც** და **დავით მუჯირიც** ჯანმრთელად არიან. რკინიგზელები ბელექში 20 თებერვლამდე დარჩებიან, 24 თებერვლიდან 4 მარტამდე კი ავსტრიაში, ვენის მახლობლად დაჰყოფენ.

# გოგობერიშვილი დაშავდა

"ბაქოს" ლიდერი **ალექსანდრე გოგობერიშვილი** ფეხბურთს დაახლოებით ერთი თვით ჩამოშორდა. საქმე ისაა, რომ ქართველმა ნახევარმცველმა თავისი გუნდის ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო. შეგახსენებთ, გოგობერიშვილთან ერთად, "ბაქოს" ღირსებას კიდევ ერთი ქართველი, **ამირან მუჯირი** იცავს.

# ბერაია თურანში

"აზერიფუტბოლის" ინფორმაციით, "თურანმა" "ყარაბაღთან" უკვე მოილაპარაკა ქართველ ფორვარდ **ირაკლი ბერაიას** იჯარასთან დაკავშირებით. ასე რომ, ბერაია მიმდინარე სეზონის მეორე ნახევარში იჯარის წესით "თურანში" ისპარეზებს.

# დვალიშვილმა სკონტოს გაამარჯვებინა

მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა რიგის "სკონტომ" მორიგი ამხანაგური მატჩი გამარა. რიგელები სლოვენიურ "ოლიმპიას" გაეჯიბრნენ და მინიმალური ანგარიშით, 1:0 მოუგეს. ეს ერთადერთი ბურთი კი "სკონტოში" სინჯებზე მყოფმა **ვლადიმერ დვალიშვილმა** გაიტანა. გაცნობებთ იმასაც, რომ სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ქართველი **დავით გამეზარდაშვილი** იყო. მეორე ტაიმიდან კი ვლადიმერ დვალიშვილი ჩაერთო თამაშში. **ზაალ ელიავას** ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია.

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

# გულიევი რომ კალაძეს დაენევა...

აზერბაიჯანელმა ჟურნალისტებმა საინტერესო ფაქტი გამოქექეს. თურმე, "თანამეგობრობის თასის" ფინალში, ორი გუნდის შემადგენლობაში, სულ ცხრა ფეხბურთელს უთამაშია, ოთხი მათგანი კი ქართველი აღმოჩნდა: **ლევან კორღალიძე, ომარ თეთრაძე, მიხეილ ყაველაშვილი და კახა კალაძე.**

"აღმოჩენას" გაბუქვა მოუხდებაო და, "აპა-სპორტმა" ინფორმაციას ისეთი სათაური მოუძებნა - "ემინ გულიევი კახა კალაძეს დაეწია". ასეთ სათაურს რომ მოკრავ თვალს, როგორ არ დაინტერესდები კაცი? ეს **ემინ გულიევი**, ლენქორანის "ხაზარის" შემადგენლობაში, "თანამეგობრობის თასის" გამარჯვებული წელს მეორედ გახდა. მანამდე კი ბაქოს "ნეფთჩისთან" ერთად ასწია თასი და... მოკლედ, კალაძეს ამით დაეწიაო.

"აპა-სპორტი" კარგად იყოს თავისი გულიევით. ახლა ვნახოთ, ჩემპიონთა ლიგის ორჯერ მოგებაში თუ მიბაძავს კალაძეს...

**მერაბ მამულაშვილი**



კახა კალაძე (4)

# მარცვალაძე ისევ ხარკოვში

გაუთავებელმა ტრავმებმა **ოთარ მარცვალაძეს** კარიერა ძალიან აურია. დეკემბერში მისი "ხარკოვში" ჩარიცხვა გადაწვეტილი ამბავი იყო. სამწუხაროდ, პირველივე შეკრებაზე, ოთარს ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და ნორმალურად ვერ ივარჯიშა. მეორე შეკრებაზე გუნდს საერთოდ ველარ გაჰყვა და კიევში მკურნალობდა.

სწორედ ამ დროს, უკრაინულ მედიაში გაჩნდა ვარაუდები, რომ "ხარკოვის" მთავარი მწვრთნელი **ვლადიმირ ბესონოვი** ქართველი თავდამსხმელის დაბრუნებას არ აპირებდა. თუმცა, როგორც შევიტყვეთ, მარცვალაძე მომჯობინდა და გუნდს შეკრებაზე შეუერთდა. მისი დაბრუნება "ხარკოვის" ოფიციალურმა ვებ-გვერდმაც დაადასტურა - ბესონოვი მარცვალაძეს თავის გამოჩენის კიდევ ერთ შანსს აძლევსო.

საკითხი ამ შეკრების შემდეგ გადაწყდება. ჯერ კიდევ გასაკვევია, ტრავმამოშუშებული რამდენად მოახერხებს თავის გამოჩენას. მეორე საკითხია, ხარკოველებისა და კიევის "დინამოს" მოლაპარაკება. კლუბებს საარენდო კონტრაქტის პირობები არ შეუთანხმებიათ. თუმცა მარცვალაძის დატოვების შესახებ სიტყვიერი შეთანხმება მიღწეულია და ახლა ყველაფერი ოთარზეა დამოკიდებული.

**მერაბ მამულაშვილი**



ოთარ მარცვალაძე



რატი ალექსიძე



მიხეილ ბობოხიძე

# ალექსიძე ფეხბურთს სომხეთში დაუბრუნდა

## დარასელიასა და ბობოხიძესთან ერთად რატი მიკაში ვარჯიშობს

სომხეთის ჩემპიონატის მესამეადგილოსან "მიკაში" სამი ქართველი მიიწვიეს. სენსაციური ისაა, რომ თითოეული მათგანი საკმაოდ სახელიანი ფეხბურთელია. მთავარი სენსაცია ფეხბურთში **რატი ალექსიძის** დაბრუნებაა. ბოლოს ის რუსეთის პრემიერლიგის "როსტოვში" თამაშობდა, საქართველოს ნაკრებშიც იწვევდნენ, მაგრამ მამის გარდაცვალებამ მასზე ისე ცუდად იმოქმედა, რომ ფეხბურთზე კი არა, ლამის ცხოვრებაზეც ხელი ჩაიქნია.

მას შემდეგ სამი წელი გავიდა. რატი ცდილობდა, მოედანს დაბრუნებოდა. ერთი ხანობა, **გიორგი დევდარიანი** "თბილისში" ავარჯიშებდა, მაგრამ მაშინ ძველი რატის აჩრდილიღა იყო. წელს ალექსიძე 30 წლის ხდება და იმედია, ახლა მაინც მოახერხებს გულშემატკივრების გახარებას. მასთან ერთად, სომხებმა "დაჩიიდან" წამოსული **ვიტალი დარასელია** და **მიხეილ ბობოხიძეც** მიიწვიეს. ეს უკანასკნელი ბოლოს თბილისის "ლოკომოტივში" თამაშობდა.

აშტარაკის "მიკა" ამჟამად თურქეთის საკურორტო ქალაქ ბელექში ემზადება. სომხებმა საკონტროლო შეხვედრა რუმინეთის (კრაიოვა) "უნივერსიტატეას" 2:1 მოუგეს, მაგრამ ქართველებს არ უთამაშიათ. რამდენიმე დღეში ისინი კლუბს თურქმენეთში გაყვებიან და "თურქმენბაშის თასის" (რომელსაც ახლა "თურქმენეთის პრეზიდენტის თასი" დაარქვეს) გათამაშებაში დაეხმარებიან. სამეულს ჯერ კონტრაქტი არ გაუფორმებია და სომხური საინფორმაციო სააგენტოები უკვე იუწყებიან - საქართველოს ნაკრების წევრებს "მიკაში" სინჯავენო.

დასანანია, რომ თითოეულმა მათგანმა ნიჭი ისე გაფლანგა, რომ ამ დონის კლუბში ჩასარიცხად გასინჯვა სჭირდებათ. ალექსიძე "ჩელსიში" თამაშობდა, 2000 წელს დარასელიას "რეჯინა" უფორმებდა კონტრაქტს და ტრანსფერი კიევის ცსკა-ს ხელმძღვანელთა სიხარბემ ჩაშალა. საქართველოს ნაკრებში ბობოხიძესაც უთამაშია და... და ამიტომაც ვწუხვართ.

**მერაბ მამულაშვილი**



ვიტალი დარასელია


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ოფ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გახსენი... ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ქართული ლეგიონი

# მხოლოდ ბუნდესლიგაში



მარჯვნივ კობა ნიტაიშვილი

გასულ უქმეებზე ევროპაში ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელმა ქართველმა ლეგიონერებმა ითამაშეს. კვიპროსის ქართველობას თუ არ ჩავთვლით, დღევანდელი მიმოხილვა ბუნდესლიგის მიმოხილვაა ფაქტობრივად, რადგან 90-90 წუთი მხოლოდ გერმანიის ბუნდესლიგაში მოთამაშე ალექსანდრე იაშვილმა და ლევან კობიაშვილმა გაატარეს მოედანზე. აღსანიშნავია, მათი კარგი თამაში, განსაკუთრებით იაშვილის, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო თავის გუნდში და ერთ საგოლე კომბინაციაშიც მიიღო მონაწილეობა.

## კობი მესამეა

გერმანიის ჩემპიონატის მე-18 ტურში ალექსანდრე იაშვილის "კარლსრუე" "ჰანოვერს" ეწვია და 2:2 დაუზავდა. ქართველმა ფორვარდმა 90 წუთი ითამაშა. ჩვენებური აქტიური იყო და "შპორტალისგან" გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო შეფასება - 2,5 ქულა დაიმსახურა. მეორე წრეში **კლაუს ტოპმიოლერის** მიერ დაწუნებული იაშვილის პროგრესი აშკარაა, მან სასტარტო შემადგენლობაში მოიპოვა ადგილი, თუმცა ჯერ ეს ქართველის პროდუქტიულობაზე არ ასახულა, სეზონში მას ჯერ გოლი არ გაუტანია და მხოლოდ ორი საგოლე პასი აქვს. "კარლსრუე" 32 ქულით მეექვსე ადგილზეა.

პრინციპულ მეტოქეთა მატჩს, "ბორუსია" და "შალკე", ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, გამარჯვების შემთხვევაში **ლევან კობიაშვილის** გუნდი მესამე ადგილზე გადავიდოდა. ასეც მოხდა, თუმცა "ხუმარებმა" ნამდვილ ტრილერში გაიმარჯვეს **ფაბიან ერნსტის** მიერ მატჩის მიწურულს გატანილი გოლის წყალობით - 3:2. "შალკეს" 35 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა. ლევანმა 90 წუთი ითამაშა.

მეორე ბუნდესლიგაში "კარლ ცაისის" და "მიუნხენის" თამაშების შესახებ უკვე გაუწყეთ. პარასკევს ოთხი ქართველიდან მხოლოდ ერთმა ითამაშა (**ილია კანდელაკი**) და ისიც შვიდი წუთით, დანარჩენები ტრავმირებულნი არიან. **დავით სირაძეს** კი მწვრთნელი შეეცვალა, **ჰოლგერ ფახი** გაუშვეს და მის ნაცვლად ბულგარელი **პაველ დოჩევი** დააბრუნეს. ახალმა მწვრთნელმა კი იმით დაიწყო, რომ ქართველი ფორვარდი საერთოდ არ შეიყვანა "ფრაიბურგთან" განაცხადში. ბოლოადგილოსანმა კლუბმა კი უქართველოდ დაამარცხა ასევე უქართველო "ფრაიბურგი" (**ოთარ ხიზანეიშვილი** სათადარიგო იყო) 3:2 დაამარცხა. ამ მოგებით "პადერბორნმა" 15 ქულა დააგროვა და ბოლო ადგილი ქართული ტრიოს "კარლ ცაისს" (14 ქულა) გადაულოცა. "მიუნხენი" და "ფრაიბურგი" 31-31 ქულით მეხუთე-მეექვსე ადგილზე არიან. "კარლსრუეს" ოფიციალურ საიტზე მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად მოწყობილ გამოკითხვაში ალექსანდრე იაშვილმა მესამე შედეგი აჩვენა10 ხმების პროცენტით **კრისტიან აიხნერის** და **ჯოშუა კენედის** შემდეგ.

## კალაძე დაასვენეს

იტალიაში, ინგლისში და ესპანეთში თითო ლეგიონერი გვყავს, თუმცა **შოთა არველაძის** უთამაშებლობას კარგა ხანია შევეგუეთ, **ზურაბ ხიზანიშვილის** "ბლექბერნი" დღეს ესტუმრება ჩემპიონატი ლიდერ "არსენალს", ხოლო **კახა კალაძემ** არ ითამაშა "სიენასთან" 1:0 დასრულებულ შეხვედრაში.

შვეიცარიაში **სანდრო იაშვილი** სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს "თუნის" და "სიონის" 2:2 დასრულებულ შეხვედრას.

## თითქმის ჩემპიონები

**თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისს" ალბათ ველარაფერი შეუშლის ხელს ჩემპიონობის მოპოვებაში. ბოლო ტურში "ანორთოსისმა" **ლევან ქებაძის** "ეთნიკოსი" გაანადგურა - 5:1. **კლიმენტი ნიტაიშვილმა** მასპინძელთა რიგებში 63-ე წუთამდე ითამაშა, მერე კი ის ბერძენმა ფორვარდმა **ნიკოს ფრუსოსმა** შეცვალა. ლევან ქებაძე სტუმართა მწვრთნელმა მე-80 წუთზე შეცვალა. **ლევან მაღრაძის** "აპოლონმა" სტუმრად 0:0 ითამაშა "ნეა სალამინასთან". ლევანმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. "ანორთოსისი" უახლოეს მდევარს უკვე 14 ქულით უსწრებს, ქეცბაიას გუნდი 48 ქულით დაუმარცხებელია. "აპოლონი" 30 ქულით მეხუთეა, ხოლო "ეთნიკოსი" 25 ქულით - მერვე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლევან კობიაშვილი (მარცხნივ)

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XIX ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | ბორუსია-შალკე | 2:3 | 90 წუთი | 5 თ. 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | ჰანოვერი-კარლსრუე | 2:2 | 90 წუთი | 14 თ. 0 გ. |
| მეორე ბუნდესლიგა. XVIII ტური | | | | |
| ილია კანდელაკი | ზტ. პაული-კარლ ცაისი | 2:2 | 7 წთ, შეცვლაზე | 10 თ. 0 გ. |
| გიორგი ონიანი | ზტ. პაული-კარლ ცაისი | 2:2 | ტრავმა | 9 თ. 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | ზტ. პაული-კარლ ცაისი | 2:2 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | პადერბორნი-ფრაიბურგი | 3:2 | სათადარიგო | 1 თ. 0 გ. |
| დავით სირაძე | პადერბორნი-ფრაიბურგი | 3:2 | არ უთამაშია | 9 თ. 0 გ. |
| მათე ღვინიანიძე | კაიზერი-მიუნხენი | 1:2 | ტრავმა | 13 თ. 0 გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა. XXVI ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | არსენალი-ბლექბერნი | - | დღეს | 5 თ. 0 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა დივიზიონი. XXIII ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ატლეტიკო-ლევანტე | 1:0 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| **იტალია** | | | | |
| სერია A. XXII ტური | | | | |
| კახა კალაძე | მილანი-სიენა | 1:0 | არ უთამაშია | 13 თ. 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა. XX ტური | | | | |
| სანდრო იაშვილი | თუნი-სიონი | 2:2 | სათადარიგო | 15 თ. 1 გ. |
| **კვიპროსი** | | | | |
| A დივიზიონი. XX ტური | | | | |
| ლევან ქებაძე | ანორთოსისი-ეთნიკოსი | 5:1 | 80 წთ, შეცვალეს | 7 გოლი |
| ლევან მაღრაძე | ნეა სალამინა-აპოლონი | 0:0 | 90 წუთი | 0 გოლი |
| კობა ნიტაიშვილი | ანორთოსისი-ეთნიკოსი | 5:1 | 63 წთ, შეცვალეს | 1 გოლი |



გია თოდუა

# თოდუამ ინტერს გაუტანა

ანთალიაში განაგრძობს მზადებას ბრესტის "დინამო". ბრესტელებმა თურქეთში ამხანაგური მატჩი ბუქარესტის "ინტერთან" გამართეს. შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა. ბრესტელთა სასტარტო შემადგენლობაში არცერთი ქართველი ფეხბურთელი არ ყოფილა. ბრესტელთა ქართული დუეტი 41-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში – **გია თოდუა კოვალჩუკის**, ხოლო **რომან გოგინაშვილი დემიდოვიჩის** ნაცვლად ჩაერთნენ თამაშში.

ბრესტის "დინამოს" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ანგარიში 52-ე წუთზე რუმინელებმა გახსნეს. თუმცა ათიოდე წუთში ქართული დუეტი ამოქმედდა. ბუქარესტელთა მეკარემ გოგინაშვილის ძლიერი დარტყმა ვერ შეიმაგრა, დასწრებაზე თოდუამ ყველას აჯობა და ანგარიში გაათანაბრა.

დაბოლოს, ბრესტელები მომდევნო ამხანაგურ მატჩს დღეს, 11 თებერვალს, "ვიტ ჯორჯიასთან" გამართავენ.

# ულისემ პიუნიკს მოუგო

ვებგვერდ "არმფუტბოლის" ცნობით, ერევნულ დერბიში, ამხანაგურ მატჩში "ულისემ" "პიუნიკი" 2:1 დაამარცხა. "ულისეში" ორი ქართველი ფეხბურთელი, მცველი **თენგიზ უგრეხელიძე** და ნახევარმცველი **ლევან აკობია** ირიცხება. "პიუნიკთან" ამხანაგურ შეხვედრაში ორივე ჩვენებური სასტარტო შემადგენლობაში იყო და მატჩიც ჩაამთავრა.

იმავე ვებგვერდის ინფორმაციით, "განძასარში" ორი ქართველ ფეხბურთელი ჩაირიცხა – მცველი **მამუკა მენთესაშვილი** და ფორვარდი **მანუჩარ კვიციანი**. შეგახსენებთ, რომ ორივე ეს ფეხბურთელი მიმდინარე სეზონის პირველ წრეში ბოლნისის "სიონში" ირიცხებოდა. მათ **გიორგი ყიფშიძის** გუნდი ზამთრის პაუზისას დატოვეს.

"განძასარის" მთავარ მწვრთნელ **აბრამ ხაშმანიანის** თქმით, კლუბი ალბათ მალე გააფორმებს კონტრაქტს კიდევ ერთ ქართველთან, მცველ **დავით ხანიშვილთან**. მალე აბრამ ხაშმანიანის გუნდი უცხოურ შეკრებაზე გაემგზავრება და ხანიშვილის საკითხი მანამდე გადაწყდება.

**დავით ცაბაძე**



მილანის ახალი ვარსკვლავი ალბერტო პალოსკი

იტალია. სერია A. XXII ტური

# ექს-ფაქტორები

## პატო ხომ ახალია და, პალოსკიც უკვე ახალი პატოაო...

სიენაში კოშმარული მარცხის შემდეგ, "რომამ" საკუთარ მოედანზე "რეჯინა" დაამარცხა. ამ გამარჯვებას უფრო მეტად ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე სატურნირო. **ლუჩანო სპალეტის** შეგირდებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ ტოსკანური შოკი წარსულს ჩაბარდა. თუმცა სხვა საკითხია, რამდენად გამოდგებოდა ერთ-ერთი აუტსაიდერი ამგვარი ტესტისთვის. ასეა თუ ისე, 3 ქულა ჯიბეშია და "რომას" შეუძლია, უკვე "იუვენტუსთან" დაპირისპირებაზე იფიქროს.

მასპინძლებმა თავიდანვე შეტევასა და სწრაფ გოლზე იზრუნეს. რამდენიმე მწვავე მომენტის შემდეგ **ტოტის** ჩაწოდებას **პანუჩი** შორეულ ძელთან ჩაუსაფრდა და, ფაქტობრივად, კარის ხაზიდან გახსნა ანგარიში. ერთი ხანობა, რომაელთა აქტივობა ჩაცხრა და "რეჯინაც" მოვიდა თამაშის იშტაზე. **დონიმ** ძლივს მოიგერია **ბრიენცას** დარტყმული, მერე კი **ვიჯანიმ** ოდნავ ააცილა მიზანს. მაგრამ ეს იყო მხოლოდ გაელვება. "ჯალოროსი" მთლიანად აკონტროლებდა თამაშს, თუმც 1:0 ის ანგარიშია, როცა ცალი თვალი საკუთარი კარისკენაც უნდა გეჭიროს. ამიტომ, მეორე ნახევარში "რომამ" საშუალო ტემპი აირჩია და ამ ხერხით ეძებდა **კამპანიოლოს** კარისკენ მისასვლელ გზებს. და აი, 75-ე წუთზე მეორე გოლიც გავიდა. მართალია, საბოლოო დარტყმა **მანსინიმ** შეასრულა, მაგრამ არანაკლებია (თუ მეტი არა) **ჟიულის** წვლილიც: ფრანგმა მცირე პერიმეტრზე რამდენიმე მეტოქეს აუბნია თავგზა და ცაციათი დასცხო კიდეც, მეკარემ კი ბურთი ვერ შეიმაგრა და მანსინიც იქვე იყო - 2:0.

ამის შემდეგ გოლების გაცვლაც შეიძლებოდა. სადღაც ერთ წუთში **მაკინვამ** მოარყია ძელი, ბოლოს კი **აკვილანის** ჰქონდა იდეალური შანსი, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა უზუსტო გამოუვიდა.

აქაც ზლატანი, ოღონდ **მუსლიმოვიჩი!** "ატალანტა" სწორედ ბოსნიელ ფორვარდს უნდა უმადლოდეს, რომ საკუთარ მოედანზე "ფიორენტინას" ქულა დასცინცლა. ფლორენციელებს **მუტუ** აკლდათ, ამიტომ **ჩეზარე პრანდელიმ** ძირითადში **ვიერი** დააყენა. ბერგამოელთა დანაკლისი გაცილებით მძიმე იყო, თანაც ყველა რგოლში. აქედან გამომდინარე, ფრე მათთვის ურიგო შედეგად არ უნდა ჩაითვალოს. **პაცინის** გოლში **მონტოლივომაც** დაიდო წილი, მაგრამ ერთ წუთში უკვე "ატალანტა" ზეიმობდა: კუთხურის შემდეგ მუსლიმოვიჩი უყურადღებოდ დატოვეს და 1:1.

მეორე ნახევარშიც, ძირითადად, თანაბარი ბრძოლა მიდიოდა. ორივე გუნდი უტევდა და გარკვეული დოზით ორივეს გაუმართლა. შესანიშნავი იყო **სემიოლის** გოლი, რომელიც პაცინისა და **კუჟმანოვიჩის** ხელშეწყობით გავიდა. ნახევარმცველი ორ მეურვეს შორის გაძვრა და კომბინაცია ლამაზად დაავირგვინა. თამაშს კი წერტილი მაინც მუსლიმოვიჩმა დაუსვა. **სიმონე ინძაგის** მიერ დაწყებული კონტრშეტევა **ტისონემ** გააგრძელა, ზლატანმა კი ბჭედი დაუსვა - 2:2. სხვათა შორის, უკვე ზედიზედ მესამე სეზონია, ეს გუნდები "ატლეტი აძურიზე" ამ ანგარიშით იყრებიან.

კვირის მოვლენები "ექს-ფაქტორებით" იყო გამორჩეული, ანუ, იმ ფეხბურთელების მხრივ, რომლებმაც თავიანთი ყოფილი კლუბები გაამწარეს. დავიწყოთ უდინეს მატჩით, რომელიც ორი "ბიანკონერის" დერბი იყო. ბოლო პერიოდის ჩავარდა "უდინეზეს" სერიოზულ დაქვეითებად დაუჯდა. "იუვენტუსთან" მარცხიც კიდევ უფრო აშორებს კლუბს საჩემპიონთალიგო ოცნებისგან, თუმც უნდა ითქვას, რომ იმავე "იუვეს", "მილანისა" და "ფიორენტინის" გარემოცვაში **პასკუალე მარინოს** გუნდს სერიოზული შანსი თავიდანვეც არ ჰქონდა. წლის დასაწყისი დიდწილად ნეგატიური იყო "ქალბატონისთვისაც", მაგრამ ისიც დავძინოთ, რომ **კლაუდიო რანიერის** შეგირდებმა ზედიზედ ორი გასვლითი მატჩი მოიგეს...

"უდინეზე" ტურინულ გრანდს პირველივე წუთებიდან ეკვეთა. სტარტზევე **ბუფონმა კვალიარელას** დარტყმული გაჭირვებით მოიგერია. მე-6 წუთზე ეს დუელი კიდევ ერთხელ შედგა. ამჯერზე, მეკარე უძლური აღმოჩნდა. მართალია, თავად კვალიარელას არ შეუგდია, მაგრამ **დოსენამ** ხომ მის დარტყმულს დაამატა და ესეც საქმეა.

ლამის მთელი პირველი ტაიმი მასპინძელთა აშკარა უპირატესობის ფონზე მიმდინარეობდა. გარდატეხა შესვენების შემდეგ დადგა. 61-ე წუთზე **კამორანეზიმ დელ პიეროს** კუთხურს თავური დააყოლა და ყველაფერი თავიდან დაიწყო. ამის შემდეგ, ინიციატივას "სინიორა" დაეუფლა და თამაშის სადავეები ბოლომდე შეინარჩუნა.

გოლის შემდეგ რანიერიმ საყრდენი **ნოჩერინო** ფორვარდ **პალადინოთი** შეცვალა. კულმინაცია კი 76-ე წუთზე დადგა, როცა **ტრეზეგეს** ნაცვლად მოედანზე **იაკუინტა** გამოჩნდა. ფეხბურთელს, რომელიც 7 წელი იცავდა "უდინეზეს" ღირსებას, ყოფილი გუნდის დასამარხად სულ რამდენიმე წამი დასჭირდა: **ნედვედის** პასის შემდეგ თამაშგარის მახე გაარღვია და წერტილიც დასვა - 1:2.

შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა გადაწყვიტა "მილანისა" და "სიენას" მატჩის ბედიც, მაგრამ გააჩნია ფეხბურთელსაც. იმის გამო, რომ **კაკა** და **პატო** ტრავმირებულები იყვნენ, ხოლო **ჯილარდინო** დისკვალიფიკაციას იხდიდა, **კარლო ანჩელოტიმ** მოედანზე 18 წლის **ალბერტო პალოსკი** შეუშვა. საკმარისი იყო 15 წამი (!), რომ ყმაწვილს სერია A-ში დებიუტი გოლით აღენიშნა: 62-ე წუთზე მან საჯარიმოს ხაზიდან ბურთი შორეულ კუთხეში მოათავსა. პატოს შემდეგ "მილანს" კიდევ ერთი იღბლიანი დებიუტანტი ჰყავს. სხვათა შორის, ამ ფაქტით აღფრთოვანებულმა პრესამ გუშინვე დაწერა - პალოსკი ახალი პატოაო!

რაც შეეხება ზოგადად თამაშის სურათს, უნდა ითქვას, რომ "რომასთან" სენსაციური გამარჯვებით (3:0) "გათავხედებულმა" ტოსკანელებმა "მილანსაც" გვარიანი საფიქრალი გაუჩინეს. **კალაჩი** რამდენჯერმე აღმოჩნდა რთული სიტუაციაში, ამას გარდა, არბიტრმა საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო, როცა **ლოკატელის** გოლი თამაშგარის მოტივით გააუქმა. დრამატული იყო ბოლო წუთიც, როცა მასპინძელთა მეკარემ **ფრიკს** ზღაპრული ბურთი აულო.

"ექს-ფაქტორი" გადამწყვეტი იყო "ტორინო"-"პალერმოს" მატჩშიც. სტუმრები **ამაურის** გოლით დაწინაურდნენ და პირველი ტაიმი მოიგეს კიდეც. მეორე ნახევარში **ვალტერ ნოველინოს** გუნდი რადიკალურად გარდაიქმნა. თამაში ძირითადად სიცილიელთა ნახევარზე მიმდინარეობდა. მე-60 წუთზე მეკარე **ფონტანამ როზინას** საჯარიმო დარტყმა ვერ შეიმაგრა და **დიანამ**, რომელიც სულ რაღაც 10 დღის წინ "პალერმოში" იყო, ყოფილი გუნდი დამატებაზე დასაჯა. მერე კი **დი მიკელეს** ბენეფისი შედგა. ეს კაციც ექსპალერმოელია. ის მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე ჩაერთო თამაშში. 71-ე წუთზე მან **ბარძალის** შეცდომა დააშვებინა და ამით უმალ ისარგებლა, ხოლო შემდეგ როზინას გადაცემას შეჰყვა, ფონტანა დააწვინა და დანარჩენი პრობლემა აღარ იყო - 3:1. საინტერესოა, რომ 27 ოქტომბრის შემდეგ ეს "ტოროს" პირველი საშინაო გამარჯვებაა.

"სამპდორიამ" "ნაპოლის" პრობლემა ბოლო 15 წუთში მოაგვარა. მართალია, **კასანოს** ამჯერად არ გაუტანია, მაგრამ, სამაგიეროდ, გადამწყვეტი როლი ითამაშა **დელვეკიოს** გოლის მომზადებაში. მალე, უკვე თავად დელვეკიომ გაუმართა ხელი **ფრანჩესკინის**, რომელმაც მახვილი კუთხიდან 2:0 დააფიქსირა.

"ლაციომ" ვერაფრით მოახერხა "ემპოლის" კაპიტან **ვანუკის** მიერ თამაშის დასაწყისშივე ჯარიმით გატანილი გოლის გაქვითვა. ის, რაც ამ ეპიზოდში მოხდა, კომპლექსური შეცდომა იყო ჯერ "ცოცხალი კედლის" მხრიდან, მერე კი ამას მხცოვანი **ბალოტას** ჩაძინებაც დაემატა. ერთნაირი ანგარიშით (1:1) დასრულდა ორი მატჩი. ლივორნოშიც, ერთი გოლი შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა გაიტანა. თამაშის დასრულებამდე შვიდიოდ წუთით ადრე, როცა სტუმარი 10 კაცით იყო დარჩენილი, **დი ვაიომ** თავისიანებს მნიშვნელოვანი ქულა მოუტანა (შეიძლებოდა, ეს გოლი **კნეჟევიჩის** ავტოგოლადაც ჩათვლილიყო). "კალიარი"-"პარმის" შეხვედრაში კი ფრე არც ერთ გუნდს არ გაახარებდა, მით უფრო მასპინძელს, რომელსაც მოსაგებად უამრავი შანსი ჰქონდა. ეს საქმე მეკარე **ბუჩის** რამდენიმე წარმატებულმა ნახტომმა ჩაშალა.

"ინტერმა" სტუმრად "კატანიას" მოუგო და "რომასთან" 8-ქულიანი დისტანცია შეინარჩუნა. ლიდერი ვერც ამჯერად ასცდება პოლემიკას. საქმე ისაა, რომ **კამბიასომ** გოლი აშკარა თამაშგარედან გაიტანა. ვნახოთ, რას იტყვიან დღეს...

### მომდევნო ტური

16 თებერვალი. **ინტერი-ლივორნო, პარმა-მილანი, იუვენტუსი-რომა.** 17 თებერვალი. **ფიორენტინა-კატანია, ჯენოა-სამპდორია, ლაციო-ატალანტა, ნაპოლი-ემპოლი, პალერმო-კალიარი, რეჯინა-უდინეზე, სიენა-ტორინო.**

### ატალანტა-ფიორენტინა 2:2

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-6, რივალტა-6, პელეგრინო-6, კაპელი-6, ტ. მანფრედინი-6 (26. ბელერი-6), პინტუ-6.5, ტისონე-6.5, დე აშენტისი-6, ლანჯელა-6.5 (67. ს. ინძაგი-6), ფლოკარი-6 (76. პაოლუჩი-შ.გ), მუსლიმოვიჩი-7.5.

**ფიორენტინა:** ფრეი-6, უიფალუში-6, გამბერინი-6, დაინელი-6, პასკუალი-6, კუჟმანოვიჩი-6.5 (68. იორგენსენი-6), დონადელი-5.5, მონტოლივო-6, სემიოლი-6.5, სანტანა-6, პაცინი-7 (74. ვიერი-შ.გ).

**გოლები:** 0:1 პაცინი (29), 1:1 მუსლიმოვიჩი (30), 1:2 სემიოლი (60), 2:2 მუსლიმოვიჩი (90)

**გაფრთხილება:** 5-2; **კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 23-24; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 9-10 (5-3); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 10 000

### რომა-რეჯინა 2:0

**რომა:** ა. დონი-6.5, სისინიო-6.5, მექსე-6, პანუჩი-6.5, კასეტი-6, დე როსი-6, აკვილანი-6.5, ტადეი-5.5 (66. ტონეტო-6), ჟიული-6.5 (84. პეროტა-შ.გ), მანსინი-6.5, ტოტი-6 (75. ვუჩინიჩი-შ.გ).

**რეჯინა:** კამპანიოლო-6, ლანძარო-5.5, ვალდესი-6, არონიკა-5.5, მოდესტო-6, ბარეტო-5.5, მისიროლი-6, ტონიოცი-5.5 (77. კოცა-), ვიჯანი-5.5 (54. ამორუზო-6.5), ბრიენცა-6, ჩერავოლო-5.5 (46. მაკინვა-6.5).

**გოლები:** 1:0 პანუჩი (21), 2:0 მანსინი (75)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 16-11; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 34-12 (20-5); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 35 000

### უდინეზე-იუვენტუსი 1:2

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი-6.5, კოდა-5.5, ლუკოვიჩი-5.5, დოსენა-6.5, ფერონეტი-6 (88. კანდრევა-შ.გ), საპატა-6, ინლერი-6.5, გ. დ'აგოსტინო-6.5, ფლორო ფლორესი-6, კვალიარელა-6.5, დი ნატალე-6.5.

**იუვენტუსი:** ბუფონი-6.5, ლეგროტალიე-5, მოლინარო-6, ზებინა-6, კიელინი-5.5, ნოჩერინო-5.5 (70. პალადინო-6.5), კ. ძანეტი-6, კამორანეზი-6.5 (86. სისოკო-შ.გ), ნედვედი-6.5, დელ პიერო-6.5, ტრეზეგე-5 (76. იაკუინტა-7).

**გოლები:** 1:0 დოსენა (6), 1:1 კამორანეზი (61), 1:2 იაკუინტა (76)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 14-7; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 8-3; **კარში დარტყმა:** 16-10 (8-2); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 25 000

### მილანი-სიენა 1:0

**მილანი:** კალაჩი-7, კაფუ-5.5, ნესტა-6 (46. ბონერა-6.5), მალდინი-6, იანკულოვსკი-5.5, პირლო-5.5, ამბროზინი-6, ბროკი-5.5, სერჟინიო-5.5 (62. პალოსკი-7.5), ფ. ინძაგი-5.5, რონალდო-5 (46. ზეედორფი-6.5).

**სიენა:** მანინგერი-6.5, პორტანოვა-6, დე ჩელიე-6, როსეტინი-6.5, ლორია-6.5, კოდრეა-6, ლოკატელი-6 (75. ფორესტიერი-შ.გ), იაროლიმი-6.5 (73. ხარჯა-შ.გ), ვერგასოლა-5.5, მაკარონე-5.5, ფრიკი-6.5.

**გოლი:** 1:0 პალოსკი (62)

**გაძევება:** ვერგასოლა (82. სიენა)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 17-15 (8-7); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 50 000

### სამპდორია-ნაპოლი 2:0

**სამპდორია:** კასტელაცი-6, გასტალდელო-6 (28. სალა-6.5), აკარდი-6, მაჯო-6, კამპანიარო-6.5, დელვეკიო-6.5 (90. ციგლერი-შ.გ), დ. ფრანჩესკინი-6, პიერი-6.5, პალომბო-5.5, კასანო-5.5, ბელუჩი-6 (83. ბონაცოლი-შ.გ).

**ნაპოლი:** ჯანელო-6.5, კონტინი-6, გრავა-5.5, სანტაკროჩე-6.5, გარგანო-5.5 (84. სოსა-შ.გ), მანინი-6, პაციენცა-5.5, ბლაზი-6.5, ჰამსიკი-6 (62. ბოლიაჩინო-6), ლავეცი-5, სალაიეტა-5.

**გოლები:** 1:0 დელვეკიო (76), 2:0 დ. ფრანჩესკინი (82)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 30-30; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 14-6 (6-4); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 23 000

### ტორინო-პალერმო 3:1

**ტორინო:** სერენი-6, დი ლორეტო-6, მ. პიზანო-6, კომოტო-7, ლანა-6, ბარონე-6 (73. კორინი-შ.გ), გრელა-6, დიანა-7.5 (86. მოტა-შ.გ), როზინა-7, ლაზეტიჩი-6.5 (52. დი მიკელე-7.5), სტელონე-7.

**პალერმო:** ა. ფონტანა-6, ბიავა-6, ბალცარეტი-6, კასანი-6, ბარძალი-7, კაზერტა-6 (77. კავანი-შ.გ), მილიაჩო-6, გუანა-6.5, სიმპლისიუ-6 (77. იანკოვიჩი-შ.გ), ამაური-6, მიკოლი-6 (89. ბრეშანო-შ.გ).

**გოლები:** 0:1 ამაური (36), 1:1 დიანა (60), 2:1 დი მიკელე (71), 2:1 დი მიკელე (81)

**გაძევება:** ამაური (75. პალერმო)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 28-27; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 19-11 (11-9); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 20 000

### ემპოლი-ლაციო 1:0

**ემპოლი:** ბასი-6.5, მარძორატი-6.5, რაჯი-5.5, პიკოლო-6.5, ვანუკი-7, მარიანინი-6.5, ჯოვინკო-6.5 (65. აბატე-შ.გ), ანტონინი-6.5, მარკიზიო-6.5 (90. ტოსტო-შ.გ), ბუდელი-6 (64. მორო-შ.გ), პოცი-6.

**ლაციო:** ბალოტა-5.5, სივილია-6, კოლაროვი-5, როზენალი-5 (76. ბარონიო-შ.გ), კრიბარი-6, მაური-5 (75. კ. მანფრედინი-შ.გ), დაბო-5.5 (63. ბიანკი-შ.გ), ლედესმა-5.5, ვინიაროლი-5, პანდევი-5, როკი-5.

**გოლი:** 1:0 ვანუკი (7)

**გაძევება:** კოლაროვი (89. ლაციო)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 38-29; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 8-15 (4-7); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 6 000

### ლივორნო-ჯენოა 1:1

**ლივორნო:** ამელია-6.5, კნეჟევიჩი-5.5, გალანტე-5.5, პასკუალე-6.5, ბალერი-6, გრანდონი-6, ა. ფილიპინი-6.5 (85. დიამანტი-შ.გ), პულცეტი-6.5, დე ვეცე-6.5, ტავანო-7, დიეგო ტრისტანი-6.5.

**ჯენოა:** რუბინიო-6, გლეისონი-5, კრიშიტო-5.5, ბოვო-6 (28. დი ვაიო-7), კონკო-6, მილანეტო-6.5, იურიჩი-6.5, დანილო-5.5 (72. ლუჩო ფიგეროა-შ.გ), პარო-6.5, მ. როსი-6 (52. სკული-6), ბორიელო-6.5.

**გოლები:** 1:0 ტავანო (16), 1:1 დი ვაიო (83)

**გაძევება:** გლეისონი (72. ჯენოა)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 4-11; **ჯარიმა:** 11-27; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 7-16 (5-5); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 8 000

### კალიარი-პარმა 1:1

**კალიარი:** სტორარი-6, ლოპესი-6, აგოსტინი-5.5, ფერი-6, ბიანკო-6, კონტი-6.5, ბიონდინი-6 (89. ფინი-შ.გ), პაროლა-6, კოსუ-5.5 (69. ფოჯა-6), ლარივეი-4.5 (57. მატრი-6), ჟედა-7.5.

**პარმა:** ბუჩი-7, ფალკონე-6, დ. ძენონი-5.5, კოლი-6, კასტელინი-5.5, ფერნანდო კოუტუ-5.5, მორონე-6.5, ჩიგარინი-5.5 (73. პარავიჩინი-შ.გ), დესენა-6 (83. მარიგა-შ.გ), რეჟინალდო-7, კ. ლუკარელი-5 (66. კორადი-5.5).

**გოლები:** 1:0 ჟედა (35), 1:1 რეჟინალდო (36)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 16-22; **თამაშგარე:** 0-5; **კარში დარტყმა:** 8-8 (3-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 12 000

### კატანია-ინტერი 0:2

**კატანია:** პოლიტო-6, სარდო-6 (74. პ. ალვარესი-შ.გ), სილვესტრი-6.5, სტოვინი-6.5, ხ. ვარგასი-6, ბაიოკო-6, ედუსეი-6.5, ტედესკო-6, კოლუჩი-6 (67. მარტინესი-6), სპინესი-5.5, მასკარა-6 (83. პია-შ.გ).

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6, ბურდისო-5.5, კორდობა-6, მატერაცი-6, კრესპო-5.5 (55. სუასო-6.5), ხ. ძანეტი-6, მაქსველი-6.5, კამბიასო-6.5, ხიმენესი-შ.გ (27. პელე-6), კრუსი-5, იბრაჰიმოვიჩი-6 (72. მანიშე-შ.გ).

**გოლები:** 0:1 კამბიასო (64), 0:2 სუასო (67)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 29-23; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 7-8 (2-6); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 21 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 22 | 17 | 5 | 0 | 46-13 | 56 |
| 2. რომა | 22 | 14 | 6 | 2 | 40-22 | 48 |
| 3. იუვენტუსი | 22 | 12 | 8 | 2 | 42-19 | 44 |
| 4. ფიორენტინა | 22 | 10 | 8 | 4 | 34-21 | 38 |
| 5. მილანი | 21 | 10 | 6 | 5 | 33-16 | 36 |
| 6. უდინეზე | 22 | 9 | 6 | 7 | 25-27 | 33 |
| 7. სამპდორია | 22 | 9 | 4 | 9 | 29-26 | 31 |
| 8. ატალანტა | 22 | 7 | 9 | 6 | 34-32 | 30 |
| 9. ჯენოა | 22 | 7 | 8 | 7 | 23-29 | 28 |
| 10. პალერმო | 22 | 7 | 7 | 8 | 29-37 | 28 |
| 11. ნაპოლი | 22 | 7 | 6 | 9 | 33-34 | 27 |
| 12. ტორინო | 22 | 4 | 12 | 6 | 23-26 | 24 |
| 13. ლაციო | 22 | 5 | 8 | 9 | 24-31 | 23 |
| 14. კატანია | 22 | 5 | 8 | 9 | 19-26 | 23 |
| 15. ლივორნო | 21 | 5 | 7 | 9 | 24-33 | 22 |
| 16. სიენა | 22 | 4 | 8 | 10 | 25-32 | 20 |
| 17. პარმა | 22 | 4 | 8 | 10 | 25-33 | 20 |
| 18. ემპოლი | 22 | 4 | 7 | 11 | 16-29 | 19 |
| 19. რეჯინა | 22 | 3 | 9 | 10 | 18-34 | 18 |
| 20. კალიარი | 22 | 3 | 6 | 13 | 17-39 | 15 |

**ბომბარდირები:** 15 - ტრეზეგე (იუვენტუსი); 14 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი); 13 - მუტუ (ფიორენტინა); 12 - ბორიელო (ჯენოა); 10 - კრუსი (ინტერი), ტავანო (ლივორნო), ტოტი (რომა); 9 - ამაური (პალერმო), ბელუჩი (სამპდორია), დელ პიერო (იუვენტუსი); 8 - კ. დონი (ატალანტა), კაკა (მილანი), პანდევი (ლაციო).

## სერია B

XXIV ტური

**გროსეტო-ალბინოლეფე 2:2**

**გოლები:** 0:1 ჩელინი (13), 1:1 გრაფიედი (30-პენ), 1:2 კრისტიანო (43), 2:2 ლაძარი (49)

**გაძევება:** კარობიო (33. ალბინოლეფე)

**აველინო-ფროზინონე 0:1**

**გოლი:** 0:1 ლოდი (90)

**ვიჩენცა-ბარი 2:3**

**გოლები:** 0:1 სანტორუვო (28), 0:2 ლანცაფამე (36), 1:2 სკარდინა (46), 2:2 ძამპანია (63), 2:3 ლანცაფამე (81)

**ლეჩე-ტრიესტინა 1:0**

**გოლი:** 1:0 აბრუსკატო (90)

**გაძევება:** კირიაკისი (90. ტრიესტინა)

**პიაჩენცა-ბრეშა 2:4**

**გოლები:** 0:1 დე ძერბი (27), 1:1 ანაკლერიო (30), 2:1 დედიჩი (40-პენ), 2:2 პოსანცინი (54), 2:3 კარაჩოლო (63), 2:4 ტაკინარდი (84-პენ)

**მესინა-მანტოვა 1:0**

**გოლი:** 1:0 პარიზი (8)

**გაძევება:** მორო (41. მესინა)

**პიზა-ჩეზენა 3:0**

**გოლები:** 1:0 ჩერჩი (47), 2:0 კასტილიო (77), 3:0 ჩერჩი (90)

**რავენა-ბოლონია 1:1**

**გოლები:** 0:1 ადაილტონი (74-პენ), 1:1 სუჩი (90)

**გაძევება:** იულიანო (8. რავენა)

**რიმინი-ასკოლი 3:0**

**გოლები:** 1:0 პარასკოვი (27), 2:0 ვანტაჯატო (58), 3:0 რიკიუტი (83)

**გაძევება:** პარასკოვი (68. რიმინი), ტაიბი (78. ასკოლი)

**კიევო-ტრევიზო 1:0**

**გოლი:** 1:0 იტალიანო (22)

**სპეცია-მოდენა 2:2**

**გოლები:** 0:1 ბრუნო (4), 1:1 ჩეკარელი (29), 2:1 მილეზი (88), 2:2 პინარდი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოლონია | 24 | 14 | 8 | 2 | 32-13 | 50 |
| 2. კიევო | 24 | 15 | 5 | 4 | 44-27 | 50 |
| 3. ლეჩე | 24 | 14 | 7 | 3 | 38-14 | 49 |
| 4. პიზა | 24 | 14 | 7 | 3 | 44-27 | 49 |
| 5. ალბინოლეფე | 24 | 13 | 7 | 4 | 37-19 | 46 |
| 6. ბრეშა | 23 | 13 | 5 | 5 | 39-22 | 44 |
| 7. მანტოვა | 24 | 12 | 4 | 8 | 36-28 | 40 |
| 8. რიმინი | 24 | 10 | 6 | 8 | 32-24 | 36 |
| 9. მესინა | 24 | 10 | 5 | 9 | 20-26 | 35 |
| 10. მოდენა | 24 | 8 | 9 | 7 | 35-30 | 33 |
| 11. ასკოლი | 23 | 7 | 9 | 7 | 32-25 | 30 |
| 12. ფროზინონე | 24 | 8 | 6 | 10 | 29-37 | 30 |
| 13. ტრიესტინა | 24 | 7 | 8 | 9 | 28-38 | 29 |
| 14. გროსეტო | 24 | 6 | 8 | 10 | 22-34 | 26 |
| 15. პიაჩენცა | 24 | 8 | 2 | 14 | 20-32 | 26 |
| 16. ბარი | 24 | 5 | 9 | 10 | 29-38 | 24 |
| 17. აველინო | 24 | 5 | 6 | 13 | 23-35 | 21 |
| 18. ტრევიზო | 24 | 5 | 6 | 13 | 21-32 | 20 |
| 19. სპეცია | 24 | 4 | 8 | 12 | 27-39 | 20 |
| 20. ჩეზენა | 24 | 3 | 10 | 11 | 23-37 | 19 |
| 21. რავენა | 24 | 4 | 6 | 14 | 27-44 | 18 |
| 22. ვიჩენცა | 24 | 3 | 9 | 12 | 22-39 | 18 |

**ბომბარდირები:** 17 - კასტილიო (პიზა); 16 - გოდეასი (მანტოვა); 15 - ჩელინი (ალბინოლეფე); 13 - გრანოკე (ტრიესტინა), მარაცინა (ბოლონია); 12 - ჟედა (რიმინი), ლოდი (ფროზინონე); 11 - გუიდეტი (სპეცია), მოსკარდელი (ჩეზენა), პელისიერი (კიევო), პოსანცინი (ბრეშა), სუჩი (რავენა), ტირიბოკი (ლეჩე).

## სერია C1/A

XXIII ტური

**კავეზე-პროპატრია 2:1; ფოლინიო-პრო სესტო 1:1; ლეკო-ნოვარა 2:3; ლენიანო-მონცა 1:0; მანფრედონია-პადოვა 0:0; პაგანეზე-კრემონეზე 1:1; ტერნანა-სასუოლო 1:3; ვენეცია-ვერონა 1:0; ჩიტადელა-ფოჯა დღეს.**

## სერია C1/B

XXIII ტური

**ანკონა-პესკარა 1:2; გალიპოლი-ლანჩანო 2:0; იუვე სტაბია-მასეზე 1:0; პერუჯა-პისტოიეზე 0:2; პოტენცა-კროტონე 2:0; სალერნიტანა-ლუკეზე 1:1; სამბენედეტეზე-მარტინა 2:0; სანჯოვანეზე-სორენტო 0:0; ტარანტო-არეცო 2:2.**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXV ტური

# პირველად, 70-ანი წლების შემდეგ

## ჩელსი: შინდაუმარცხებელი ოთხი წლის განმავლობაში...



ჩელსი-ლივერპული. მეტოქეების უშედეგო ბრძოლა: სტივ ჯერარდი ფრენკ ლემპარდის წინააღმდეგ

გუშინ, საღამოს მანჩესტერში იმ ადამიანთა ხსოვნას მიაგეს პატივი, რომლებიც 50 წლის წინათ, მიუნხენში დაიღუპნენ. ეს "იუნაიტედის" ტრაგედია იყო. შიშობდნენ, რომ "სიტის" გულშემატკივრები წუთიერი დუმილისას სტვენას ატეხდნენ. სტუმრებს არაფერი შეშლიათ. სანაცვლოდ კი, დიდებული საღამო მიიღეს.

რამდენიმე საგულისხმო ინფორმაცია სტატისტიკის მოყვარულთათვის:

"სიტიმ" "იუნაიტედს" სეზონის ორივე მატჩი 1970 წლის შემდეგ პირველად მოუგო;

მან "ოლდ ტრეფორდზე" 1974 წლის შემდეგ პირველად გაიმარჯვა;

**სვენ გორან ერიქსონი ალექს ფერგიუსონს** ოფიციალურ მატჩებში მესამედ შეხვდა და მესამედ დაამარცხა. მან ფერგის 1999 წლის ევროპის სუპერთასის ფინალშიც სძლია. იმხანად სვენი "ლაციოს" დამრიგებელი იყო.

გუშინდელი თამაში ორივე გუნდისთვის პრინციპული იყო. "იუნაიტედს" მოგება სჭირდებოდა, რათა "არსენალისთვის" უპირატესობის გაზრდის საშუალება არ მიეცა ("მეთოფეები" დღეს თამაშობენ), ხოლო "სიტის" წარუმატებელი სერიის დასრულება სურდა: მას ბოლო რვა შეხვედრიდან მხოლოდ ერთი ჰქონდა მოგებული.

იუნაიტედს დისკვალიფიცირებული **უეინ რუნი** და **პატრის ევრა** არ ჰყავდა. ფერგიმ **ოუენ ჰარგრივსი** სკამზე დასვა. ძირითადში ითამაშეს **ჯონ ოშიმ, ნანიმ** და **ანდერსონმა**. ისინი, როგორც წესი, თადარიგში არიან ხოლმე. "სიტის" **ვედრან კორლუკა** აკლდა. სადებიუტო მატჩი ჩაატარა "პორტსმუთიდან" შეძენილმა თავდამსხმელმა, **ბენჯანი მვარუვარიმ** და უმალ გოლი გაიტანა. ამაზე ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ.

"იუნაიტედმა" თამაში აქტიურად დაიწყო. "სიტის" კართან პირველი მომენტი მე-7 წუთზე შეიქმნა. **ჯო ჰარტმა რაიან გიგზის** დარტყმა კუთხურზე გადააგდო. "სიტიმ" მე-13 წუთზე შეუტია. **მარტინ პეტროვმა** არაზუსტად დაარტყა. **სტივ ირლანდის** თავურს **ედვინ ვან დერ სარი** იოლად დაეუფლა.

ანგარიში 24-ე წუთზე გაიხსნა. ირლანდისა და პეტროვის კომბინაცია **დარიუს ვასელმა** გააგრძელა. ვან დერ სარმა მისი პირველი დარტყმა მოიგერია. ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ბურთთან პირველი გაჩნდა და ის კარში შეაგორა. "იუნაიტედმა" **კარლოს ტევესის** იერიშით უპასუხა. ჰარტმა მისი დარტყმა ეფექტურ ნახტომში მოიგერია. "სიტი" გულხელდაკრეფილი არ მჯდარა. პეტროვმა საჯარიმოში **ფერნანდესის** მისამართით ჩააწოდა. ვან დერ სარი კარიდან დროულად გამოვიდა და ბურთი მუშტებით მოიგერია.

ტაიმის დასრულებას ერთი წუთი უკლდა, როცა "სიტიმ" მეორე გოლი გაიტანა. პეტროვმა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა. ბენჯანიმ ბურთს ფეხი მიჰკრა და შორ კუთხეში შეაგდო. ზიმბაბველმა თავდამსხმელმა "იუნაიტედს" პირველ წრეში, "პორტსმუთის" მაისურითაც გაუტანა.

შესვენების შემდეგ პირველივე იერიშისას, **დიტმარ ჰამანმა** 30 იარდიდან ძლიერად დასცხო. ვან დერ სარმა ბურთი ადვილად დაიჭირა. "იუნაიტედი". ტევესმა გოლიც გაიტანა, მაგრამ ის სამართლიანად გააუქმეს. ფერგიმ შემადგენლობა გადაახალისა. მან ოშისა და ანდერსონის ნაცვლად ჰარგრივსი და **ქერიკი** გამოიყვანა. სვენმა ბენჯანი კიდევ ერთი დებიუტანტით, **ფელიპე კასეიდოთი** შეცვალა. "იუნაიტედმა" მხოლოდ პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხა. ქერიკმა მსაჯისგან დამატებულ დროში გამოიჩინა თავი...

**კევინ კიგანს** ნიუკასლში დაბრუნების შემდეგ ჯერ არ მოუგია. ჯორდების წარუმატებელი სერია უკვე 9 მატჩს ითვლის. „ასტონ ვილასთან" შეხვედრის მე-4 წუთზე **მაიკლ ოუენმა** ანგარიში გახსნა. სტუმრებმა პირველი ნახევარი თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს. ქომაგებს იმედი გაუჩნდათ, მაგრამ მეორე ტაიმში ყველაფერი თავდაყირა დადგა. **ჯონ ქერიუმ** სტუმრებს სამი გოლი უძღვნა (9 გოლი მიმდინარე სეზონში) და ერთიც **ვილფრედ ბუმამ** დაუმატა (მისი პირველი გოლი ბირმინგემელთა მაისურით). ჯორდებმა მორიგი ფიასკო იწვნიეს, „ასტონ ვილამ" კი ევროპულ საგზურზე სერიოზული განაცხადი გააკეთა.

მატჩი ბირმინგემელთა იერიშით დაიწყო. ქერიუმ **შონ მელონის** გაუკეთა პასი. **კლაუდიო კასაპა** მისთვის ბურთის ართმევას შეეცადა. მელონიმ ის ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ **სტილიან პეტროვს** გაუგორა, მაგრამ ბულგარელმა ნახევარმცველმა არაზუსტად დაარტყა.

„ნიუკასლმა" ოუენის გოლით უპასუხა. **დემიენ დაფმა** საჯარიმოში ჩააწოდა. ვილელმა მცველებმა მოიგერიეს. ბურთს **ჯეიმს მილნერი** დაეუფლა და ახლო კუთხესთან ჩააწოდა. ოუენმა მას თავი დაჰკრა და ბოლო ორ მატჩში მეორედ შეაგდო. მაიკლმა პრემიერლიგის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში „ჩელსის" ყოფილ ვარსკვლავ **ჯიმი ფლოიდ ჰასელბენკს** გადაუსწრო. ახლა მის ანგარიშზე 129 გოლია.

მასპინძელთა საპასუხო იერიშისას გარეთ ბერიმ პენალტის დანიშვნა მოითხოვა. მისი დარტყმული ბურთი **ჯოი ბარტონს** მოხვდა და მიმართულება შეიცვალა. **შეი გივენი** მეორე კუთხეში იყო გადამხტარი. ირლანდიელმა მეკარემ წამოდგომა და ბურთის დაუფლება მოასწრო. ბერი ამტკიცებდა, ბარტონმა ხელით ითამაშაო. პირველ ტაიმში ბირმინგემელთა საუკეთესო მომენტი ქერიუმ შექმნა. მან გივენს ახლო მანძილიდან თავით დაურტყა. ირლანდიელმა გოლკიპერმა იერიში ეფექტური სეივით უკუაგდო.

შესვენებისას **მარტინ ონილმა** ინერტული მელბერგი და პეტროვი **კრეიგ გარდნერითა** და **მარლონ ჰერვუდით** შეცვალა. „ვილა" გააქტიურდა და ექვს წუთში ორი გოლი გაიტანა. 48-ე წუთზე ბუმამ ისახელა თავი და ბირმინგემში ყოფნის სამი წლის თავზე პირველად შეაგდო. მელონიმ ბურთი მარცხენა ფლანგზე დაისაკუთრა და ჰოლანდიელს გაუგორა. ამ უკანასკნელის დარტყმისას ბურთმა მიმართულება შეიცვალა და კარის კუთხეში მოკალათდა. სანამ „ნიუკასლი" გონს მოსვლას მოასწრებდა, კიდევ დაისაჯა. **იანგის** კუთხურს ტანმაღალი ქერიუ გამოეხმაურა და თავით შორ კუთხეში გაიტანა. გახარებული ნორვეგიული მაყურებლებში გადახტა, რის გამოც დაუყოვნებლივ ყვითელი ბარათი მიიღო.

კიგანმა დაშავებული გივენის ნაცვლად **სტივ ჰარპერი** გამოიყვანა. „ასტონ ვილა" ინიციატივის დათმობას აღარ აპირებდა. ნიუკასლელმა **ნიკი ბატმა** იანგი ჩაწიხლა და სეზონის მე-11 ყვითელი ბარათი მიიღო. ჰარპერმა მასპინძელთა ორი სახიფათო იერიში მოიგერია. 72-ე წუთზე ქერიუმ მეორე გოლი გაიტანა. ეს გოლიც კუთხურს მოჰყვა. იანგმა მელონის გადააწოდა. ამ უკანასკნელის დარტყმულს მცველები გადაელობნენ. ბურთი ქერიუს მიუვიდა და თავით კარში გადაგზავნა. თამაშის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე ნორვეგიელმა ჰეთ თრიკი გაიფორმა. მან **სტივ კარის** ხელით თამაშისთვის დანიშნული 11-მეტრიანი გამოიყენა...

„პორტსმუთმა" ბოლტონში დაუმსახურებელი სამი ქულა მოიპოვა. მასპინძლებმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაანიავეს. მე-80 წუთზე **ლასანა დიარამ** გამარჯვების გოლი გაიტანა. ბურთის მიღებისას ის თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. „ბოლტონის" თავდასხმამ არაეფექტურად იასპარეზა. გუნდს **ნიკოლა ანელკას** შემცვლელი არ ჰყავს. ის „ჩელსის" სარფიანად მიჰყიდეს, მაგრამ თუ ბოლტონელებმა მომენტების რეალიზაცია ვერ მოახერხეს, ფრანგი თავდამსხმელის წასვლა ძვირად დაუჯდებათ. „პორტსმუთმა" მეტოქის კარის ჩარჩოში პირველად 79-ე წუთზე, გოლამდე ორი წუთით ადრე დაარტყა...

„ტოტენჰემმა" „დერბის" დამაჯერებლად სძლია. „მამლებმა" მასპინძლებს სამივე გოლი მეორე ტაიმში გაუტანეს. ანგარიში **რობი კინმა** გახსნა. მან **სტიდ მალბრანკის** იერიში დააგვირგვინა. „დერბის" მეკარე როი ქეროლმა მალბრანკის დარტყმა მოიგერია. ბურთი ირლანდიელ თავდამსხმელს მიუგორდა. მან ექვსი იარდიდან აუღებელად შეაგდო (კინის მე-19 გოლი ამ სეზონში). **იუნეს კაბულმა** 81-ე წუთზე გაიტანა. გოლი **აარონ ლენონის** კუთხურს მოჰყვა. კაბულმა მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა. დამატებულ დროში დერბის ნახევარმცველმა **ალან სტაბსმა** საკუთარი კარის სიახლოვეს ხელით ითამაშა. **დიმიტარ ბერბატოვმა** პენალტით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა...

„ევერტონმა" „რედინგი" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. ლივერპულელებმა სამმატჩიანი მშრალი სერია დაასრულეს და მეოთხე საფეხურზე განიმტკიცეს პოზიცია. „ევერტონს" 2008 წელს ერთი გოლი არ გაუშვია. „რედინგი" კი ზედიზედ მეშვიდედ დამარცხდა. მინიმალური ანგარიში შაბათის კიდევ ერთ შეხვედრაში დაფიქსირდა: „მიდლსბრომ" „ფულჰემს" ერთი გოლით მოუგო. რივერსაიდელთა შემადგენლობაში სადებიუტო მატჩი ჩაატარა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **აფონსო ალვეშმა**. ის ჰოლანდიური „ჰერენვეენიდან" 12 მილიონ გირვანქად შეიძინეს. სანდერლენდში ყოფილი თანაგუნდელების („მანჩესტერ იუნაიტედში"), **როი კინისა** და **სტივ ბრუსის** დუელი მასპინძელმა მოიგო. კინის შეგირდებმა „ვიგანს" ორი უპასუხო გოლით ასიამოვნეს. „ვესტ ჰემმა" კი „ბირმინგემთან" ორი ქულა გაანიავა. **ლი ბოუიერს** წითელი ბარათი აუფრიალეს.

წუხელ „ჩელსიმ" „ლივერპულს" უმასპინძლა. თამაში უგოლოდ დასრულდა. ის ტურის ერთ-ერთი ყველაზე უსახური შეხვედრა აღმოჩნდა. მეტოქეებმა კარის ჩარჩოში თითოჯერ დაარტყეს. ლონდონელთა შემადგენლობაში 26 დეკემბრის შემდეგ პირველად ითამაშა **ფრენკ ლემპარდმა**. მას ათი თამაში გაუცდა. აქედან ჩელსიმ ზედიზედ ცხრა მოიგო და მხოლოდ გასულ უქმეებზე გაანიავა ორი ქულა „პორტსმუთთან". ის 70-ე წუთზე შეცვალეს. ლემპარდის ძირითადში დაყენებას **შონ რაიტ-ფილიპსის** თავდასხმაში გადაყვანა გამოიწვია. **ფლორან მალუდა** თადარიგში გადაიყვანეს. ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ „ჩელსის" ძირითადში ითამაშა **რიკარდო კარვალიომაც**. „არისტოკრატები" მხოლოდ იმით თუ იამაყებენ, რომ გუშინ შესრულდა ზუსტად ოთხი წელი „სტემფორდ ბრიჯზე" პრემიერლიგის უკანასკნელი მატჩის წაგებიდან. წაუგებელი საშინაო სერია უკვე 76 თამაშს მოიცავს.

### მომდევნო ტური

**23 თებერვალი. ბირმინგემი-არსენალი, ფულჰემი-ვესტ ჰემი, ლივერპული-მიდლსბრო, პორტსმუთი-სანდერლენდი, ვიგანი-დერბი, ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ. 24 თებერვალი. რედინგი-ასტონ ვილა, ბლექბერნი-ბოლტონი. 25 თებერვალი. მანჩესტერ სიტი-ევერტონი.**

### ასტონ ვილა-ნიუკასლი 4:1

**ვილა:** კარსონი, ბუმა, კურტის დევისი, ლაურსენი, მელბერგი (46. გარდნერი), ბერი, მელონი, სტილიან პეტროვი (46. ჰერვუდი), რეო-კოკერი, ქერიუ, ეშლი იანგი (90. ოსბორნი).

**ნიუკასლი:** გივენი (54. ჰარპერი), ბეიე, კასაპა, კარი, სტივ ტეილორი, ბარტონი (74. ემრე), ბატი, დაფი, მილნერი, ოუენი, სმიტი.

**გოლები:** 0:1 ოუენი (4), 1:1 ბუმა (48), 2:1 ქერიუ (51), 3:1 ქერიუ (72), 4:1 ქერიუ (90-პენ).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 14(8)-5(3); **ჯარიმა:** 19-11; **კუთხური:** 7-5; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 42 640

### ბოლტონი-პორტსმუთი 0:1

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, კაჰილი, ენდი ობრაიენი, სტეინსონი, კამპო, რიკარდო გარდნერი, გუტრი (87. კოენი), ნოლანი, მეტიუ ტეილორი (82. იანაკოპულოსი), კევინ დევისი, დიუფი (60. რასიაკი).

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, კემპბელი, პრეიდარსონი, ლორენი, პამარო (27. ობი), დიარა, დიოპი, პოუზი, კრანჩარი (74. კრანჩარი), ბაროში (46. კანუ), დეფო.

**გოლები:** 0:1 დიარა (81).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 29(10)-7(4); **ჯარიმა:** 12-14; **კუთხური:** 5-2; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 18 544

### დერბი-ტოტენჰემი 0:3

**დერბი:** ქეროლი, ედვორთი (78. ჯოუნსი), ლიკოკი, მური (11. ტოდი), სტაბსი, ბარნესი, პირსონი, სევიჯი (74. სტერჯოვსკი), ფეგანი, მილერი, ემანუელ ვილია.

**ტოტენჰემი:** ჩერნი, შიმბონდა, დოსონი (14. კაბული), ჰატონი, კევინ პრინს ბოატენგი (46. ოჰარა), ჰადლსტონი, ჯენასი, ლენონი, მალბრანკი, დარენ ბენტი (58. ბერბატოვი), რობი კინი.

**გოლები:** 0:1 რობი კინი (68), 0:2 კაბული (81), 0:3 ბერბატოვი (90-პენ).

**გაფრთხილება:** 4-1; **დარტყმა:** 10(6)-13(8); **ჯარიმა:** 15-10; **კუთხური:** 7-9; **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 33 058

### ევერტონი-რედინგი 1:0

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესკოტი, ფილ ნევილი, იობო, არტეტა, კაჰილი, კარსლი, ფერნანდესი (46. ვოგანი), ჟაგიელკა, ოსმანი, ენდი ჯონსონი.

**რედინგი:** ჰანემანი, მერტი, შორი, სონკო, კალიფა სისე, ჰარპერი, ჰანტი, მატეიოვსკი, ოსტერი (81. კებე), დოილი, კიტსონი (75. ლონგი).

**გოლები:** 1:0 ჟაგიელკა (62).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 11(6)-17(5); **ჯარიმა:** 13-13; **კუთხური:** 8-8; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 36 582

### მიდლსბრო-ფულჰემი 1:0

**მიდლსბრო:** შვარცერი, ჰუთი, პოგატეცი, ვიტერი, ლუკ იანგი, არკა, დაუნინგი, ონილი, როშემბაკი, ალიადიერი (76. ჯორჯ ბოატენგი), ლი (57. ალვეში).

**ფულჰემი:** ნიემი, ანდრეასენი, ბეირდი, ჰანგელანდი, კონჩესკი, სტალტერი, ბულარდი, საიმონ დევისი, დენი მერფი, დიომარსი კამარა (46. დემპსი), ნევლანდი (64. მაკბრაიდი).

**გოლები:** 1:0 ალიედიერი (11)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 11(6)-12(5); **ჯარიმა:** 12-10; **კუთხური:** 7-3; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 26 885

### სანდერლენდი-ვიგანი 2:0

**სანდერლენდი:** გორდონი, ბერდსლი, კოლინსი, ევანსი, ნოსვორთი, ეტუჰუ (84. ლიდბიტერი), ოდონოვანი (26. პრისა), უაითჰედი, ჩოპრა (74. რიდი), ჯოუნსი, დერილ მერფი.

**ვიგანი:** კერკლანდი, ბოისი, მელხიოტი (46. კუმასი), შარნერი, რაიან ტეილორი (56. ოლემბე), მაიკლ ბრაუნი, კილბეინი, პალასიოსი, ვალენსია, ჰესკი (68. მარკუს ბენტი), კინგი.

**გოლები:** 1:0 ეტუჰუ (42), 2:0 დერი მერფი (75).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 10(4)-21(11); **ჯარიმა:** 13-6; **კუთხური:** 2-8; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 43 600

### ვესტ ჰემი-ბირმინგემი 1:1

**ვესტ ჰემი:** გრინი, ანტონ ფერდინანდი, მაკარტნი, ნილი, აპსონი, ბოუიერი, ეთერინგტონი (83. კამარა), ლიუნგბერგი, მულინსი, ეშტონი (90. სპექტორი), კარლტონ კოული (62. ფობერი).

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, კელი, დევიდ მერფი, რიჯველი, მარტინ ტეილორი, დემიენ ჯონსონი, ლარსონი, მაკშეფრი (87. პერნაბი), მუამბა, ფორსელი (76. ჯერომი), მაკფადენი.

**გოლები:** 1:0 ლიუნგბერგი (7), 1:1 მაკფადენი (16-პენ).

**გაფრთხილება:** 0-5; **დარტყმა:** 18(10)-5(3); **ჯარიმა:** 12-20; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 34 884

### მანჩესტერ იუნ.-მანჩესტერ ს. 1:2

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ვეს ბრაუნი, რიო ფერდინანდი, ოში (73. ქერიკი), ვიდიჩი, ანდერსონი (73. ჰარგრივსი), გიგზი, ნანი (64. პარკი), რონალდო, სქოულზი, ტევესი.

**სიტი:** ჰარტი, ბოლი, დანი, ონუოა, რიჩარდსი, ჟელსონი, ჰამანი (84. სუნი), ირლანდი, მარტინ პეტროვი (87. გარიდო), ბენჯანი (75. კაისედო), ვასელი.

**გოლები:** 0:1 ვასელი (25), 0:2 ბენჯანი (45), 1:2 ქერიკი (90).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 20(9)-9(7); **ჯარიმა:** 6-11; **კუთხური:** 8-7; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 75 970

### ჩელსი-ლივერპული 0:0

**ჩელსი:** ჩეხი, ალექსი, ბელეტი, კარვალიო, ეშლი კოული, ბალაკი, ჯო კოული, ლემპარდი (70. მიკელი), მაკელელე, რაიტ-ფილიპსი (63. მალუდა), ანელკა (85. პისარო).

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, ფინენი, შკრტელი, ჯერარდი, ლუკასი, მასკერანო, რიისე, ბაბელი (71. პენანტი), კრაუჩი, კუიტი.

**გოლები:**

**გაფრთხილება:** 3-2; **ჯარიმა:** 18-24; **კუთხური:** 6-5.

**მაყურებელი:** 41 788

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 25 | 18 | 6 | 1 | 52-18 | 60 |
| 2. მანჩესტერ იუნ | 25 | 18 | 4 | 4 | 50-14 | 58 |
| 3. ჩელსი | 26 | [illegible] | 7 | [illegible] | 38-17 | 55 |
| 4. ევერტონი | 26 | 14 | 5 | 7 | 41-23 | 47 |
| 5. ლივერპული | 25 | 11 | 11 | 3 | 40-17 | 44 |
| 6. ასტონ ვილა | 26 | 12 | 8 | 6 | 48-34 | 44 |
| 7. მანჩესტერ ს | 26 | 12 | 8 | 6 | 34-29 | 44 |
| 8. პორტსმუთი | 26 | 11 | 8 | 7 | 36-26 | 41 |
| 9. ბლექბერნი | 25 | 10 | 9 | 6 | 32-31 | 39 |
| 10. ვესტ ჰემი | 25 | 10 | 7 | 8 | 30-23 | 37 |
| 11. ტოტენჰემი | 26 | 8 | 8 | 10 | 48-41 | 32 |
| 12. მიდლსბრო | 26 | 7 | 8 | 11 | 23-38 | 29 |
| 13. ნიუკასლი | 26 | 7 | 7 | 12 | 29-47 | 28 |
| 14. სანდერლენდი | 26 | 7 | 5 | 14 | 26-45 | 26 |
| 15. ბოლტონი | 26 | 6 | 7 | 13 | 26-35 | 25 |
| 16. ვიგანი | 26 | 6 | 5 | 15 | 24-42 | 23 |
| 17. რედინგი | 26 | 6 | 4 | 16 | 30-53 | 22 |
| 18. ბირმინგემი | 26 | 5 | 7 | 14 | 25-38 | 22 |
| 19. ფულჰემი | 26 | 3 | 10 | 13 | 25-44 | 19 |
| 20. დერბი | 26 | 1 | 6 | 19 | 13-55 | 9 |

**ბომბარდირები:** 19 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 18 - ადებაიორი (არსენალი); 12 - კინი (ტოტენჰემი), ფერნანდო ტორესი (ლივერპული), ბენჯანი (მანჩესტერ სიტი); 11 - სანტა კრუსი (ბლექბერნი), ტევესი (მანჩესტერ იუნ), ანელკა (ჩელსი); 10 - ბერბატოვი (ტოტენჰემი); 9 - აიეგბენი (ევერტონი); 8 - ჯერარდი (ლივერპული); 7 - ფაბრეგასი (არსენალი).

### ჩემპიონატი

XXXI ტური

**ჩარლტონი-კრ. პალასი 2:0**

გოლები: 1:0 ვორნი (60), 2:0 ვორნი (87)

**კარდიფი-ნორვიჩი 1:2**

გოლები: 0:1 ევანსი (15), 1:1 რაე (45), 1:2 ევანსი (88)

**ბარნსლი-ვესტ ბრომვიჩი 2:1**

გოლები: 1:0 ნარდიელო (30), 2:0 მაკენი (45), 2:1 მორისონი (58)

**ბრისტოლი-უენსდი 2:1**

გოლები: 1:0 ადებოლა (7), 2:0 ორი (56), 2:1 ბულენი (90)

**ბარნლი-კოლჩესტერი 1:1**

გოლები: 1:0 კოული (23), 1:1 ჯექსონი (38)

**ჰალი-ბლეკპული 2:2**

გოლები: 0:1 დიკოვი (39), 0:2 დიკოვი (50), 1:2 ფოლანი (60), 2:2 ვინდესი (71)

**იფსვიჩი-უოტფორდი 1:2**

გოლები: 0:1 სმიტი (33), 0:2 ელინგტონი (56), 1:2 ვოლტერსი (71)

**პრესტონი-კოვენტრი 1:0**

გოლი: 1:0 ლედგერი (21)

**შეფილდი-სკანთორფი 0:0**

**საუთჰემპტონი-ქუინზ პარკი 2:3**

გოლები: 1:0 პაუელი (1), 1:1 როულენდსი (38), 1:2 აგიემანგი (45), 1:3 აგიემანგი (60), 2:3 შ. ჯონი (90)

**ვულვზი-სტოკი 2:4**

გოლები: 0:1 დელაპი (4), 1:1 ედვარდსი (45), 2:1 კეოგი (47), 2:2 ლოურენსი (49), 2:3 კორტი (74), 2:4 ჰენრი (90)

**ლესტერი-პლიმუტი 0:1**

გოლი: 0:1 ჰალმოში (34)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უოტფორდი | 31 | 16 | 7 | 8 | 51-38 | 55 |
| 2. ვესტ ბრომვიჩი | 31 | 16 | 6 | 9 | 66-40 | 54 |
| 3. ბრისტოლი | 31 | 15 | 9 | 7 | 38-38 | 54 |
| 4. სტოკი | 31 | 14 | 11 | 6 | 52-39 | 53 |
| 5. ჩარლტონი | 31 | 14 | 8 | 9 | 44-34 | 50 |
| 6. იფსვიჩი | 31 | 12 | 9 | 10 | 48-40 | 45 |
| 7. ჰალი | 30 | 12 | 9 | 9 | 37-34 | 45 |
| 8. კრ. პალასი | 31 | 11 | 12 | 8 | 37-31 | 45 |
| 9. ბარნლი | 31 | 11 | 11 | 9 | 40-39 | 44 |
| 10. პლიმუტი | 31 | 11 | 10 | 10 | 37-32 | 43 |
| 11. კარდიფი | 31 | 11 | 10 | 10 | 42-40 | 43 |
| 12. ვულვზი | 31 | 11 | 10 | 10 | 30-34 | 43 |
| 13. ნორვიჩი | 31 | 11 | 8 | 12 | 31-36 | 41 |
| 14. ბარნსლი | 31 | 10 | 10 | 11 | 37-46 | 40 |
| 15. ქუინზ პარკი | 31 | 10 | 9 | 12 | 40-45 | 39 |
| 16. საუთჰემპტონი | 31 | 10 | 8 | 13 | 40-50 | 38 |
| 17. ბლეკპული | 31 | 9 | 11 | 11 | 40-40 | 38 |
| 18. შეფილდი | 31 | 9 | 11 | 11 | 34-36 | 38 |
| 19. ქოვენტრი | 30 | 10 | 5 | 15 | 34-46 | 35 |
| 20. ლესტერი | 31 | 7 | 13 | 11 | 29-30 | 34 |
| 21. პრესტონი | 31 | 9 | 6 | 16 | 30-38 | 33 |
| 22. უენსდი | 30 | 9 | 4 | 17 | 33-40 | 31 |
| 23. სკანთორფი | 31 | 7 | 10 | 14 | 29-45 | 31 |
| 24. კოლჩესტერი | 30 | 5 | 13 | 12 | 42-50 | 28 |

**ბომბარდირები:** 16 - ფილიპსი (ვესტ ბრომვიჩი); 14 - ფულერი (სტოკი); 13 - მორისონი (კრ. პალასი), ბიტი (შეფილდი), ებენქს-ბლეიკი (პლიმუტი); 11 - გრეი (ბარნლი), შ. ჯონი (საუთჰემპტონი), პატერსონი (სკანთორფი), უოლტერსი (იფსვიჩი), აგიემანგი (ქუინზ პარკი), კინგი (უოტფორდი).

### I დივიზიონი

XXXI ტური

**ჩელტენემი-ბრაიტონი 2:1; ქრიუ-სუონსი 2:2; დონკასტერი-როვერსი 2:0; ჰადერსფილდი-სუინდონი 1:0; ლუტონი-ბორნმუთი 1:4; ნორთჰემპტონი-ლიდსი 1:1; ნოტინგემი-მილუოლი 2:0; ოლდჰემი-ჯილინგემი 2:1; პორტ ვეილი-კარლაილი 1:1; საუთენდი-ჰარტლპული 2:1; ტრანმერი-ლეიტონი 1:1; უოლსოლი-იეოვილი 2:0.**

### II დივიზიონი

XXXI ტური

**ბრედფორდი-ბერი 1:2; ბრენტფორდი-შრიუსბერი 1:1; ჩესტერი-აკრინგტონი 2:3; დარლინგტონი-ბარნეტი 1:0; გრიმსბი-ჩესტერფილდი 4:2; ჰერეფორდი-დაგენჰემი 4:1; ლინკოლნი-როჩდეილი 2:1; მილტონი-როტერჰემი 1:1; მორეკამბი-მაკლსფილდი 0:1; პიტერბრო-რექსჰემი 0:0; სტოკპორტი-ნოტსი 1:1; უიკომბი-მენსფილდი 1:2.**

### კონფერენსი

XXX ტური

**კემბრიჯი-სტევენეიჯი 2:1; დროილსდენი-ალტრინჩემი 0:2; გრავესენდი-ექსეტერი 1:1; ფარსლი-ალდერშოტი 1:3; ნორთვიჩი-სალისბერი 0:1; ოქსფორდი-ჰისტონი 3:0; რაშდენი-ჰალიფაქსი 2:2; სტეფორდი-უეიმაუთი 2:1; ტორკი-კიდერმინსტერი 1:0; უოკინგი-ბარტონი 2:1; იორკი-გრეისი 2:0; ფორესტ გრინი-ქროული 1:0.**

გერმანია. ბუნდესლიგა. XIX ტური

# შალკე გაცოცხლდა, დორტმუნდი მკვდარია!

## ბაიერნმა ვერდერს ვერაფერი დააკლო...



შალკელები დერბიში გამარჯვებას ზეიმობენ

კვირა დღემ მოლოდინი გაამართლა: როგორც "ბაიერნმა" და "ვერდერმა", ასევე დორტმუნდის "ბორუსიამ" და "შალკემ" ნამდვილი გერმანული ომი გააჩაღეს და რაც მთავარია, გოლებიც უხვად გავიდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მე-19 ტურის მთავარი გამარჯვებული "შალკეა" - გელზენკირხენულმა კლუბმა მოსისხლე მტერზე შარშანდელი წყენისთვის სრულფასოვანი რევანში აიღო. "ბორუსიის" ქომაგებისთვის "შალკესთან" (თანაც საკუთარ მოედანზე) წაგებაზე მტკივნეული არაფერია. და BVB-სთვის ამაზე უარესი რაღა უნდა მოხდეს?

"ბორუსიამ" და "შალკემ" მოლოდინისამებრ ვნებიანი ბრძოლა გააჩაღეს და აღსანიშნავია, რომ **ლევან კობიაშვილის** გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში ოდნავ სჯობდა მოსისხლე მტერს. "ხუმარებმა" არა მარტო მეტი საგოლე მომენტი შექმნეს (და შესაბამისად, მეტი გოლიც გაიტანეს), არამედ, თამაშითაც დაჯაბნეს დორტმუნდელები. "რურის დიდი დერბი" "ბორუსიისთვის" ძალიან ცუდად დაიწყო: ჯერ იყო და **დიეგო კლიმოვიჩი** დაშავდა და შესაცვლელი გახდა (**თომას დოლმა** მის ნაცვლად თამაშში **ალექსანდერ ფრაი** ჩართო), მერე კი "შალკე" დაწინაურდა - "ხუმარები" **ჯერალდ ასამოამ** ახეირა და ალბათ შეხსენებას აღარ საჭიროებს ის ფაქტი, თუ როგორ უყვარს ასამოას BVB-ს კარში გოლების გატანა. მაგრამ "დორტმუნდმა" ბრძოლა, რა თქმა უნდა, არ შეწყვიტა და ზუსტად 2 წუთში **ჯოვანი ფედერიკომ** წონასწორობა აღადგინა. თუმცა 30-ე წუთზე "შალკე" ისევ დაწინაურდა: **მარტინ ამედიკმა** ავტოგოლი გაიტანა - "ბორუსიის" ფეხბურთელისთვის არაფერია იმაზე უარესი, ვიდრე "შალკესთან" ავტოგოლის გატანა. შესვენებაზე BVB-ს მორიგმა უიღბლობამ უწია - მეკარე **მარკ ციგლერი** დაშავდა და შესაცვლელი გახდა, მის ნაცვლად კი თამაშში ვეტერანი **ალექსანდერ ბადე** ჩაერთო, რომელიც ვესტფალიელებმა ზამთარში ყოველი შემთხვევისთვის იყიდეს და აი, ეს შემთხვევაც ზუსტად დერბის დაემთხვა. დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი **მლადენ პეტრიჩმა** ანგარიში კიდევ ერთხელ გაათანაბრა, მაგრამ ეს "შალკეს" დღე იყო: მალე "ბორუსია" კაცნაკლული დარჩა (დედე გააძევეს), 83-ე წუთზე კი **ფაბიან ერნსტმა** კარიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა...

მოკლედ, მოლოდინისამებრ რურის დერბიმ ბუნდესლიგის კლასიკას აჯობა: ვერ ვიტყვით, რომ "ბაიერნი"-"ვერდერიც" ისეთი დაუნდობელი თამაში იყო, როგორიც "ვესტფალენშტადიონზე" ჩატარებული დერბი, მაგრამ დაძაბულობა მიუნხენშიც იგრძნობოდა, თანაც საკმაოდ დიდი დოზით. "ბრემენელმა მუსიკოსებმა" **ფრანკ რიბერის** გარეშე დარჩენილი ბავარიელები მე-6 წუთზე შოკში ჩააგდეს: "მუსიკოსებმა" მეტოქე ნახევარმცველის შეცდომით ისარგებლეს, კონტრშეტევა წამოიწყეს, რომელიც **როზენბერგმა დიეგოს** მისამართით გაკეთებული პასით გააგრძელა, რომელიც **ლუსიომ** ვერ ჩაჭრა. ბრაზილიელმა კი გზიდან **სანიოლი** და **დემიკელისი** ჩამოიშორა, რის შემდეგაც **ოლივერ კანს** შორეულ კუთხეში გაუტანა. 29-ე წუთზე **ვიზემ ტონის** პენალტი აუღო (იტალიელი თვითონ იყო დაზარალებული, ვიზემ იუხეშა), მაგრამ სამ წუთში ბავარიელებმა მაინც გაათანაბრეს - **ზე რობერტომ** ტონის იდეალური პასით იხეირა. მეორე ტაიმში მიუნხენელები მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. შესაბამისად, ბუნდესლიგამ ინტრიგა შეინარჩუნა...

შაბათის ცენტრალურ მატჩში "ლევერკუზენმა" და "ჰამბურგმა" ქულები გაიყვეს (1:1). აღსანიშნავია, რომ "ბაიერი" თითქმის მთელი 90 წუთის განმავლობაში სჯობდა **ჰუუბ სტევენსის** გუნდს. პირველ ტაიმში "ფარმაცევტებმა" არაერთი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ ჩინებულად თამაშობდა ჰამბურგელთა კარის დარაჯი **ფრანკ როსტი**, რომელმაც HSV გაშვებული გოლისგან ორჯერ იხსნა. პირველი გოლი კი სტუმრებმა გაიტანეს - "ჰამბურგი" 28-ე წუთზე **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** დააწინაურა, რომლისთვისაც ეს რიგით მე-10 გოლი გახლდათ (ჰოლანდიელი ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია). მაგრამ სტევენსის შეგირდებმა ერთბურთიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს - მეორე ტაიმში "ლევერკუზენმა" კიდევ უფრო მოუმატა და მე-60 წუთზე **მანუელ ფრიდრიხმა** კუთხურიდან იხეირა.

"კარლსრუემ" წარმატებული სვლა კვლავ არ შეწყვიტა. **ალექსანდრე იაშვილის** გუნდმა "ჰანოვერიდან" ქულა წაიღო, რაც ბადენელებს წარმატებაში უნდა ჩაეთვალოთ. აღსანიშნავია, რომ ქართველმა თავდამსხმელმა შეუცვლელად ითამაშა და თავისიანებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო შეფასება, 2.5 ბალი მიიღო. თავიდან "ჰანოვერი" დაწინაურდა (**ბალიტში**), მაგრამ KSC-მ "წითლებს" მალევე საკადრისი პასუხი გახცა: ჯერ იყო და **ჯოშუა კენედიმ** ანგარიში გაათანაბრა (მეორე გოლი მეორე მატჩში), მერე კი **აიხნერის** იდეალური გარღვევა (მარცხენა ფლანგზე) **ტამაშ ჰაინალმა** დააგვირგვინა. "ჰანოვერმა" წონასწორობის აღდგენა და ქულის გადარჩენა ოდენ 87-ე წუთზეღა მოახერხა - გოლი **როზენტალის** ანგარიშზეა, რომელმაც "კარლსრუეს" მეკარე **მილერი** შორი დისტანციიდან დაამწუხრა. ბოლო წამს **მაიკ ჰანკემ** გოლის გატანა მოახერხა, მაგრამ მსაჯმა თამაშის წესების დარღვევა დააფიქსირა და გოლი არ ჩათვალა, რის გამოც მოედანზე გაწევ-გამოწევა და გარჩევები დაიწყო, რაც საფინალო სასტვენის შემდეგაც გაგრძელდა. ამრიგად, "კარლსრუემ" სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარა.

შტუტგარტელებს სადავეები ხელიდან გაექცათ - მოქმედი ჩემპიონი ისევ შერცხვა, თანაც, საკუთარ მოედანზე, ბერლინის "ჰერტასთან", რომელიც ამ მატჩამდე მძიმე კრიზისში იყო. ყველასათვის მოულოდნელად, "შტუტგარტის" თავკაცმა **არმინ ფეემ** ძირითადი გოლკიპერი **რაფაელ შეფერი** სასტარტო შემადგენლობიდან ამოაგდო და მის ნაცვლად **ულრაიხი** ათამაშა, მაგრამ ფეეს არც ამ სვლამ გაუმართლა. დედაქალაქელებმა **მარკო პანტელიჩის** დუბლის და ახალწვეული **რაფაელის** გოლებით მოიგეს, შვაბთაგან კი ერთადერთი გოლი **მარიო გომესის** ანგარიშზეა.

მეორე წრე გამარჯვებით დაიწყო და გამარჯვებითვე გააგრძელა **ფელიქს მაგათის** "ვოლფსბურგმა". "მგლებმა" ამჯერად ერთ-ერთი აუტსაიდერი "დუისბურგი" იმსხვერპლეს. "ვოლფსბურგი" თავიდან აგებდა - 26-ე წუთზე ანგარიში "ზებრების" ახალწვეულმა **ნიკულესკუმ** გახსნა, მაგრამ ათ წუთში **შეფერმა** წონასწორობა აღადგინა. მეორე ტაიმში კი "მგლებმა" იძალეს და გამარჯვების გოლი მაგათის ფავორიტი თავდამსხმელის, **გრაფიტეს** ანგარიშზეა. ამრიგად, მეორე წრეში მოპოვებული ორი გამარჯვებით "ვოლფსბურგმა" სახიფათო ზონის სიახლოვეს თავი დააღწია და ჯერჯერობით ცხრილის შუაში მოკალათდა. თუ "დესპოტი ფელიქსის" ბიჭები ასე გააგრძელებენ, მდგომარეობას კიდევ უფრო გაიუმჯობესებენ.

ბოხუმში, ადგილობრივმა VFL-მა და "კოტბუსმა" საფეხბურთო სპექტაკლი დადგეს. მასპინძლები ჯერ 2:0-ს იგებდნენ, მერე კი 3:1-ს, მაგრამ "კოტბუსმა" მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება და "რურშტადიონიდან" ქულის წაღება. აღსანიშნავია, რომ "ენერგის" ახალწვეულმა **მიხალ პაპადოპულოსმა**, რომელიც "კოტბუსში" "ლევერკუზენიდან" იჯარით გადავიდა, მეორე თამაშში მეორე გოლი გაიტანა. როგორც ჩანს, "ნიურნბერგს" გამოსწორება არ უწერია - **ჰანს მაიერის** სამწყსომ ვერც ამჯერად შეძლო სამი ქულის მოპოვება, არადა ფრანკები უშუალო კონკურენტ "ჰანზას" მასპინძლობდნენ. თავი გამოიჩინა და ბუნდესლიგაში დაბრუნების შემდეგ პირველად იხეირა **იან კოლერმა**, მაგრამ "ნიურნბერგს" ეს არ ეყო. როსტოკელებმა წონასწორობა მალევე აღადგინეს (**რანი**) და საფინალო სასტვენამდე აღარ მიუქარიათ. არადა, გამარჯვების შემთხვევაში გერმანიის თასის მფლობელი გასავარდნ ზონას თავს დააღწევდა.

სანამ კვირის მოვლენებზე გადავიდოდეთ, პარასკევის მატჩზეც ვთქვათ: ფრანკფურტის "აინტრახტი" ძალიან კარგად, მეტიც, თითქმის იდეალურად გამოიყურება. როგორც ჩანს, ზამთრის პაუზა ყველაზე ნაყოფიერად სწორედ ფრანკფურტელებმა გამოიყენეს. ალარაფერს ვამბოპთ იმაზე, რომ "აინტრახტმა" ძალიან საინტერესო ტრანსფერები სრულყო. ყოველ შემთხვევაში, ფაქტა, რომ **ფრიდჰელმ ფუნკელის** გუნდმა მეორე წრის სტარტზე ორივე შეხვედრა მოიგო, თანაც, ორივე დამაჯერებლად. ფრანკფურტელებმა ამჯერად ბილეფელდის "არმინია" დაამარცხეს - 2:1. თავიდან **იოანის ამანატიდისმა** იხეირა - "აინტრახტის" ბერძენმა კაპიტანმა თავისიანები 37-ე წუთზე დააწინაურა. დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, **მარტინ ფენინმა**, რომელმაც წინა ტურში ჰეთ-თრიკი შეასრულა, მეორედ დაამწუხრა **მათიას ჰაინი**. ამრიგად, ფენინს ორ თამაშში 4 გოლი აქვს. 74-ე წუთზე **არტურ ვიხნიარეკმა** ერთი ბურთი კი გაქვითა, მაგრამ ფრანკფურტელებმა მეტოქეს მეტი აღარაფერი გააბედინეს და მატჩი გამარჯვებამდე მშვიდად მიიყვანეს - "აინტრახტი" აღმავლობის გზას დაადგა.

### მომდევნო ტური

15 თებერვალი. შალკე-ვოლფსბურგი. 16 თებერვალი. დუისბურგი-შტუტგარტი, კარლსრუე-ლევერკუზენი, ვერდერი-ნიურნბერგი, კოტბუსი-ბორუსია (დ), ჰერტა-არმინია, ჰანზა-აინტრახტი. 17 თებერვალი. ჰანოვერი-ბაიერნი, ჰამბურგი-ბოხუმი.

### აინტრახტი-არმინია 2:1

**აინტრახტი:** ნიკოლოვი-3.5, პ. ოხსი-2 (83. მაჰდავიკია), გალინდო-3, კირიაკოსი-2.5 (77. რუსი), შპიხერი-3.5, კრისი-2.5, მ. ფინკი-3.5, კიოლერი-4, ვაისენბერგერი-3.5 (68. მანციოსი-4), ფენინი-2.5, ამანატიდისი-3.

**არმინია:** ჰაინი-3.5, კორზინიტცი-4, კუჩერა-4.5, გაბრიელი-4, შულერი-5, კაუფი-3.5 (90. კამპანტაისი), ტ. მარქსი-4 (46. კამპერი-4), კირხი-5, ბიომე-4.5 (73. აიგლერი), ზუმა-4, ვიხნიარეკი-4.

**გოლები:** 1:0 ამანატიდისი (37), 2:0 ფენინი (47), 2:1 ვიხნიარეკი (74).

**გაფრთხილება:** 1-4.

**მაყურებელი:** 43 300.

### ლევერკუზენი-ჰამბურგი 1:1

**ლევერკუზენი:** რ. ადლერი-2.5, ვიდალი-4, მ. ფრიდრიხი-3, კალსენ-ბრაკერი-4.5, გრეშკო-3.5, ბ. შნაიდერი-3.5, შვეგლერი-4 (46. ფრაიერი-3), როლფესი-3, ბარნეტა-2, ბარბარესი-3.5 (85. ბულიკინი), კისლინგი-3.5.

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-1.5, დემელი-3.5, ბ. რაინჰარდტი-4, მატიისენი-3, ბენჯამინი-4, კომპანი-4.5, დე იონგი-4, ტროხოვსკი-3 (85. იაროლიმი), ვან დერ ვაარტი-2.5, ოლიჩი-3 (90. ფილინგერი), გერერო-4 (69. ჩუპომოტინგი-3.5).

**გოლები:** 0:1 ვან დერ ვაარტი (28), 1:1 მ. ფრიდრიხი (60).

**გაფრთხილება:** 1-2.

**მაყურებელი:** 22 500.

### შტუტგარტი-ჰერტა 1:3

**შტუტგარტი:** ულრაიხი-4, ბეკი-4.5 (55. ა. და სილვა-4), მეირა-5.5, დელპიერი-4.5, მანინი-3.5, ხედირა-4, ჰილბერტი-4.5, ჰიტცლშპერგერი-4 (67. ფარნერუდი-4), ბაშთურქი-4, კაკაუ-3.5 (67. მარიკა-3.5), გომესი-2.5.

**ჰერტა:** დრობნი-2.5, ა. ფრიდრიხი-2.5, შიმუნიჩი-3.5, ფათი-3.5, ჩაჰედი-4, ლუსტენბერგერი-5 (46. მინეირო-3), კაჩარი-3 (67. დარდაი-3.5), სკაჩელი-3, რაფაელი-3, ებერტი-2.5 (85. პიეჩეკი), პანტელიჩი-1.5.

**გოლები:** 0:1 პანტელიჩი (7), 1:1 გომესი (40), 1:2 პანტელიჩი (45), 1:3 რაფაელი (49).

**გაძევება:** დელპიერი (81. შტუტგარტი).

**გაფრთხილება:** 0-3.

**მაყურებელი:** 50 000.

### ბოხუმი-კოტბუსი 3:3

**ბოხუმი:** ლასტუვკა-5, პფერტცელი-3.5, მალტრიტცი-4, იაია-4, ბიონიგი-4, იმჰოფი-3.5, ჟდებელი-5 (64. ონო-3.5), დაბროვსკი-3.5, აზაუაგი-2.5 (86. დ. ფუხსი), სესტაკი-2.5 (88. ბიელიკი), აუერი-4.

**კოტბუსი:** ტრემელი-3.5, იპსა-5, მიტრესკი-4.5, კვიტანოვიჩი-4, ციბიგი-3.5, ბასილა-3.5, ს. ანგელოვი-3, ტ. როსტი-3.5 (77. რივიჩი), სკელა-3 (89. რადელიჩი), პაპადოპულოსი-3 (69. იელიჩი-2.5), დ. სიორენსენი-4.5.

**გოლები:** 1:0 იპსა (7-საკ. კარში), 2:0 სესტაკი (42), 2:1 პაპადოპულოსი (45), 3:1 აუერი (68), 3:2 სკელა (69), 3:3 იელიჩი (79).

**გაფრთხილება:** 1-1.

**მაყურებელი:** 22 075.

### ვოლფსბურგი-დუისბურგი 2:1

**ვოლფსბურგი:** ბენალიო-2.5, რიტერი-3 (56. რიკარდო კოშტა-3.5), შიმუნეკი-4, მადლუნგი-3, მ. შეფერი-2, გენტნერი-3, ჰასებე-4, ჟოსუე-4 (90. კიროგა), მარსელინიო-2.5 (76. დეჟაგა), გრაფიტე-2.5, ჯეკო-3.

**დუისბურგი:** ბოიკერტი-5.5, ლამეი-5 (23. ვაინაუ-4), ფილიპესკუ-4, შლიკე-4, ვილი-3.5, ტარარაჩე-4, გრლიჩი-4, გეორგიევი-5 (84. ვრუჩინა), მიოლდერსი-5, ლავრიჩი-5.5 (46. იშიაკუ-4.5), ნიკულესკუ-3.

**გოლები:** 0:1 ნიკულესკუ (26), 1:1 მ. შეფერი (36), 2:1 გრაფიტე (54).

**გაფრთხილება:** 0-2.

**მაყურებელი:** 18 755.

### ნიურნბერგი-ჰანზა 1:1

**ნიურნბერგი:** ბლაჟეკი-4, დ. რაინჰარდტი-3, ბოშამი-5, გლაუბერი-5 (81. აბარდონადო), პინოლა-3, გალაშეკი-4, კლუგე-3, ხარისტეასი-5, კრისტიანსენი-3.5 (67. ნ. ადლერი-4), მიშიმოვიჩი-3 (25. საენკო-4.5), კოლერი-2.5.

**ჰანზა:** ვეხტერი-3, დ. ლანგენი-3.5 (83. ლუკიმია), სებასტიანი-4, ორესტესი-3, მ. შტაინი-3.5, ბარტელსი-4 (90. იელენი), ბიულოვი-4, რათგები-3.5, რანი-3, კერნი-4.5, შაპურზადე-4 (70. დორნი-4).

**გოლები:** 1:0 კოლერი (19), 1:1 რანი (28).

**გაფრთხილება:** 2-2.

**მაყურებელი:** 36 470.

### ჰანოვერი-კარლსრუე 2:2

**ჰანოვერი:** ენკე-3.5, ჩერუნდოლო-4, ვინიციუსი-5, ფარენჰორსტი-4, ტარნატი-4.5, ბალიტში-3, ლალა-3.5 (68. კ. შულცი-3.5), შტაინერი-4 (72. ჰაშემიანი), ბრუგინკი-4 (68. როზენტალი-3), ჰუშტი-4.5, ჰანკე-4.

**კარლსრუე:** მილერი-3.5, ა. გიორლიტცი-3, ეგიმანი-2.5, ფრანცი-3.5, აიხნერი-2.5, მუტცელი-4.5, ადუბე-3.5 (80. ბუკი), ტიმი-3, ჰაინალი-3, იაშვილი-2.5, კენედი-3 (73. კაპლანი).

**გოლები:** 1:0 ბალიტში (44), 1:1 კენედი (61), 1:2 ჰაინალი (64), 2:2 როზენტალი (87).

**გაფრთხილება:** 3-3.

**მაყურებელი:** 40 112.

### ბაიერნი-ვერდერი 1:1

**ბაიერნი:** კანი-4, სანიოლი-4 (79. სოსა), ლუსიო-3, დემიკელისი-2.5, ლამი-3.5, ვან ბომელი-2.5, ზე რობერტო-2, ჰამით ალთინთოფი-2.5, შვაინშტაიგერი-4 (67. კროოსი-3), კლოზე-5 (75. პოდოლსკი), ტონი-2.5.

**ვერდერი:** ვიზე-2, პასანენი-3.5 (66. ოვომოიელა-4), მერტესაკერი-2.5, ბაუმანი-4, ტოშიჩი-5, დ. იენსენი-3.5, ბოროვსკი-4, ჰანტი-3.5, დიეგო-3, როზენბერგი-3.5, ჰარნიკი-4.5 (60. იოზილი-3).

**გოლები:** 0:1 დიეგო (6), 1:1 ზე რობერტო (32).

*29-ე წუთზე ლუკა ტონიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე).*

**გაფრთხილება:** 4-5.

**მაყურებელი:** 69 000.

### ბორუსია (დ)-შალკე 2:3

**ბორუსია (დ):** ციგლერი-5.5 (46. ბადე-3.5), რუკავინა-4, ამედიკი-5.5, კოვაჩი-4.5, დედე-4, კელი-4, კრინგე-4 (71. ბაკლი), ტინგა-2, ფედერიკო-2.5, კლიმოვიჩი (17. ფრაი-3), პეტრიჩი-2.5.

**შალკე:** ნოიერი-3, რაფინია-4, ბორდონი-3.5, კრსტაიჩი-4, ვესტერმანი-2.5, ჯონსი-3, ფ. ერნსტი-2, რაკიტიჩი-2.5 (77. შტრაიტი), კობიაშვილი-4, ასამოა-1.5 (85. ლარსენი), ჰალილ ალთინთოფი-2.5 (69. სანჩესი-3).

**გოლები:** 0:1 ასამოა (19), 1:1 ფედერიკო (21), 1:2 ამედიკი (30-საკ. კარში), 2:2 პეტრიჩი (50), 2:3 ფ. ერნსტი (83).

**გაძევება:** დედე (76. ბორუსია).

**გაფრთხილება:** 2-3.

**მაყურებელი:** 80 708.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 19 | 11 | 7 | 1 | 34-10 | 40 |
| 2. ვერდერი | 19 | 11 | 4 | 4 | 44-27 | 37 |
| 3. შალკე | 19 | 9 | 8 | 2 | 33-20 | 35 |
| 4. ლევერკუზენი | 19 | 10 | 4 | 5 | 36-19 | 34 |
| 5. ჰამბურგი | 19 | 9 | 7 | 3 | 26-15 | 34 |
| 6. კარლსრუე | 19 | 9 | 5 | 5 | 23-23 | 32 |
| 7. აინტრახტი | 19 | 7 | 8 | 4 | 24-24 | 29 |
| 8. ჰანოვერი | 19 | 8 | 5 | 6 | 30-31 | 29 |
| 9. ვოლფსბურგი | 19 | 7 | 5 | 7 | 33-31 | 26 |
| 10. შტუტგარტი | 19 | 8 | 1 | 10 | 26-32 | 25 |
| 11. ბოხუმი | 19 | 6 | 5 | 8 | 30-31 | 23 |
| 12. ჰერტა | 19 | 7 | 2 | 10 | 22-28 | 23 |
| 13. ბორუსია (დ) | 19 | 6 | 4 | 9 | 31-36 | 22 |
| 14. ჰანზა | 19 | 5 | 3 | 11 | 18-29 | 18 |
| 15. არმინია | 19 | 5 | 3 | 11 | 20-41 | 18 |
| 16. ნიურნბერგი | 19 | 4 | 4 | 11 | 22-31 | 16 |
| 17. კოტბუსი | 19 | 3 | 7 | 9 | 22-33 | 16 |
| 18. დუისბურგი | 19 | 4 | 2 | 13 | 18-31 | 14 |

**ბომბარდირები:** 10 - დიეგო (ვერდერი), ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი), ტონი (ბაიერნი), პანტელიჩი (ჰერტა); 9 - პანტელიჩი (ჰერტა), სესტაკი (ბოხუმი), პეტრიჩი (ბორუსია დ), კლოზე (ბაიერნი); 8 - ვიხნიაეკი (არმინია), ოლიჩი (ჰამბურგი), ჰანკე (ჰანოვერი), გეკასი (ლევერკუზენი), კურანი (შალკე), გომესი (შტუტგარტი).

### II ბუნდესლიგა

XIX ტური

**კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი 1:2**

გოლები: 1:0 შიონჰაიმი (11-პენ), 1:1 კუჩუკოვიჩი (74), 1:2 ჰოლებასი (91).

**ზტ. პაული-კარლ ცაისი 2:2**

გოლები: 1:0 ტაკიი (12-პენ), 1:1 ციგნერი (54), 1:2 შიმაკი (68-პენ), 2:2 ფ. ბრუნსი (88).

**აუე-ოფენბახი 3:1**

გოლები: 1:0 პეტრუსი (23), 2:0 კაუფმანი (42), 3:0 კაუფმანი (78-პენ), 3:1 ტიურკერი (81).

**ჰოფენჰაიმი-ბორუსია (მ) 4:2**

გოლები: 0:1 კლაინე (23), 0:2 ნოივილი (40-პენ), 1:2 ტებერი (55), 2:2 კოპადო (66), 3:2 კოპადო (69), 4:2 ბა (88).

**პადერბორნი-ფრაიბურგი 3:2**

გოლები: 0:1 ამპომა (29), 1:1 ლიობე (44), 2:1 ლიობე (48), 3:1 ლიობე (63), 3:2 აკრუტი (72).

**მაინცი-ფიურტი 1:2**

გოლები: 0:1 კოტულაცი (51), 1:1 ბოაკი (74), 1:2 ბილიშკოვი (88).

**აუგსბურგი-კობლენცი 1:0**

გოლი: 1:0 ლ. მიულერი (22).

**ოსნაბრიუკი-ვეენი 0:2**

გოლები: 0:1 კიონიგი (3), 0:2 სიმაჩი (89).

**ალემანია-კიოლნი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (მ) | 19 | 10 | 7 | 2 | 39-23 | 37 |
| 2. ფიურტი | 19 | 10 | 5 | 4 | 33-22 | 35 |
| 3. მაინცი | 19 | 9 | 5 | 5 | 33-19 | 32 |
| 4. კიოლნი | 18 | 9 | 4 | 5 | 33-24 | 31 |
| 5. მიუნხენი | 19 | 8 | 7 | 4 | 31-22 | 31 |
| 6. ფრაიბურგი | 19 | 8 | 7 | 4 | 30-24 | 31 |
| 7. ჰოფენჰაიმი | 19 | 7 | 7 | 5 | 30-29 | 28 |
| 8. ვეენი | 19 | 6 | 8 | 5 | 28-28 | 26 |
| 9. აუგსბურგი | 19 | 7 | 5 | 7 | 27-28 | 26 |
| 10. ალემანია | 18 | 6 | 6 | 6 | 25-25 | 24 |
| 11. ზტ. პაული | 19 | 6 | 6 | 7 | 23-27 | 24 |
| 12. კობლენცი | 19 | 5 | 8 | 6 | 22-27 | 23 |
| 13. ოსნაბრიუკი | 19 | 5 | 6 | 8 | 26-35 | 21 |
| 14. ოფენბახი | 19 | 5 | 6 | 8 | 20-33 | 21 |
| 15. აუე | 19 | 5 | 4 | 10 | 24-33 | 19 |
| 16. კაიზერსლაუტ. | 19 | 3 | 7 | 9 | 19-24 | 16 |
| 17. პადერბორნი | 19 | 2 | 9 | 8 | 14-23 | 15 |
| 18. კარლ ცაისი | 19 | 3 | 5 | 11 | 27-38 | 14 |

**ბომბარდირები:** 14 - ნოვაკოვიჩი (კიოლნი); 13 - რაიხენბერგერი (ოსნაბრიუკი); 10 - ფრინდი (ბორუსია მ); 9 - რაიზინგერი (ფიურტი), ბორხა (მაინცი); 8 - კოპადო (ჰოფენჰაიმი), ნოივილი (ბორუსია მ); 7 - გუნკელი (მაინცი), რიოსლერი (ბორუსია მ), დი სალვო (მიუნხენი), ტიურკერი (ოფენბახი).

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXIII ტური

# სად დაფრინავს ფრანკი?

## რეალის გადამკიდე ბარსელონას სასწაულიღა თუ უშველის. სამეფო კლუბმა ვალიადოლიდი მიწასთან გაასწორა



რეალმა და რაულმა გაილაღეს

"რეალთან" მისაახლოებლად ამჯერად **ჩავის** გოლი საკმარისი აღარ აღმოჩნდა. მოგეხსენებათ, 22-ე ტურში "ბარსელონამ" "ოსასუნას" სწორედ ერნანდესის გოლის წყალობით მოუგო და სამეფო კლუბთან იმ დროისთვის არსებული 9-ქულიანი ჰანდიკაპი 6 ქულამდე შეამცირა. კატალონიური გრანდის მე-6 ნომერმა "სანჩეს პისხუანზეც" შეაგდო, მაგრამ ერთი ქულა საკმარისი ნამდვილად არ აღმოჩნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, **ბერნდ შუსტერის** ბიჭებმა "ვალიადოლიდი" იოლად დაამარცხეს და რვა ქულით დაწინაურდნენ. დედაქალაქელთა თამაშის შესახებ მოგვიანებით მოგახსენებთ, მანამდე კი მოდით, "ბარსელონაზე" ვისაუბროთ...

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სტუმრებმა პირველი ტაიმი მთლიანად ჩააგდეს. სხვადასხვა მიზეზის გამო შესუსტებული შემადგენლობით მოასპარეზე "ბარსა" ანდალუსიელთა მძლავრ იერიშებს ვერ უმკლავდებოდა. ყველაზე იოლად შესამჩნევი **დიეგო კაპელისა** და **ოლეგერის** უთანასწორო დუელები გახლდათ. მოგეხსენებათ, **ჯანლუკა ძამბროტამ** იტალიის ნაკრებში ჩატარებულ შეხვედრაში ტრავმა მიიღო, როს გამოც **ფრენკ რაიკაარდი** იძულებული გახდა, მის ნაცვლად ოლეგერი გამოეყვანა. ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე უნდა ითქვას, რომ სევილიელმა კატალონიელს ტყავი გააძრო. ალბათ, პირველ რიგში კაპელის დამსახურებაა, რომ სტუმართა მცველები მიუტევებელ შეცდომებს უშვებდნენ. უსწრაფესმა გარემარბმა არა მარტო ოლეგერი, არამედ **ტურამი** და **მილიტოც** გაანამა. მისი გამაოგნებელი შეტევების ფონზე რაიკაარდის ბიჭები აბსოლუტურად ვერაფერს აკეთებდნენ. "ბარსას" ერთი საგოლე მომენტიც კი არ შეუქმნია. **ანრის, მესისა** და **ჯოვანის** ტრიო ყოველთვის ხელმოცარული რჩებოდა. საპირისპირო კართან კი მომენტი მომენტზე იქმნებოდა. **კანუტეს, ლუიშ ფაბიანოსა** და კაპელს არაერთხელ შეეძლოთ **ვიქტორ ვალდესის** კარის დალაშქვრა, მაგრამ ზოგჯერ გოლკიპერი ყოჩაღობდა, ზოგჯერ კი თავად მასპინძლები ცოდავდნენ. ამ მატჩის შემხედვარე ადამიანი აუცილებლად იტყოდა, რომ უშედეგო ცალკარა დიდ ხანს არ გაგრძელდებოდა. ასეც მოხდა, 34-ე წუთზე სტუმრებმა ერთი შეტევის მსვლელობისას რამდენიმე მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს. ჯერ დაცვის მარცხენა ფლანგი ჩაფლავდა, შემდეგ კი ტურამს, მილიტოსა და ოლეგერს ჩაეძინათ. შედეგად, კაპელმა მარჯვენა ფრთიდან ჩამონოდებულ ბურთს ცარიელ კარში მიუჩინა ადგილი. "სევილია" დაწინაურებას აშკარად იმსახურებდა. მეტიც, უფრო სამართლიანი იქნებოდა, ხიმენესის შეგირდებს კიდევ ერთი, ან ორი ბურთი რომ შეეგდოთ.

შესვენების შემდეგ რაიკაარდმა **ედმილსონისა** და ტურამის ნაცვლად **რონალდინიო** და **მარკესი** გამოიყვანა. მათ გუნდის თამაში არ გამოუცოცხლებიათ. "ბარსელონა" ისევ ინერტულად მოქმედებდა. აბსოლუტურად გაუგებარია, ანგარიშის გათანაბრება როგორ შეძლეს. როგორც იცით, თავი ჩავიმ გამოიჩინა. კატალონიელთა უპირატესობა მხოლოდ შეხვედრის მიწურულს გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ ისიც მაშინ, როცა **კეიტას** გაძევების გამო "სევილია" კაცნაკლული დარჩა და ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნვა დაიწყო. მიუხედავად ამისა, დარჩენილ დროში ანდალუსიელებმა "ბარსელონაზე" კარგი მომენტები მოამწიფეს.

აშკარაა, "ბარსას" რაღაც სენი შეეყარა. გუნდი, რომელიც ულამაზესი ფეხბურთით ატკბობდა გულშემატკივრებს საცოდავი სანახავია. რა თქმა უნდა, უმიზეზოდ და შემთხვევით არაფერი ხდება. საზოგადოებას ახლა ყველაზე მეტად სწორედ წარუმატებლობების მიზეზები აინტერესებს. სამწუხაროდ, უტყუარ პასუხს ვერავინ ვერავის იტყვის. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ რაიკაარდმა გუნდი კარგად ვერ მოამზადა. ფეხბურთელები შესაძლებლობების მეხუთედსაც ვერ ამჟღავნებენ და ეს ცხადია, მთავარი მწვრთნელის პრობლემაა. გვეჩვენება, რომ ბარსელონელები ყოველთვის ყველაზე უფრო ადრე ილლებიან. ორთაბრძოლებს იოლად აგებენ. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა სეზონის დაწყების წინ ტურამი გაეშვათ და მის ნაცვლად რომელიმე ახალგაზრდა მცველი მოეყვანათ. ფაქტია, ლილიანის შეცდომების გამო მრავალი ქულა დაიკარგა. **რონალდინიო** საკუთარ აჩრდილსაც აღარ ჰგავს. რაიკაარდმა განგაშის ზარები მხოლოდ ახლა შემოჰკრა. არადა, ბევრად აჯობებდა გაუჩოს არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ პრეტემპორადისას ესაუბრა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კატალონიური გრანდის დასუსტებაზე პასუხი ფრენკ რაიკაარდმა უნდა აგოს. იყო დრო, როცა მისი მშვიდი ხასიათითა და უთქმელობით საზოგადოება აღტაცებას დაუფარავად გამოხატავდა, მაგრამ ახლა მისი თვისებები აბსოლუტურად განსხვავებულ რეაქციას იწვევს. გულშემატკივრები სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ, ჰოლანდიელს წინასწარვე უნდა განეჭვრიტა მოვლენათა შესაძლო განვითარება და ხელმძღვანელობისთვის ეთქვა, რომ ძალიან ბევრი პრობლემა დაუგროვდათ და მათ გადასაჭრელად სწრაფი და აქტიური მოქმედება იყო საჭირო. რაიკაარდმა სიტუაციის გამწვავებას დუმილი ამჯობინა.

მხოლოდ მთავარ მწვრთნელზე რომ არ გადატყდეს ჯოხი, ფეხბურთელების ცოდვებზეც მოგახსენებთ. მაგალითად, პლანეტის ერთ-ერთი უნიჭიერესი მოთამაშე ლეო მესი კარიერის ურთულეს დღეებს ატარებს. დაუჯერებელია, მაგრამ არგენტინელს აგერ უკვე ორი თვეზე მეტია გოლი არ გაუტანია. არადა, სეზონის დასაწყისში იმდენად კარგად ასპარეზობდა, რომ ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნული ლიდერი გახლდათ. "ვალენსიასთან" მატჩში მიღებული ტრავმის გამო ლეოს დიდი დრო გაუცდა. ამბობენ, სწორედ ამ ტრავმის ბრალია, ფორმა რომ დაკარგაო. არის ამ მოსაზრებაში ლოგიკის მარცვალი. იმედი ვიქონიოთ, რომ მესი მალე დაიბრუნებს ჩვეულ კონდიციებს და მისთვის დამახასიათებელი ჯადოსნური გარღვევებით კიდევ არაერთხელ მოგვხიბლავს.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე რაიკაარდმა რა აღარ თქვა, შეხვედრა კარგად დავიწყეთ, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში არ გვიმართლებდაო. უიღბლობა უსასრულოდ არ გაგრძელდება და "ბარსელონა" გოლების გატანას ისევ დაიწყებსო. "სევილიის" სიძლიერისა და "სანჩეს პისხუანის" ფაქტორის გათვალისწინებით ფრე არცთუ ურიგო შედეგიაო. რა უნდა თქვას კაცმა? ნუთუ ჰოლანდიელმა რეალობის შეგრძნება დაკარგა? განა მას ეჭვი ეპარებოდა, რომ სამეფო კლუბი "ვალიადოლიდთან" არ წაიფორხილებდა და უპირატესობას რვა ქულამდე გაზრდიდა? მართლაც გაუგებარია, ბატონმა ფრანკმა როგორ მონახა საკუთარ თავში საიმისო ძალა, რათა ეთქვა, რომ "პისხუანზე" ფრე არცთუ ცუდი შედეგია...

დიდი ხანია, "სანტიაგო ბერნაბეუზე" მისულ გულშემატკივრებს მოწინააღმდეგის კარში გოლების წვიმა არ უნახავთ. კურიოზულია, მაგრამ ბოლოს ასეთი რამ ექვსი წლის წინ ზუსტად 10 თებერვალს მოხდა. სამეფო კლუბმა მაშინაც 7:0 იმარჯვა. "ლას პალმასის" გაცამტვერებაში ყველაზე დიდი წილი **ფერნანდო მორიენტესმა** შეიტანა. მორომ იმ საღამოს ხუთჯერ გაიტანა. კიდევ ერთი სტატისტიკური მონაცემი. "რეალმა" არსებობის განმავლობაში ამ უჩვეულო ანგარიშით მე-13 პრიმერადივიზიონური მატჩი მოიგო. სხვათა შორის, 13-ივე პაექრობა "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართა.

გუშინ **რაულმა** დუბლი შეასრულა. უნდა მოგახსენოთ, რომ "ვალიადოლიდმა" "სანტიაგო ბერნაბეუზე" წინა სტუმრობისასაც შვიდი გოლი გაუშვა. აქედან სამი გონსალეს ბლანკოს ანგარიშზე ჩაიწერა. ეს ყველაფერი 2003 წლის სექტემბერში მოხდა. ვალიადოლიდელებმა გუშინდელისგან განსხვავებით, მაშინ ორი ბურთი მაინც გაიტანეს. უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რაულს ყველაზე მეტი გოლი (14) "ვალიადოლიდის" კარში აქვს გატანილი. ეს ცინიზმია და სხვა არაფერი, რადგან კასტილიისა და ლეონის 300-ათასიან დედაქალაქში გონსალეს ბლანკო 200 ათასი ადამიანისთვის მაინც უსაყვარლესი და უპირველესი კუმირია. რომ არ გამოგვრჩეს აქვე მოგახსენებთ, "ვალიადოლიდს" პრიმერა დივიზიონში 7:0-ზე დიდი ანგარიშით არასოდეს წაუგია. ასეთი მარცხი მათ მეორედ იწვნიეს. "რეალამდე" კასტილია-ლეონელებმა 1958\59 წლების სეზონში "ატლეტიკოსთან" წააგეს.

უშუალოდ შეხვედრის პერიპეტიებზე რა უნდა მოგახსენოთ. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებს ტრავმირებული **რუუდ ვან ნისტელროი** აკლდათ, მეტოქე მათ პირწმინდად დაჩაგრეს. სამეფო კლუბის თამაშის მნახველ ადამიანს აღარ დაებადება კითხვა, თუ ვინ გაიმარჯვებს წლევანდელ პრიმერა დივიზიონში. რა თქმა უნდა, ბურთი მრგვალია და სასწაულიც შეიძლება მოხდეს. დარჩენილ შეხვედრებს ეს ერთადერთი ინტრიგაღა შემორჩა. დიახ, სასწაულიღა თუ იხსნის "ბარსელონას".

"ატლეტიკომ" 13 იანვრის შემდეგ პირველი გამარჯვება იზეიმა. "როხიბლანკომ" "ელ სარდინეროზე" საუცხოოდ იასპარეზა. დედაქალაქელებმა "რასინგს" მწყობრი და ორგანიზებული დაცვა დაუპირისპირეს. სანტანდერელებს რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ **აბიატის** კარს გასაღები ვერ მოუნახეს. სამაგიეროდ, **კოლტორტის** დაადგა შავი დღე. **დიეგო ფორლანმა** "რასინგის" მეკარეს ორი ულამაზესი გოლი შეუგდო.

**მანოლო სამბრანომ** "რეკრეატივოს" მთავარი მწვრთნელის რანგში ჩატარებული სადებიუტო შეხვედრა მოიგო. შეგახსენებთ, წინა ტურში განცდილი წარუმატებლობის გამო, ანდალუსიური კლუბის ხელმძღვანელებმა **ვიქტორ მუნიოსი** თანამდებობიდან გადააყენეს და კლუბი სამბრანოს ანდეს. უელველთა ახალმა დამრიგებელმა წარმატებით უზომოდ გაიხარა. გულშემატკივრებს მან უთხრა, "რეკრეატივოს" საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს და მჯერა, პრიმერა დივიზიონში ადგილს შევინარჩუნებთო. "ესპანიოლის" მთავარმა მწვრთნელმა, **ერნესტო ვალვერდემ** ვაჟკაცურად განაცხადა, სტუმრებმა სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვესო.

### მომდევნო ტური

17 თებერვალი. სარაგოსა-ბარსელონა, ლევანტე-ოსასუნა, ატლეტიკო-ბილბაო, ვილიარეალი-რასინგი, ალმერია-მურსია, ვალიადოლიდი-მალიორკა, ბეტისი-რეალი, ხეტაფე-ვალენსია, რეკრეატივო-დეპორტივო, ესპანიოლი-სევილია.

### დეპორტივო-ხეტაფე 1:1

**დეპორტივო:** ფაბრი, მანუელ პაბლო (75. ბარაგანი), ლოპო, პაბლო ამო, კოლოჩინი, ფილიპე ლუისი, ხუან როდრიგესი, დე გუსმანი, ა. ტომასი (80. სერხიო), ვერდუ (65. ვილჰელმსონი).

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კორტესი, კატა დიასი, მარიო, ლიხტი, გრანერო, დე ლა რედი, კასკერო, გავილანი (60. უჩე), ალბინი (72. კონტრა), მანუ დელ მორალი (80. ბრაულიო).

**გოლები:** 1:0 მარიო (43-საკ. კარში), 1:1 უჩე (68)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 3(0)-12(3); **კუთხური:** 6-4; **თამაშგარე:** 2-1; **ჯარიმა:** 18-15; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 18 000

### მურსია-ვილიარეალი 0:1

**მურსია:** ნოტარიო, დავიდ დე კოსი, არსო, კუადრადო, პენია, დე ლუკასი (70. როსინელი), პაბლო გარსია, რიჩი, ხოფრე (56. რეგეირო), ივან ალონსო, გოიტომი.

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ხავი ვენტა, სიგანი, გონსალო, კაპდევილა, კასორლა, ხოსიკო, ეგურენი (90. გოდინი), კანი (79. პირესი), ფრანკო, როსი (61. ნიჰათი).

**გოლი:** 0:1 ფრანკო (90+2)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 8(2)-7(1); **კუთხური:** 6-3; **თამაშგარე:** 7-1; **ჯარიმა:** 13-21; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 23 150

### სევილია-ბარსელონა 1:1

**სევილია:** პალოპი, დანიელ ალვესი, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ადრიანო, ხესუს ნავასი (82. მარესკა), პოულსენი, კეიტა, დიეგო კაპელი, კანუტე (64. რენატო), ლუიშ ფაბიანო.

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ოლეგერი, ტიურამი (46. მარკესი), გ. მილიტო, აბიდალი, ჯოვანი, ჩავი, ედმილსონი (46. რონალდინიო), ინიესტა, მესი, ანრი (59. გუდიონსენი).

**გოლები:** 1:0 დიეგო კაპელი (33), 1:1 ჩავი (74)

**გაძევება:** კეიტა (78. სევილია)

**გაფრთხილება:** 5-4; **დარტყმა:** 18(6)-16(6); **კუთხური:** 2-2; **თამაშგარე:** 1-3; **ჯარიმა:** 20-14; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 45 500

### ოსასუნა-სარაგოსა 1:0

**ოსასუნა:** რიკარდო, ასპილიკუეტა, კრუჩაგა, ხოსეტო, მონრეალი, ხავი გარსია, პუნიალი, ხუანფრანი, პლასილი (80. ექტორ ფონტი), ველა (63. დელპორტი), დადი (88. სოლა).

**სარაგოსა:** სესარი, დიოგო, სერხიო, აიალა, ხუანფრანი (52. პარედესი), ლუქსენი, სელადესი (79. საპატერი), გაბი (73. ოსკარი), სერხიო გარსია, დიეგო მილიტო, რიკარდო ოლივეირა.

**გოლი:** 1:0 პლასილი (45)

**გაფრთხილება:** 5-2; **დარტყმა:** 15(5)-6(2); **კუთხური:** 11-1; **თამაშგარე:** 1-0; **ჯარიმა:** 21-17; **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 24 000

### ბილბაო-ლევანტე 1:0

**ბილბაო:** არმანდო, ირაოლა, უსტარიტსი, ამორებიეტა, დელ ორნო, ხავი მარტინესი, ორბაისი, დავიდ ლოპესი (67. კუელარი), იესტე (80. გარმენდია), ლორენტე, აიტორ რამოსი (28. ადურისი).

**ლევანტე:** კუიოვიჩი, დესკარგა, ალვარო, ხოსე სერანო, დავიდ კასტედო, ბერსონი, მიგელ ანხელი, პედრო ლეონი, კურტუა, ეტიენი (60. რიგა), იბორა (68. საული).

**გოლი:** 1:0 ლორენტე (55)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 12(4)-11(4); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 6-0; **ჯარიმა:** 16-17; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 30 000

### რასინგი-ატლეტიკო 0:2

**რასინგი:** კოლტორტი, პინილიოსი, სესარ ნავასი, გარაი (81. ორიოლი), აიოსე, კოლსა, სერანო, დუშერი (86. მორატონი), პაბლო ალვარესი (70. ჯონათან ვალე), ივან ბოლადო, სმოლიარეკი.

**ატლეტიკო:** აბიატი, ანტონიო ლოპესი, პაბლო, პერეა, პერნია, კლებერ სანტანა, რაულ გარსია, მაქსი როდრიგესი (85. რეიესი), სიმაო (72. ლუის გარსია), ფორლანი, აგუერო (78. მისტა).

**გოლები:** 0:1 ფორლანი (55), 0:2 ფორლანი (73)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 9(4)-17(12); **კუთხური:** 9-4; **თამაშგარე:** 3-2; **ჯარიმა:** 20-11; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 25 000

### მალიორკა-ალმერია 0:0

**მალიორკა:** მოია, რამისი, ნუნიესი, ფერნანდო ნავარო, სკალონი, იონას გუტიერესი, არანგო, იბაგასა, ბასინასი (70. ვარელა), გუისა (85. ნსუე), ტრეხო (59. ბორხა ვალერო).

**ალმერია:** დიეგო ალვესი, ბრუნო, კარლოს გარვია, პულიდო, მანე, ფელიპე მელო, ხუანიტო, კრუსატი, კორონა (65. ორტისი), ხუანმა ორტისი (82. ლოპეს რეკარტე), ნეგრედო (76. კალუ უჩე).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 12(4)-8(0); **კუთხური:** 10-4; **თამაშგარე:** 1-3; **ჯარიმა:** 21-25; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 24 500

### ესპანიოლი-რეკრეატივო 1:2

**ესპანიოლი:** კასილა, ჩიკა, ტორეხონი, კლემენტე როდრიგესი, ლაკრუსი (49. ხარკე), დე ლა პენია, რუფეტე, რიერა, მოისეს ურტადო (23. ლოლა), ლუის გარსია, ჯონათან სორიანო (10. ევერტონი).

**რეკრეატივო:** სორენტინო, ედუ მოია, მარტინ კასერესი, ბეტო, პოლი, ხესუს ვასკესი, აიტორი, კარლოს მარტინსი (90. ბარბერი), კამუნასი, ვარელა (70. ხერარდი), სინამა პონგოლე (77. მარკო რუბენი).

**გოლები:** 0:1 სინამა პონგოლე (17), 0:2 სინამა პონგოლე (25), 1:2 ევერტონი (39)

**გაძევება:** პოლი (87. რეკრეატივო)

**გაფრთხილება:** 4-4; **დარტყმა:** 9(4)-19(3); **კუთხური:** 3-4; **თამაშგარე:** 6-0; **ჯარიმა:** 17-16; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 34 000

### რეალი-ვალიადოლიდი 7:0

**რეალი:** კასილიასი, მიჩელ სალგადო, კანავარო, მარსელო, სერხიო რამოსი (58. დიარა), რობენი, გუტი, ჟულიო ბაპტიშტა, გაგო (74. სოლდადო), რაული, [illegible] (15. დრენტე).

**ვალიადოლიდი:** სერხიო ასენხო, პედრო ლოპესი, რაფა, გარსია კალვო, მარკოსი, ვივარ დორადო, ალვარო რუბიო, სისი (72. სესმა), კაპდევილა (59. ოსკარ სანჩესი), ლორენტე, ვიქტორი (46. ბორხა).

**გოლები:** 1:0 ჟულიო ბაპტიშტა (8), 2:0 რაული (30), 3:0 რობენი (32), 4:0 რაული (38-პენ), 5:0 გუტი (43), 6:0 გუტი (61), 7:0 დრენტე (79)

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 17(11)-13(7); **კუთხური:** 4-10; **თამაშგარე:** 5-0; **ჯარიმა:** 10-10; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 80 000

### ვალენსია-ბეტისი 3:1

**ვალენსია:** ჰილდებრანდი, კანეირა, ალბიოლი, ივან ელგერა, მორეტი, მარჩენა, მადურო (60. ბანეგა), ხოაკინი, სილვა (79. არისმენდი), მატა (72. სანი), ვილია.

**ბეტისი:** რიკარდო, დამია, ხუანიტო, ალექს ორტისი, ფერნანდო ვეგა (66. ბაბიჩი), არსუ, რივერა, ხოსე მარი (46. კაფა), კაპი, ედუ, ჩისკო (46. სობისი).

**გოლები:** 1:0 ვილია (15), 2:0 სილვა (27), 2:1 ედუ (46), 3:1 ვილია (89-პენ)

**გაფრთხილება:** 4-5; **დარტყმა:** 11(6)-11(3); **კუთხური:** 8-3; **თამაშგარე:** 14-0; **ჯარიმა:** 14-21; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 40 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 23 | 18 | 2 | 3 | 53-18 | 56 |
| 2. ბარსელონა | 23 | 14 | 6 | 3 | 42-15 | 48 |
| 3. ვილიარეალი | 23 | 13 | 3 | 7 | 41-34 | 42 |
| 4. ატლეტიკო | 23 | 12 | 5 | 6 | 38-23 | 41 |
| 5. ესპანიოლი | 23 | 11 | 6 | 6 | 33-26 | 39 |
| 6. რასინგი | 23 | 9 | 7 | 7 | 23-25 | 34 |
| 7. სევილია | 23 | 10 | 3 | 10 | 42-31 | 33 |
| 8. ალმერია | 23 | 9 | 6 | 8 | 20-21 | 33 |
| 9. ვალენსია | 23 | 10 | 3 | 10 | 27-34 | 33 |
| 10. სარაგოსა | 23 | 7 | 8 | 8 | 35-36 | 29 |
| 11. მალიორკა | 23 | 6 | 10 | 7 | 32-34 | 28 |
| 12. ხეტაფე | 23 | 8 | 4 | 11 | 28-32 | 28 |
| 13. ვალიადოლიდი | 23 | 7 | 6 | 10 | 30-41 | 27 |
| 14. ბილბაო | 23 | 6 | 8 | 9 | 20-23 | 26 |
| 15. ოსასუნა | 23 | 7 | 5 | 11 | 24-28 | 26 |
| 16. ბეტისი | 23 | 6 | 7 | 10 | 24-34 | 25 |
| 17. რეკრეატივო | 23 | 6 | 7 | 10 | 20-31 | 25 |
| 18. დეპორტივო | 23 | 6 | 6 | 11 | 24-34 | 24 |
| 19. მურსია | 23 | 5 | 8 | 10 | 20-32 | 23 |
| 20. ლევანტე | 23 | 3 | 4 | 16 | 17-41 | 13 |

**ბომბარდირები:** 17 - ლუიშ ფაბიანო (სევილია); 15 - დ. მილიტო (სარაგოსა); 12 - ლორენტე (ვალიადოლიდი), ვან ნისტელროი (რეალი); 11 - რაული (რეალი), გუისა (მალიორკა), როსი (ვილიარეალი), ნიჰათი (ვილიარეალი); 10 - ტამუდო (ესპანიოლი); 9 - აგუერო (ატლეტიკო), ფორლანი (ატლეტიკო), რიკარდო ოლივეირა (სარაგოსა).

### II დივიზიონი

XXIV ტური

**ლას პალმასი-ფეროლი 2:2**

**გოლები:** 1:0 მარკესი (1), 1:1 ჯონათანი (2), 1:2 მედინა (9), 2:2 ფერნანდესი (83)

**კასტელონი-ხიმნასტიკი 3:1**

**გოლები:** 1:0 გარაი (6), 2:0 ტაბარესი (56), 2:1 კალე (60), 3:1 ტაბარესი (75)

**კორდობა-მალაგა 2:1**

**გოლები:** 0:1 შელი (41), 1:1 არტურო (45), 2:1 რუისი (76)

**ალავესი-სევილია A 1:0**

**გოლი:** 1:0 დელ მორალი (90)

**ელჩე-სპორტინგი 3:1**

**გოლები:** 1:0 კობო (6-პენ), 1:1 ბარალი (9), 2:1 მარტინი (26), 3:1 ვეგა (89-პენ)

**ალბასეტე-ერკულესი 1:1**

**გოლები:** 0:1 ფარინოსი (19-პენ), 1:1 ალუსტისა (32-პენ)

**ეიბარი-სელტა 2:1**

**გოლები:** 0:1 კოსტა (9), 1:1 გოირია (52), 2:1 ალტუნა (78)

**ეხიდო-სოსიედადი 0:1**

**გოლი:** 0:1 დე სერიო (60)

**სალამანკა-კადისი 1:1**

**გოლები:** 0:1 ბანგურა (45), 1:1 დ. როდრიგესი (86)

**ხერესი-ნუმანსია 0:3**

**გოლები:** 0:1 ხორდა (42), 0:2 პინო (80), 0:3 კარმელო (85)

**ტენერიფე-გრანადა 2:0**

**გოლები:** 1:0 ო. პერესი (41), 2:0 ნინიო (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნუმანსია | 24 | 14 | 6 | 4 | 36-19 | 48 |
| 2. მალაგა | 24 | 13 | 6 | 5 | 35-21 | 45 |
| 3. ელჩე | 24 | 11 | 6 | 7 | 31-25 | 39 |
| 4. სოსიედადი | 24 | 10 | 8 | 6 | 26-21 | 38 |
| 5. კასტელონი | 24 | 10 | 7 | 7 | 26-19 | 37 |
| 6. სპორტინგი | 24 | 10 | 6 | 8 | 34-26 | 36 |
| 7. სევილია B | 24 | 9 | 9 | 6 | 25-24 | 36 |
| 8. სელტა | 24 | 9 | 8 | 7 | 33-28 | 35 |
| 9. ტენერიფე | 24 | 8 | 11 | 5 | 30-27 | 35 |
| 10. გრანადა | 24 | 9 | 7 | 8 | 27-28 | 34 |
| 11. ეიბარი | 24 | 9 | 6 | 9 | 26-30 | 33 |
| 12. ერკულესი | 24 | 7 | 10 | 7 | 32-28 | 31 |
| 13. სალამანკა | 24 | 7 | 9 | 8 | 30-28 | 30 |
| 14. კადისი | 24 | 8 | 6 | 10 | 22-24 | 30 |
| 15. კორდობა | 24 | 6 | 12 | 6 | 29-33 | 30 |
| 16. ალავესი | 24 | 7 | 7 | 10 | 25-28 | 28 |
| 17. ლას პალმასი | 24 | 7 | 6 | 11 | 26-34 | 27 |
| 18. ალბასეტე | 24 | 6 | 7 | 11 | 18-25 | 25 |
| 19. ხიმნასტიკი | 24 | 5 | 9 | 10 | 25-31 | 24 |
| 20. ფეროლი | 24 | 6 | 6 | 12 | 26-34 | 24 |
| 21. ხერესი | 24 | 4 | 10 | 10 | 26-38 | 22 |
| 22. ეხიდო | 24 | 5 | 6 | 13 | 19-36 | 21 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

XXIV ტური

**პსჟ-ლე მანი 0:0**

**პსჟ:** ლანდრო, სეარა, ზ. კამარა, იეპესი, არმანი, ჟ. კლემანი, შანტომი, სოუზა (61. პაულეტა), როტენი, ლუინდულა, დიანე.

**ლე მანი:** ი. პელე, კალვე, ჟედერი, სედრანი, ბუპური, კუტადორი, ლუვიონი, იებდა, სესენონი, მაცუი (81. ლე ტალეკი), მაეგა (62. სამასა).

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 39 970

**რენი-ოსერი 1:2**

**რენი:** პუპლენი, ფანი, ჰანსონი, ბრ. შეირუ, დანზე, ლემუანი (90+1. ბ. დემბელე), ე. დიდო (46. კემბო-ეკოკო), სორლენი, ვილტორი, ბრიანი (82. მორეირა), პაჟისი.

**ოსერი:** რიუ, ტამაში, გრიშტინგი, სა. ტრაორე, ჟორესი, პედრეტი, ფ. ტომასი, შაფნი, ლეჟონი (90+1. მუტეანუ), ოლიეში, კერსია (68. ნიკულაე).

**გოლები:** 0:1 ოლიეში (45), 1:1 პაჟისი (50), 1:2 ოლიეში (90)

**გაფრთხილება:** 2-4

**მაყურებელი:** 22 733

**მონაკო-ლილი 0:0**

**მონაკო:** რომა, კუფრე, ბოლივარი, სამბუ, ბერტო, ბერნარდი, ალმირონი (67. გაკპე), მერიემი, ნენე (71. ბაკარი), მენეზი, პიკიონი.

**ლილი:** მალიჩკი, ბერია, რამი, პლესტანი, ტაფორო, მავუბა, კაბეიე, დუმონი, ლიხტშტაინერი (78. ბასტოსი), ობრანაიკი (84. ფოვერგი), ფრო (68. მირალა).

**გაფრთხილება:** 3-2

**მაყურებელი:** 3 000

**ვალანსი-ლორიანი 3:0**

**ვალანსი:** პენეტო, დუკურტუა, სომეი (25. მარტინესი), უადუ, ტ. ტრაორე, დუმენგი, ბელმადი, რუდე, საესი, ოდელი (68. პუჟოლი), სავიდანი (83. სებო).

**ლორიანი:** ოდარი, სიანი, ჟენტონი, კანტარეი (78. მანსური), აბრიელი, ევოლო, დე პენი (22. ბურპანი), ოტკოერი, ჟალე, ჟუფრე, ვაირუა (72. მარენი).

**გოლები:** 1:0 სავიდანი (40), 2:0 რუდე (55), 3:0 სებო (86)

**გაფრთხილება:** 1-0

**მაყურებელი:** 12 667

**ბორდო-მეცი 3:0**

**ბორდო:** რამე, ჟურიეტი, ენრიკე, სო. დიავარა, ტრომულინა (29. შალმე), ა. დიარა, ალონსო (64. იუსი), ვენდელი, მიკუ, ბელიონი, კავენაგი (77. შამახი).

**მეცი:** მარიშე, კ. გეიე, დელომო, მ. დიოპი, კუბილიე, ბარბოსა (63. მომ. ნ'დიაიე), აგუაზი, პიანიჩი, ჟიგაქსი (80. შაპუი), რენუარი (75. ბ. გეიე), აგირე.

**გოლები:** 1:0 კავენაგი (26-პენ), 2:0 კავენაგი (73), 3:0 ა. დიარა (88)

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 19 673

**სტრასბური-სტ. ეტიენი 3:0**

**სტრასბური:** კასარი, ლაკური, პესლეი, დუკროკი, დოს სანტოსი, როდრიგო, კოადი, ფანშონი (80. მულუნგი), აბდესადკი, გამეირო (71. ა. სანტოსი), მულენგა.

**სტ. ეტიენი:** ვივიანი, ბენალუანი, ტავლარიდისი, ნივალდო, ვარო (59. გარენი), ბეიალ სალი, მატუიდი, დერნისი (76. გილიოტი), პეიე, ილანი (46. ფეინდუნო), გომისი.

**გოლები:** 1:0 კოადი (37-პენ), 2:0 ალვარო სანტოსი (85), 3:0 მულენგა (90)

**გაძევება:** ბენალუანი (79. სტ. ეტიენი), გარენი (89. სტ. ეტიენი)

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 16 770

**ლიონი-სოშო 4:1**

**ლიონი:** კუპე, კლერკი, სკილაჩი, ბუმსონგი, გროსო (53. რევეიერი), ტულალანი, ბოდმერი, ჟუნინიო (78. კალსტრიომი), გოვუ, ბენ არფა (74. ფრედი), ბენზემა.

**სოშო:** რიშერი, პიშო, პერკისი, იოკიჩი (46. მორის-ბელეი), პიტო, ნ'დავი, დალმა, ისაბეი (77. ბირსა), პანკრატი (78. გრაქსი), ერდინგი.

**გოლები:** 1:0 ბოდმერი (2), 1:1 პანკრატი (52), 2:1 ბოდმერი (76), 3:1 გოვუ (90+1), 4:1 ბენზემა (90+3)

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 35 904

**ნანსი-ტულუზა 1:0**

**ნანსი:** ბრასილიანო, ანდრე ლუისი, შრეტიენი, სოგე, პუიგრენიე, ბერენგერი, პაჯი, გავანონი, დია, კურბელო (85. კამერლინგი), ფორტუნე (79. ზერკა).

**ტულუზა:** დუშე, არიბაჟე, ფოფანა, ებონდო, სეტო, სირიეი, პაულო სეზარი, სისოკო, არაში (81. მანსარე), გინიაკი (85. კაპუე), ელმანდერი.

**გოლი:** 1:0 პუიგრენიე (90+1)

**გაფრთხილება:** 0-2

**მაყურებელი:** 18 151

**კაენი-ლანსი 1:4**

**კაენი:** პლანტე, ენგბარტი, სეობი, სორბონი, ტიამი, ფლორენტენი (68. ლემაეტრი), ელუჩანსი, ნივე, პრომანი, გუფრანი (46. ჟემაა), კომპანი (63. მაზური).

**ლანსი:** რუნიე, ბელაჯი, ბიშევაცი, დემონი, პილტონი, ლორენტი, მონტერუბიო (67. ლაკური), რემი (80. კარიერი), კოვაჩევიჩი, მანგანე, მაულიდა (80. მონე-პაკე).

**გოლები:** 0:1 მაულიდა (1), 0:2 მანგანე (32), 0:3 რემი (65), 1:3 ლემაეტრი (68), სეობი (75-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 1-0

**მაყურებელი:** 18 000

**ნიცა-მარსელი 0:2**

**ნიცა:** ლორისი, აპამი, ჟონეშამი, კანტე, ბალმონი, ეშუაფნი (82. დიაკიტე), ედერსონი, ელებუიკი, როოლი, ბამოგო, მოდესტე.

**მარსელი:** მანდანდა, კრუპოვიესა (46. ტაივო), ბონარი, ფატი, ჟივე, კანა, ბენ. შეირუ, ვალბუენა, ნიანგი (66. აკალე), ჯ. სისე, გრანდენი (88. კაბორე).

**გოლები:** 0:1 ნიანგი (24), 0:2 ჯ. სისე (75)

**გაფრთხილება:** 2-5

**მაყურებელი:** 18 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 24 | 15 | 4 | 5 | 48-23 | 49 |
| 2. ბორდო | 24 | 13 | 6 | 5 | 37-26 | 45 |
| 3. ნანსი | 24 | 10 | 11 | 3 | 27-13 | 41 |
| 4. ნიცა | 24 | 9 | 10 | 5 | 23-18 | 37 |
| 5. მარსელი | 24 | 9 | 8 | 7 | 33-26 | 35 |
| 6. ვალანსი | 24 | 10 | 5 | 9 | 30-23 | 35 |
| 7. მონაკო | 24 | 10 | 5 | 9 | 28-21 | 35 |
| 8. ლე მანი | 24 | 10 | 4 | 10 | 29-33 | 34 |
| 9. კაენი | 24 | 9 | 7 | 8 | 26-30 | 34 |
| 10. ლორიანი | 24 | 8 | 9 | 7 | 22-25 | 33 |
| 11. სტრასბური | 24 | 8 | 8 | 8 | 26-24 | 32 |
| 12. პსჟ | 24 | 7 | 9 | 8 | 22-21 | 30 |
| 13. ლანსი | 23 | 8 | 6 | 9 | 27-28 | 30 |
| 14. რენი | 24 | 8 | 6 | 10 | 24-30 | 30 |
| 15. სტ. ეტიენი | 24 | 8 | 5 | 11 | 23-27 | 29 |
| 16. ოსერი | 24 | 8 | 5 | 11 | 21-32 | 29 |
| 17. ლილი | 23 | 5 | 13 | 5 | 23-21 | 28 |
| 18. ტულუზა | 24 | 6 | 9 | 9 | 23-29 | 27 |
| 19. სოშო | 24 | 5 | 8 | 11 | 20-31 | 23 |
| 20. მეცი | 24 | 1 | 6 | 17 | 12-43 | 9 |

**ბომბარდირები:** 16 - ბენზემა (ლიონი); 11 - ბელიონი (ბორდო), ნიანგი (მარსელი); 10 - ელმანდერი (ტულუზა), დე მელო (ლე მანი); 9 - ჯ. სისე (მარსელი); 8 - საიფი (ლორიანი), ნიკულაე (ოსერი), კონე (ნიცა); 7 - ჟუნინიო (ლიონი), მენეზი (მონაკო), ოდელი (ვალანსი), პიკიონი (მონაკო), რენტერია (სტრასბური), სავიდანი (ვალანსი).

### II დივიზიონი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ამიენი-გინგამი | 3:1 |
| ანჟერსი-ბულონი | 2:1 |
| ბასტია-ტრუა | 1:0 |
| შატორუ-დიჟონი | 2:0 |
| კლერმონი-ლიბურნი | 1:1 |
| მონპელიე-ნიორი | 1:0 |
| რეიმსი-გენიონი | 2:1 |
| სედანი-აიაჩო | 2:1 |
| ჰავრი-გრენობლი | 0:0 |
| ბრესტი-ნანტი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰავრი | 23 | 13 | 8 | 2 | 38-18 | 47 |
| 2. ნანტი | 22 | 12 | 6 | 4 | 33-18 | 42 |
| 3. ტრუა | 23 | 11 | 8 | 4 | 30-20 | 41 |
| 4. ბასტია | 22 | 11 | 6 | 5 | 32-19 | 39 |
| 5. კლერმონი | 23 | 8 | 12 | 3 | 33-23 | 36 |
| 6. მონპელიე | 23 | 9 | 8 | 6 | 26-18 | 35 |
| 7. გრენობლი | 23 | 9 | 8 | 6 | 29-23 | 35 |
| 8. ანჟერსი | 23 | 9 | 8 | 6 | 23-20 | 35 |
| 9. სედანი | 23 | 8 | 9 | 6 | 28-26 | 33 |
| 10. აიაჩო | 23 | 8 | 8 | 7 | 25-25 | 32 |
| 11. რეიმსი | 22 | 8 | 4 | 10 | 26-35 | 28 |
| 12. ბულონი | 23 | 7 | 6 | 10 | 26-33 | 27 |
| 13. ბრესტი | 22 | 7 | 6 | 9 | 19-28 | 27 |
| 14. გინგამი | 23 | 6 | 8 | 9 | 22-24 | 26 |
| 15. შატორუ | 23 | 6 | 8 | 9 | 23-26 | 26 |
| 16. ამიენი | 23 | 5 | 8 | 10 | 24-32 | 23 |
| 17. ნიორი | 23 | 6 | 4 | 13 | 20-27 | 22 |
| 18. დიჟონი | 23 | 4 | 10 | 9 | 16-32 | 22 |
| 19. ლიბურნი | 23 | 4 | 7 | 12 | 26-39 | 19 |
| 20. გენიონი | 23 | 2 | 8 | 13 | 22-35 | 14 |

## ჰოლანდია

XXIV ტური

**ტვენტე-ჰერაკლესი 2:1**

გოლები: 0:1 გარსია (72), 1:1 ელია (77), 2:1 ნკუფო (86)

**ბრედა-უტრეხტი 1:0**

გოლი: 1:0 პენდერსი (1)

**ეინდჰოვენი-ჰერენვეენ. 1:1**

გოლები: 1:0 ბაკალი (1), 1:1 ბრედლი (52)

**გრააფს.-ფეიენოორდი 1:3**

გოლები: 1:0 შიონი (18), 1:1 მაკაი (45), 1:2 ჰოფსი (56), 1:3 ჰოფსი (63)

**ვიტესი-გრონინგენი 2:1**

გოლები: 1:0 გომანსი (34), 1:1 მეერდინკი (56), 2:1 ვან დერ შააფი (75)

**როდა-აიაქსი 2:1**

გოლები: 1:0 ლამა (22), 1:1 ჰუნტელაარი (38), 2:1 ჰადუირი (79)

**ვენლო-ვილემი 1:1**

გოლები: 1:0 რეეკერსი (45), 1:1 კარისტიანო (77)

**ნიიმეგენი-ალკმაარი 5:2**

გოლები: 0:1 მენდესი (2), 1:1 ბობსონი (10), 2:1 ჰოლმანი (12), 3:1 ბოკერინგი (19-პენ), 4:1 ვისგერჰოფი (24), 5:1 დროსტი (68), 5:2 დროსტი (87)

**სპარტა-ექსელსიორი 0:1**

გოლი: 0:1 სტეენსელი (58)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 24 | 16 | 5 | 3 | 51-18 | 53 |
| 2. ჰერენვეენი | 24 | 13 | 5 | 6 | 64-29 | 44 |
| 3. აიაქსი | 24 | 12 | 8 | 4 | 61-33 | 44 |
| 4. ფეიენოორდი | 24 | 13 | 5 | 6 | 44-24 | 44 |
| 5. ბრედა | 24 | 13 | 5 | 6 | 30-26 | 44 |
| 6. გრონინგენი | 24 | 12 | 5 | 7 | 40-38 | 41 |
| 7. ტვენტე | 24 | 10 | 9 | 5 | 37-24 | 39 |
| 8. როდა | 24 | 10 | 7 | 7 | 41-37 | 37 |
| 9. უტრეხტი | 24 | 10 | 5 | 9 | 46-39 | 35 |
| 10. ვიტესი | 24 | 10 | 5 | 9 | 32-38 | 35 |
| 11. ალკმაარი | 24 | 8 | 5 | 11 | 37-43 | 29 |
| 12. გრააფსხაპი | 24 | 7 | 5 | 12 | 27-45 | 26 |
| 13. ნიიმეგენი | 24 | 6 | 6 | 12 | 28-41 | 24 |
| 14. ჰერაკლესი | 24 | 6 | 4 | 14 | 23-47 | 22 |
| 15. სპარტა | 24 | 5 | 6 | 13 | 33-51 | 21 |
| 16. ვილემი | 24 | 5 | 5 | 14 | 27-32 | 20 |
| 17. ვენლო | 24 | 4 | 8 | 12 | 26-52 | 20 |
| 18. ექსელსიორი | 24 | 5 | 4 | 15 | 27-57 | 19 |

**ბომბარდირები:** 22 - ჰუნტელაარი (აიაქსი); 18 - ნ'კუფო (ტვენტე); 14 - ნელისე (უტრეხტი); 13 - ბრედლი (ჰერენვეენი), მაკაი (ფეიენოორდი); 11 - აფონსო ალვეში (ჰერენვეენი), კოვერმანსი (ეინდჰოვენი), სუარესი (აიაქსი), დენ ოუდენი (ექსელსიორი), ბერგი (გრონინგენი); 9 - პერესი (აიაქსი), სიბონი (ჰერენვეენი).

### II დივიზიონი

XXVII ტური

კამბური-ტოპ ოსი 1:2; დენ ჰააგი-ტელსტარი 3:0; დენ ბოში-ვაალვეიკი 1:1; დორდრეხტი-ეინდჰოვენი II 1:1; ვოლენდამი-მაასტრიხტი 1:0; ფორტუნა-ემენი 3:3; ჰელმონდი-აპელდოორნი 5:0; როსენდალი-ჰაარლემი 1:1; ვეენდამი-ომნივორლდი 1:1; ცვოლე-იგლზი 1:0.

## ბელგია

XXI ტური

**შარლერუა-სტ. ტრუიდენი 1:1**

გოლები: 0:1 დელორგი (5), 1:1 სმოლდერსი (28)

**ბრიუგე-მეხელენი 2:0**

გოლები: 1:0 სტრეკელე (20), 2:0 სტრეკელე (72)

**ბრიუსელი-ანდერლეხტი 2:4**

გოლები: 0:1 ვან დამი (2), 0:2 ჟილე (26), 1:2 გუტერსტამი (43), 1:3 ჟილე (49), 1:4 ვასილევსკი (60), 2:4 ტუბი (82)

**დენდერი-სერკლი 2:4**

გოლები: 1:0 ბარბუ (1), 1:1 ნიონი (44), 1:2 სნელდერსი (49), 1:3 სერებრენიკოვი (75-პენ), 2:3 მუნიანეზა (78), 2:4 სმეტი (90)

**ლოკერენი-მონსი 1:2**

გოლები: 0:1 ბრაჰამი (2), 0:2 დუარტე (48), 1:2 კარევიჩი (55)

**მუსკრონი-ვესტერლო 1:2**

გოლები: 0:1 ვილსი (20), 0:2 დელენი (30), 1:2 დერანია (60)

**ვარეგემი-გენტი 2:1**

გოლები: 1:0 როელანდტსი (21), 1:1 სულერი (47), 2:1 ბარიოსი (75)

**სტანდარდი-რუზელარე 0:0**

**გენკი-ბეერსხოტი 1:3**

გოლები: 0:1 ედერსონი (62), 1:1 სოეტაერსი (64), 1:2 მალკი (74), 1:3 ლოსადა (81)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრიუგე | 21 | 14 | 6 | 1 | 31-13 | 48 |
| 2. სტანდარდი | 21 | 12 | 9 | 0 | 40-13 | 45 |
| 3. სერკლი | 21 | 13 | 5 | 3 | 50-19 | 44 |
| 4. ბეერსხოტი | 21 | 12 | 4 | 5 | 33-19 | 40 |
| 5. ანდერლეხტი | 21 | 10 | 7 | 4 | 31-22 | 37 |
| 6. გენტი | 21 | 9 | 7 | 5 | 41-28 | 34 |
| 7. გენკი | 21 | 8 | 7 | 6 | 32-33 | 31 |
| 8. ვესტერლო | 21 | 7 | 8 | 6 | 31-21 | 29 |
| 9. ვარეგემი | 21 | 8 | 4 | 9 | 28-36 | 28 |
| 10. ლოკერენი | 21 | 5 | 10 | 6 | 19-21 | 25 |
| 11. შარლერუა | 21 | 7 | 4 | 10 | 23-29 | 25 |
| 12. მუსკრონი | 21 | 6 | 5 | 10 | 24-30 | 23 |
| 13. რუზელარე | 21 | 5 | 8 | 8 | 26-36 | 23 |
| 14. მეხელენი | 21 | 5 | 6 | 10 | 25-34 | 21 |
| 15. დენდერი | 21 | 5 | 4 | 12 | 20-36 | 19 |
| 16. მონსი | 21 | 4 | 4 | 13 | 22-35 | 16 |
| 17. სტ. ტრუიდენი | 21 | 3 | 6 | 12 | 17-36 | 15 |
| 18. ბრიუსელი | 21 | 3 | 2 | 16 | 17-49 | 11 |

**ბომბარდირები:** 11 - მალკი (ბეერსხოტი); 10 - ბარდა (გენკი), დე სუტერი (სერკლი), იაშჩუკი (სერკლი), დისა (რუზელარე); 9 - იოვანოვიჩი (სტანდარდი), ტომუ (მუსკრონი), რუის გონსალესი (გენტი); 8 - აკპალა (შარლერუა), გომბამი (სერკლი), ლეიე (ვარეგემი), ფოლეი (გენტი), ლოსადა (ბეერსხოტი).

### II დივიზიონი

XXII ტური

ანტვერპენი-ტინენი 3:2; დაინცე-ტუბიკე 0:1; ეუპენი-ბევერენი 3:1; გეელი-კორტრიიკი 0:6; ნამენი-ლიერსი 0:1; ვაასლანდი-ტურნე 2:0; ვირტონი-ოსტენდე 3:1; ჰამე-ლომელი 1:2; ჰეევერლეოლიმპიკ შარლერუა 2:1.

## შოტლანდია

XXV ტური

**დანდი იუნ-ჰიბერნიანი 1:1**

გოლები: 1:0 ჰანტი (13-პენ), 1:1 რანკინი (46)

**ჰართსი-გრეტნა 2:0**

გოლები: 1:0 ველიჩკა (3), 2:0 ველიჩკა (42-პენ)

**მოზერველი-კილმარნოკი 1:0**

გოლი: 1:0 კლარკსონი (90)

**რეინჯერსი-ფალკირკი 2:0**

გოლები: 1:0 ბოიდი (23), 2:0 ნეისმიტი (89)

**სტ. მირენი-ინვერნესი 1:1**

გოლები: 0:1 მუნრო (28), 1:1 მეჰმეთი (74)

**აბერდინი-სელტიკი 1:5**

გოლები: 0:1 ნაკამურა (17), 0:2 მაკგიდი (34), 0:3 მაკდონალდი (44-პენ), 0:4 მაკდონალდი (48), 1:4 მილერი (62), 1:5 რობსონი (74)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 23 | 18 | 2 | 3 | 54-17 | 56 |
| 2. სელტიკი | 23 | 16 | 4 | 3 | 58-18 | 52 |
| 3. დანდი იუნ | 25 | 12 | 3 | 10 | 38-32 | 39 |
| 4. მოზერველი | 22 | 12 | 2 | 8 | 32-28 | 38 |
| 5. აბერდინი | 25 | 9 | 6 | 10 | 29-38 | 33 |
| 6. ინვერნესი | 24 | 10 | 2 | 12 | 32-37 | 32 |
| 7. ფალკირკი | 25 | 9 | 5 | 11 | 34-40 | 32 |
| 8. ჰართსი | 25 | 8 | 6 | 11 | 36-40 | 30 |
| 9. ჰიბერნიანი | 23 | 7 | 8 | 8 | 30-30 | 29 |
| 10. სტ. მირენი | 23 | 7 | 5 | 11 | 17-37 | 26 |
| 11. კილმარნოკი | 25 | 5 | 7 | 13 | 24-36 | 22 |
| 12. გრეტნა | 23 | 3 | 4 | 16 | 19-50 | 13 |

**ბომბარდირები:** 17 - მაკდონალდი (სელტიკი); 12 - რობსონი (სელტიკი); 11 - ველიჩკა (ჰართსი), ჰანტი (დანდი იუნ); 9 - ბოიდი (რეინჯერსი), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (სელტიკი), კლარკსონი (მოზერველი); 8 - კუზენი (რეინჯერსი), მილერი (აბერდინი); 7 - ფლეტჩერი (ჰიბერნიანი), ნიში (კილმარნოკი), პორტერი (მოზერველი), ჰიგდონი (ფალკირკი), მაკგიდი (სელტიკი).

### I დივიზიონი

XXIV ტური

ჰამილტონი-დანფერმლაინი 3:0; ლივინგსტონი-დანდი 1:1; მორტონი-კლაიდი 1:2; ქუინი-სტ. ჯონსტონი 3:1; სტირლინგი-პარტიკი 1:0.

### II დივიზიონი

XXV ტური

ეირი-პიტერჰედი 0:3; ბრეჩინი-რეითი 3:2; კოუდენბითი-ეირდრი 0:1; ქუინზ პარკი-ბირუიკი 3:1; როსი-ალოა 6:1.

### III დივიზიონი

XXV ტური

ალბიონი-ფორფარი 0:0; ისტ ფაიფისტენჰაუზმური 0:1; ისტ სტირლინგი-არბროა 0:1; მონროუზი-დამბარტონი 3:1; სტრანრარი-ელჯინი 0:0.

## შვეიცარია

XX ტური

| | |
|---|---|
| ბაზელი-ქსამაქსი | 3:0 |
| სტ. გალენი-ციურიხი | 1:0 |
| გრასჰოპერსი-იანგ ბოიზი | 3:3 |
| ლუცერნი-არაუ | 2:0 |
| ტუნი-სიონი | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 20 | 13 | 3 | 4 | 41-21 | 42 |
| 2. იანგ ბოიზი | 20 | 10 | 7 | 3 | 48-33 | 37 |
| 3. ციურიხი | 20 | 10 | 6 | 4 | 42-20 | 36 |
| 4. არაუ | 20 | 6 | 9 | 5 | 30-28 | 27 |
| 5. გრასჰოპერსი | 20 | 6 | 6 | 8 | 31-37 | 24 |
| 6. სიონი | 20 | 6 | 5 | 9 | 24-29 | 23 |
| 7. ლუცერნი | 20 | 4 | 11 | 5 | 27-34 | 23 |
| 8. ქსამაქსი | 20 | 5 | 7 | 8 | 27-32 | 22 |
| 9. ტუნი | 20 | 4 | 6 | 10 | 19-30 | 18 |
| 10. სტ. გალენი | 20 | 4 | 4 | 12 | 23-48 | 16 |

### ჩელენჯლიგა

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ლოზანა-ვადუცი | 1:1 |

## პორტუგალიის თასი

1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| სპორტინგი-მარიტიმუ | 2:1 |
| ვალდევესი-მორეირენსე | 0:3 |
| ნავალი-რიუ ავე | 2:1 დ.დ. |
| ვილ ვისენტე-ლეიქსოესი | 1:0 დ.დ. |
| სეტუბალი-გიმარაეში | 1:1 პენ. 3:0 |
| სერტანენსე-პორტუ | 0:4 |
| ბენფიკა-ფერეირა | 4:1 |

## აფრიკის თასი

მე-3 ადგილისთვის

**განა-კოტ დ'ივუარი 4:2**

**განა:** რ. კინგსტონი, ადო (90. ბარუსი), მენსა, პანტსილი, სარპეი, ანანი, დრამანი (89. აფული), ესიენი, აგოგო, ბადუ (20. ოვუსუ-აბეიე), მუნტარი.

**კოტ დ'ივუარი:** ტ. კონე, ა. ბოკა, ზორო, ფაე (83. დინდანე), რომარიკი, ტიენე, ზოკორა, დროგბა, ს. კალუ (73. ჟერვინიო), აბ. კეიტა (64. იაია ტურე), სანოგო.

**გოლები:** 1:0 მუნტარი (10), 1:1 სანოგო (24), 1:2 სანოგო (32), 2:2 ოვუსუ-აბეიე (70), 3:2 აგოგო (80), 4:2 დრამანი (85)

**მაყურებელი:** 34 000

### ფინალი

**ეგვიპტე-კამერუნი 1:0**

**ეგვიპტე:** ელ-ჰადარი, გომაა, საიდი, ფათი, მოავადი, შადი, ჰასანი, ჰოსნი, აბუტრიკა (88. საიდი), ზაქი (84. შავკი), მოტები (60. ზიდანი).

**კამერუნი:** კამენი, ჩატო, სონგი, ატუბა, ჯერემი, სონგ ბილონგი (16. ბინია), მ'ბია, ეპალე (657 მ'ბამი), ემანა (54. იდრისუ), ნკონგი, ეტო'ო.

**გოლი:** 1:0 აბუტრიკა (78)

**მაყურებელი:** 50 000

## საბერძნეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| ლარისა-აეკ | 1:0 |
| ირაკლისი-ატრომიტოსი | 1:1 |
| პანათინაიკოსი-ვერია | 1:0 |
| ერგოტელისი-აპოლონი | 2:2 |
| ქსანთი-ლევადია | 4:1 |
| პაოკ-არისი | 3:0 |
| ასტერასი-ოფი | 1:1 |
| პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი | 0:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 20 | 14 | 4 | 2 | 29-7 | 46 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 20 | 13 | 5 | 2 | 37-14 | 44 |
| 3. აეკ | 20 | 14 | 0 | 6 | 41-13 | 42 |
| 4. ასტერასი | 20 | 8 | 8 | 4 | 18-11 | 32 |
| 5. არისი | 20 | 9 | 5 | 6 | 20-14 | 32 |
| 6. ქსანთი | 20 | 9 | 4 | 7 | 26-19 | 31 |
| 7. პანიონიოსი | 20 | 8 | 4 | 8 | 24-31 | 28 |
| 8. პაოკ | 20 | 8 | 2 | 10 | 22-21 | 26 |
| 9. ლარისა | 20 | 5 | 10 | 5 | 16-17 | 25 |
| 10. ირაკლისი | 20 | 5 | 8 | 7 | 16-20 | 23 |
| 11. ატრომიტოსი | 20 | 6 | 4 | 10 | 16-23 | 22 |
| 12. ოფი | 20 | 5 | 5 | 10 | 24-33 | 20 |
| 13. აპოლონი | 20 | 4 | 7 | 9 | 21-35 | 19 |
| 14. ლევადია | 20 | 5 | 3 | 12 | 15-37 | 18 |
| 15. ვერია | 20 | 4 | 5 | 11 | 14-27 | 17 |
| 16. ერგოტელისი | 20 | 2 | 8 | 10 | 13-30 | 14 |

## თურქეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ისტანბული-რიზე | 2:1 |
| ქაისერი-ბეშიქთაში | 2:0 |
| გალათასარაი-მანისა | 6:3 |
| ანკარა-ქასიმფაშა | 2:0 |
| დენიზლი-ქონია | 2:1 |
| გაზიანთეფი-სივასი | 0:0 |
| გენჩლერი-ანკარაგიუჯუ | 1:0 |
| ტრაბზონი-ბურსა | 2:1 |
| ფენერბაჰჩე-ოფთასი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 21 | 14 | 6 | 1 | 45-17 | 48 |
| 2. ფენერბაჰჩე | 21 | 14 | 5 | 2 | 44-21 | 47 |
| 3. ბეშიქთაში | 21 | 13 | 4 | 4 | 31-20 | 43 |
| 4. სივასი | 20 | 13 | 2 | 5 | 30-17 | 41 |
| 5. ქაისერი | 21 | 10 | 8 | 3 | 32-17 | 38 |
| 6. დენიზლი | 21 | 8 | 5 | 8 | 28-27 | 29 |
| 7. ტრაბზონი | 20 | 8 | 4 | 8 | 29-24 | 28 |
| 8. ოფთასი | 21 | 7 | 6 | 8 | 23-23 | 27 |
| 9. ანკარაგიუჯუ | 21 | 6 | 7 | 8 | 21-28 | 25 |
| 10. გაზიანთეფი | 21 | 7 | 4 | 10 | 24-32 | 25 |
| 11. ქონია | 21 | 7 | 4 | 10 | 25-37 | 25 |
| 12. ისტანბული | 21 | 6 | 6 | 9 | 26-28 | 24 |
| 13. ანკარა | 21 | 5 | 8 | 8 | 21-23 | 23 |
| 14. ბურსა | 21 | 5 | 8 | 8 | 20-24 | 23 |
| 15. გენჩლერი | 21 | 5 | 6 | 10 | 26-31 | 21 |
| 16. რიზე | 21 | 6 | 3 | 12 | 22-42 | 21 |
| 17. მანისა | 21 | 5 | 5 | 11 | 29-39 | 20 |
| 18. ქასიმფაშა | 21 | 2 | 3 | 16 | 15-41 | 9 |

ინგლისის ნაკრები

# როდის დაბრუნდება ბექჰემი?

## გალაქტიკომ, შეიძლება, საფრანგეთშიც ითამაშოს...




დევიდ ბექჰემი ნაკრებში დაბრუნებას და მე-100 მატჩის ჩატარებას ელოდება

20 მაისს ინგლისი შოტლანდიასთან ამხანაგურ მატჩს გეგმავდა. შოტლანდიელებმა ლონდონში ჩასვლა გადაიფიქრეს. ინგლისელები სხვა მეტოქის ძებნას შეუდგნენ. ისინი ამერიკელებთან აწარმოებენ მოლაპარაკებას. თუ შეთანხმდებიან, მაისის მიწურულს ბრიტანეთის დედაქალაქში ამერიკის ეროვნული ნაკრები ჩავა. კვლავ აქტუალური გახდება **დევიდ ბექჰემის** თემა. გალაქტიკო მე-100 სანაკრებო მატჩს ელოდება. ის ამერიკაში ასპარეზობს. ამერიკის საფეხბურთო საზოგადოების ყურადღება ამ თამაშისაკენ იქნება მიპყრობილი. ბექჰემის გამოძახება ინტერესს ერთიორად გააღრმავებდა. **ფაბიო კაპელო** საზოგადოებრივი წნეხის ქვეშ მოექცევა. მას მოსთხოვენ, ბექჰემი მე-100 სანაკრებო მატჩისათვის გამოიძახოს.

კაპელო საზოგადოებრივ წნეხს არად დაგიდევთ. ეს შვეიცარიასთან მატჩის (2:1) დროსაც დადასტურდა. ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების მოწოდების მიუხედავად, მან ბექჰემი არ გამოიძახა. მწვრთნელმა გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ დევიდს სათამაშო პრაქტიკა არ გააჩნდა. კაპელოს ვერავინ შეედავა, რადგან ეს სრული სიმართლე იყო.

იმ დღეებში დონ ფაბიომ სხვა საგულისხმო კომენტარიც გააკეთა: ბექჰემი ჩემი გეგმების ნაწილია. როგორც კი მზად იქნება, მაშინვე ვუხმობ. გალაქტიკო ამერიკაში დაბრუნდა. ის "ლოს ანჯელეს გალაქსის" შეუერთდა და ახალი სეზონისათვის დაიწყო მზადება. "გალაქსი" პირველ ოფიციალურ მატჩს 29 მარტს ჩაატარებს. სამი დღით ადრე ინგლისს კიდევ ერთი ამხანაგური შეხვედრა აქვს – პარიზში საფრანგეთთან.

რა შანსი აქვს ბექჰემს, რომ საფრანგეთში გაემგზავროს? მიმომხილველთა აზრით, შანსი მიზერულია. როგორც აღვნიშნეთ, "გალაქსი" სეზონს 29 მარტს დაიწყებს. ესე იგი, ბექჰემს სათამაშო პრაქტიკა ისევ არ ექნება. მაგრამ კაპელო ასე არ ფიქრობს. აი, რა განაცხადა მწვრთნელმა: *"26 მარტამდე (საფრანგეთი-ინგლისის მატჩი დღე) "გალაქსი" ხუთ ამხანაგურ მატჩს გამართავს. თუ ბექჰემი ხუთივე შეხვედრაში ითამაშებს, ეს შეიძლება, საკმარისი აღმოჩნდეს, რათა ფორმა აღიდგინოს და ნაკრებში მოხვედრაზე განაცხადოს პრეტენზია."* გამოდის, რომ ბექჰემმა მე-100 სანაკრებო მატჩი, შესაძლოა, იმაზე ადრე ჩაატაროს, ვიდრე ვარაუდობენ.

კაპელო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დევიდთან პიროვნული უთანხმოება არ აქვს და რომ ყველა საკადრო გადაწყვეტილებას პროფესიული არგუმენტების საფუძველზე იღებს. მწვრთნელი იმასაც არ მალავს, რომ ერთი ფეხბურთელის გამო ამხელა აჟიოტაჟის ატეხვა ზედმეტად მიაჩნია - მეჩვენება, რომ ამ საკითხს ინგლისის ნაკრებზე უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთო.

შვეიცარიასთან მატჩის შემდეგ მიმომხილველებმა ერთ გარემოებას მიაქციეს ყურადღება. ბექჰის ადგილზე, ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე, ბლექბერნელმა **დევიდ ბენტლიმ** ითამაშა. მას საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ კაპელოს ახალგაზრდა შეგირდი მაშინ უფრო მოეწონა, როცა ცენტრში გადასწია, მარჯვენა ფლანგი კი შეცვლაზე შესულ **შონ რაიტ-ფილიპსს** დაუთმო. ესე იგი, მარჯვენა ფლანგზე ბენტლის თამაში გადაწყვეტილი არ არის, ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ბექჰემს გუნდში დაბრუნების კარგი შანსი აქვსო.



ეგვიპტის ნაკრები აფრიკის თასის მოგებას ზედიზედ მეორედ ზეიმობს



მამუკა გორგოძის სალელოვე შეტევა

ალექსანდრე კოტორაშვილი ფოტოები

# ზედიზედ მეორე, სარეკორდო!

*პირველი გვერდიდან*

რუმინელები საპაექროდ მნიშვნელოვნად გადახალისებული შემადგენლობით გვეწვივნენ. ცხადია ისე როგორც ერთა თასის სხვა ლიდერები, აქცენტი მათაც მომავლის გუნდის აწყობაზე აქვთ გაკეთებული. იგივე პროცესები დაიწყო საქართველოს ნაკრებშიც. თავად განსაჯეთ, საკვანძო პოზიციებზე კვაჭი (2), შერკინების შემკვრელი (8) და 10 ნომერი სრულიად ახალი სახეები არიან ჩვენ გუნდში. **ირაკლი ნატრიაშვილმა, დიმიტრი ბასილაიამ და ლაშა მალაღურაძემ** თავიანთ მოვალეობას თავი მშვენივრად გაართვეს და გვაჩვენეს, რომ სამომავლოდ კარგი პოტენციალი გააჩნიათ.

ასეა თუ ისე, ჩვენი გუნდი რუმინელებზე არანაკლებ ახალგაზრდული, მაგრამ ბევრად უფრო გამოცდილია. ალბათ, სწორედ ამან განაპირობა, რომ თუ პირველი ტაიმის ბოლო ათ წუთს არ მივიღებთ მხედველობაში, ბორჯღალოსნების უპირატესობა თითქმის ყველა კომპონენტში თვალნათელი იყო. პირველი ნახევრის საწყისი 30 წუთის განმავლობაში, ჩვენ ოცდაორმეტრიან ზონაში სტუმართა გუნდმა ერთხელაც ვერ მოახერხა შეღწევა.

სხვა საქმეა, რამდენად რაციონალურად გამოვიყენეთ ეს უპირატესობა. თავდადება ჩვენ მორაგბეებს არასდროს აკლდათ. ახლა, ახალი თავკაცების მეცადინეობით ხელდახელ ბურთაობასა და სანახაობის შექმნასაც ცდილობენ, რაც ეპიზოდურად, მაგრამ მაინც გამოსდით. შერკინება და უკანა ხაზი, შეიძლება ითქვას, ნელ-ნელა იწყებს შეთანხმებულ, გააზრებულ, კომბინაციურ ურთიერთქმედებას. ისიც გამოჩნდა, რომ არც ფეხით თამაშში გვაქვს უსაშველოდ ცუდად. მეტიც, ტრადიციულად ფეხით კარგად მოთამაშე რუმინელები ამ კომპონენტშიც დავჩაგრეთ - მეტწილად ფულბეკ ოთარ ბარკალაიასა და 10 ნომერ ლაშა მალაღურაძის კარგი თამაშის წყალობით. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ამ უკანასკნელმა პირველად ითამაშა ეროვნულ ნაკრების ძირითად თხუთმეტეულში.

ანგარიში საქართველოს ნაკრებმა შეხვედრის მე-9 წუთზე გახსნა. შერკინების მოთამაშეთა მიძალება საკუთარი ლელოდან ხუთიოდ მეტრში რუმინელებმა წესის დარღვევით შეაჩერეს. ბორჯღალოსნებმა საჯარიმო დარტყმის ნაცვლად შერკინება მოითხოვეს. იქიდან ბურთი 8 ნომერმა დიმიტრი ბასილაიამ სწრაფად გამოიტანა და ზედ ხაზთან შეაჩერეს. წარმოქმნილი რაკიდან ლელოში შეღწევა **დავით ზირაქაშვილმა** სცადა, არ გამოუვიდა. **ირაკლი აბუსერიძემ** ბურთი ხაზზე შუამარბ **ირაკლი გიორგაძეს** გაუტანა, ამან სიღრმიდან სცადა ხაზის გაჭრა. ისევ რაკი, ამჯერად აბუმ შეტევაში მეორეხაზელი **მამუკა გორგოძე** ჩართო, რომლის შეჩერება გვარიანად ნაგვემმა და არეულმა სტუმართა დაცვამ ვერაფრით შეძლო. გარდასახვა ოთარ ბარკალაიამ გაიტანა - 7:0.

ქართველი მორაგბეების შეტევები არც ამის შემდეგ შეჩერებულა. ბორჯღალოსნები არაერთხელ მიეძალნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ "მუხის ფოთლები" თავდაუზოგავად იდგნენ დაცვაში. ხშირად ჩვენი მორაგბეებიც სცოდავდნენ, უზუსტო გადაცემის გამო, მწვავე შეტევა რამდენჯერმე ჩაიშალა. ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც გორგოძის შეტევა იყო, რომელმაც ხაზი მოედნის ცენტრში გაჭრა და 30 მეტრი ირბინა. წინ მხოლოდ ერთი მეტოქელა იყო დარჩენილი, მაგრამ "გულივერამ" მისი წინააღმდეგობის დაძლევა ველარ მოახერხა, წაქცევისას კი ბურთი თანაგუნდელებს უკან უხეიროდ ამოუგდო.

სხვაობა 23-ე წუთზე გაიზარდა. რუმინელები მოედნის საკუთარ ნახევარზე, მიწაზე თამაშისას დაჯარიმდნენ. ოთარ ბარკალაიამ 40 მეტრიდან ზუსტად დაარტყა - 10:0.

ტაიმის დასკვნით ათ წუთში ვითარება მოედანზე რადიკალურად შეიცვალა. რუმინელები საგრძნობლად გააქტიურდნენ, რაც ჩვენი უკანახაზელების მიერ გადმოკიდებულ ბურთზე ორჯერ დაშვებულ შეცდომას მოჰყვა. 36-ე წუთზე რუმინელებმა საჯარიმო დარტყმის უფლება მოიპოვეს და ბურთი აუტში გადაიტანეს. ჩვენს ოცდაორმეტრიან ხაზთან მოლი შეკრეს და ჩვენი შერკინება 15-18 მეტრი ათრიეს. ბოლოს ბორჯღალოსნებმა მომხვდურის შეჩერება ლელოდან ორ მეტრში შეძლეს. არბიტრმა შერკინება დანიშნა. იქიდან რვა ნომერმა **კოსტიცა მერსოიუმ** შემოგვიტია, რაკიდან ბურთი მესამე ხაზში გამწესებულმა კვაჭმა **მარიუს ტინკუმ** აიტაცა და ლელოში შეაღწია. გარდასახვა **ფლორინ ვლაიკუმ** გაიტანა - 7:10.

ამ პერიოდში ჩვენი გუნდის თამაშმა გამარჯვებაში ოდნავ დაგვაეჭვა. თუმცა, მეორე ნახევარში გუნდი ბევრად უფრო მობილიზებული და ყურადღებით მოთამაშე ჩანდა. სტუმრებს მთელი ტაიმის განმავლობაში ერთადერთხელ ჰქონდათ შანსი, როცა შეცვლაზე შემოსული გარემარბი **კატალინ ფერკუ** მარცხენა ფრათაზე გაიჭრა და ბოლო მომენტში მალაღურაძემ შეაჩერა. თუმცა, ამ დროს ანგარიში უკვე 22:7 იყო.

მეორე ნახევარში ჩვენმა ნაკრებმა უკიდურესად პრაგმატული რაგბი ითამაშა და ნელ-ნელა გაზარდა სხვაობა. სამი საჯარიმო ოთარ ბარკალაიას ანგარიშზეა (ერთი ააცილა). კიდევ სამი ქულა კი ლაშა მალაღურაძის ოსტატურად დარტყმული არეკნის შედეგი იყო.

"რომპეტროლის" მიერ დაწესებული პრიზები, 1500 ამერიკული დოლარი, მატჩის საუკეთესო მოთამაშეებისთვის საქართველოს ნაკრების კაპიტანს ირაკლი აბუსერიძეს და რუმინელთა 10 ნომერ **იონუც დიმოფტეს** ერგოთ.



ლაშა მალაღურაძე



ირაკლი აბუსერიძე, ოთარ ბარკალაია

## მატჩის შემდეგ

**ელის მიქენი, ზელანდია:** - თამაში კარგად დავიწყეთ. პირველი ტაიმის ბოლოს უპირატესობასაც ვფლობდით, მერე რატომღაც, ყველაფერი აირია. სათამაშო დისციპლინაში მოვიკოჭლეთ. მორაგბეებმა დავალება არ შეასრულეს და მოედანზე რაღაც ექსპერიმენტების კეთება დაიწყეს. ამან, ცხადია, იმოქმედა კიდეც თამაშის შედეგზე. მსაჯობით უკმაყოფილო ვარ. ხშირ შემთხვევებში ჩემთვის გაუგებარი იყო მისი გადაწყვეტილებები. მაგალითად, რატომ დაგვინიშნა ბოლო საჯარიმო შერკინებაში არასწორად ჩადგომისთვის?

**კოსტიცა მერსოიუ, კაპიტანი:** - მატჩის შედეგით გაწბილებული ვარ. ჩვენ გუნდში ბევრი ახლაგაზრდა და გამოუცდელი მორაგბე თამაშობდა. ვფიქრობ, მარცხის მიზეზიც ესაა.

**ტიმ ლეინი, საქართველო:** რუმინეთი ძალიან კარგი, ფიზიკურად ძლიერი გუნდია. ჩვენ რამდენიმე ექსპერიმენტის ჩატარება ვცადეთ და გაგვიმართლა. პირველი ტაიმის ბოლოს ცოტა ავირიეთ, თუმცა მეორე ნახევარში შერკინების უფრო შეკვრა, კონცენტრაცია შევძელით, რამაც გამოიღო კიდეც შედეგი.

მსაჯობაზე კომენტარის გაკეთება არ მინდა. მორაგბე, რომელიც თავის პირველ მატჩს თამაშობს, ფიქრობს, რომ მთელი სამყარო მის წინააღმდეგაა. ნეილ ბალარდისთვის დღეს პირველი საერთაშორისო მატჩი იყო და ალბათ, ისიც ასე ფიქრობდა.

პორტუგალიელებთან მატჩთან შედარებით ჩვენი გუნდი უკეთ გამოიყურებოდა. ფულბეკმა (ბარკალაია) ფეხით კარგად ითამაშა, თუმცა რამოდენიმე შეცდომა მაინც დაუშვა. გამოვყოფდი ასევე 5 ნომერს (გორგოძე) და გუნდის კაპიტანს, რომელიც მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

ვფიქრობ, მოკლე დროში საკმაოდ ბევრის გაკეთება მოვასწარით, თუმცა წინ უამრავი სამუშაო გვაქვს.

**ირაკლი აბუსერიძე, კაპიტანი:** - პირველ ტაიმში თამაში კარგად დავიწყეთ, დასასრულისკენ კი ავირიეთ. რუმინელთა უკანა ხაზი ბურთის გადაკიდების შემდეგ წინ ძალიან სწრაფად ამოდიოდა და ვერ ვასწრებდით მდგომარეობის განმუხტვას.

მინდა მივულოცო ლაშა მალაღურაძეს, რომელმაც დღეს პირველად ითამაშა ძირითად შემადგენლობაში. საკმაოდ თავისუფლად, აუღელვებლად, თავდაჯერებულად გაისარჯა. ყველანი გვერდში ვედექით, ვეხმარებოდით. ყველას ჰქონია ოდესღაც დებიუტი და ვიცით, ეს რამხელა ფსიქოლოგიური ტვირთია. მომავალში, ვფიქრობ, კიდევ უფრო მოუმატებს, უფრო თამამი გახდება.

რვა დღეში ძნელია, გუნდმა შესამჩნევი პროგრესი განიცადოს. ნელ-ნელა წინ მივიწევთ. და ალბათ, დაახლოებით ერთი წელი დაგვჭირდება რათა არსებული ხარვეზები მინიმუმამდე დავიყვანოთ.

## ერთა თასი 2007-08

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 6 | 5 | 0 | 1 | +146 | 10 |
| 2.რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | +80 | 8 |
| 3.რუმინეთი | 6 | 3 | 0 | 3 | +56 | 6 |
| 4.ესპანეთი | 6 | 3 | 0 | 3 | +23 | 6 |
| 5.პორტუგალია | 5 | 2 | 0 | 3 | -28 | 4 |
| 6.ჩეხეთი | 6 | 0 | 0 | 6 | -277 | 0 |

## დარჩენილი მატჩები

**16 თებერვალი**
პორტუგალია-ჩეხეთი

**23 თებერვალი**
**პორტუგალია-საქართველო**
ესპანეთი-რუმინეთი

**1 მარტი**
რუსეთი-პორტუგალია

**8 მარტი**
რუმინეთი-პორტუგალია
რუსეთი-ესპანეთი

**15 მარტი**
რუსეთი-რუმინეთი

**22 მარტი**
რუმინეთი-ჩეხეთი

**29 მარტი**
ჩეხეთი-საქართველო

**12 აპრილი**
რუსეთი-საქართველო

**19 აპრილი**
ჩეხეთი-რუსეთი

**26 აპრილი**
საქართველო-ესპანეთი

**10 მაისი**
ესპანეთი-პორტუგალია

## საქართველო-რუმინეთი

4 მოგება, 7 წაგება
(მსოფლიო თასის შესარჩევი), **(ანთიმოზის თასისთვის)**

| | |
|---|---|
| 18 ოქტ, 1998. დუბლინი. რუმინეთი-საქართველო | 27:23 |
| 2 აპრ, 2000. თბილისი. საქართველო-რუმინეთი | 20:23 |
| 7 აპრ, 2001. ბუქარესტი. რუმინეთი-საქართველო | 20:31 |
| 6 აპრ, 2002. თბილისი. საქართველო-**რუმინეთი** | 23:31 |
| 30 მარ, 2003. თბილისი. საქართველო-**რუმინეთი** | 6:19 |
| 27 მარ, 2004 . იაში. **რუმინეთი**-საქართველო | 25:18 |
| 12 მარ, 2005. თბილისი. **საქართველო**-რუმინეთი | 20:13 |
| 25 თებ, 2006. ბუქარესტი. **რუმინეთი**-საქართველო | 35:10 |
| 7 ოქტ, 2006 . ბუქარესტი. რუმინეთი-საქართველო | 20:8 |
| 3 თებ, 2007. ბუქარესტი. რუმინეთი-**საქართველო** | 17:20 |
| 9 თებ, 2007. თბილისი. **საქართველო**-რუმინეთი | 22: 7 |

ექვსი ერი

# ჯონი ათასს გადასცდა

ფრანგმა **ვენსან კლერმა** ედინბურგში გატანილ ორ ლელოს პარიზში კიდევ სამი დაუმატა და ექვსი ერის წლევანდელი პირველობის მთავარი მელელოვე გახდა. ჰეთ-თრიკი მასპინძელთა ფრთამ უკვე პირველ ტაიმში მიითვალა. 50-ე წუთზე **სედრიკ ემონსმა** მეოთხე ლელოც გაიტანა და თავისიანები 26:6 დააწინაურა და თითქოს მატჩს წერტილი დაუსვა, თუმცა ირლანდიელებმა გაიბრძოლეს, ორი ლელო გაიტანეს და ბოლოსკენ სიტუაცია გვარიანად დაძაბეს "სენ დენიზე", სადაც რაგბის საყურებლად 80 ათასი ადამიანი მივიდა. მატჩის მიწურულს **რონან ო'გარამ** მარცხენა კუთხიდან საჯარიმო გაიტანა, სტუმრები ამის მერეც უტევდნენ, მაგრამ უშედეგოდ - 26:21.

ორი ტურის მერე საფრანგეთის ნაკრებთან ერთად ორი მოგებით უელსის გუნდიც დაწინაურდა. კარდიფში "მილენიუმზე" 75 ათასი გულშემატკივრის თვალწინ უელსმა 30:15 აჯობა აუტსაიდერ შოტლანდიას. უელსელთა ორივე ლელო გარემარბ **შეინ უილიამსის** ანგარიშზეა. შოტლანდიელთა დამრტყმელის, **კრის პატერსონის** ფეხის სიზუსტე (ხუთიდან ხუთი საჯარიმო გაიტანა) რომ არა, ანგარიში სტუმართათვის სავალალო იქნებოდა.

გუშინ რომში იტალიის ნაკრებმა 19:23 წააგო ინგლისთან. პირველ ტაიმში ინგლისელთა უპირატესობა აშკარა იყო, თუმცა მეორეში ბურთს უფრო იტალია აკონტროლებდა, რამაც ნაწილობრივ შედეგი გამოიღო. ამ მატჩში **ჯონი უილკინსონმა** 13 ქულა აიღო და ტესტურ კარიერაში ათას ქულიან ზღვარს გადააბიჯა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**უელსი-შოტლანდია 30:15**

2 ლელო (შ. უილიამსი 2), 2 გარდასახვა (ჰუკი, ს. ჯოუნზი), 2 საჯარიმო (ჰუკი, ს. ჯოუნზი) - 5 საჯარიმო (პატერსონი)

**საფრანგეთი-ირლანდია 26:21**

4 ლელო (კლერი 3, ემონსი), 3 გარდასახვა (ელისალდი) - 2 ლელო (საჯარიმო, დ.უოლესი), გარდასახვა (ო'გარა), 3 საჯარიმო (ო'გარა)

**იტალია-ინგლისი 19:23**

ლელო (პიკონე), გარდასახვა (ბორტოლუსი), 4 საჯარიმო (ბორტოლუსი) - 2 ლელო (საქი, ფლადი), 2 გარდასახვა (უილკინსონი), 3 საჯარიმო (უილკინსონი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 53-27 | 4 |
| უელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 56-34 | 4 |
| ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 37-37 | 2 |
| ინგლისი | 2 | 1 | 0 | 1 | 42-45 | 2 |
| იტალია | 2 | 0 | 0 | 2 | 30-39 | 0 |
| შოტლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 21-57 | 0 |

**მესამე ტური**

**23 თებერვალი**

უელსი-იტალია

ირლანდია-შოტლანდია

საფრანგეთი-ინგლისი



ჯონი უილკინსონი





ქრისტინე ესებუა

# ესებუამ და ნიბლიაშვილმა გაიმარჯვეს

არმიის სპორტულ დარბაზში გუშინ დასრულდა საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში 18 მეტრიან დისტანციაზე. ჩემპიონატში საქართველოს 5 სხვადასხვა რეგიონის 44 სპორტსმენი მონაწილეობდა. ტურნირის პირველ დღეს, 9 თებერვალს, საკვალიფიკაციო სროლა გაიმართა, 10 თებერვალს კი - ფინალური ეტაპი.

ქალთა ფინალში პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიანტები – **ქრისტინე ესებუა** და **ხათუნა ნარიმანიძე** შეხვდნენ და გამარჯვებულის ბედი მხოლოდ ორმა ქულამ გადაწყვიტა.

ორით მეტი, ანუ 112 ქულა ქრისტინე ესებუამ მოაგროვა, რომელიც ტურნირზე ზუგდიდის სახელით მონაწილეობდა, ბათუმელი ნარიმანიძის მარაგში კი 110 ქულა მოგროვდა და ჩემპიონობაც ესებუას დარჩა. სამეულში ბათუმის კიდევ ერთი წარმომადგენელი – **ოლგა ლადიგინა** მოხვდა 105 ქულით.

ვაჟებს შორის ზამთრის ჩემპიონატის გამარჯვებული თბილისელი **შალვა ნიბლიაშვილი** გახდა 112 ქულით, მეორე ადგილზე ბათუმის წარმომადგენელი **დიმიტრი კირიჩენკო** გავიდა 104 ქულით, ამდენივე ქულა მოუგროვდა **ლაშა მაჩაიძეს** თბილისიდან, რომელმაც მესამე ადგილისათვის შეხვედრაში იმარჯვა.

საქართველოს ზამთრის ჩემპიონებს ფულადი პრიზებიც ერგოთ. როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა შორის პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულ სპორტსმენებს სამშენებლო კომპანია „ტიფლის დეველოპმენტმა" შესაბამისად 1000, 500 და 300 ლარი გადასცა.

ქართველ მშვილდოსნებს გაზაფხულზე რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირი ელით 70 მეტრიან დისტანციაზე, რომელიც ოლიმპიური სახეობაა და ღია სტადიონებზე იმართება, ოლიმპიურ თამაშებამდე კი მაისში საფრანგეთი ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, სადაც ოლიმპიური ლიცენზიებიც გათამაშდება. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, მცირე კომენტარი ქრისტინე ესებუას ვთხოვეთ.

**ქრისტინე ესებუა:** - მართალია, დარბაზში სიცივე იყო, მაგრამ ტურნირმა მთლიანობაში ნორმალურად ჩაიარა. შედეგით ბუნებრივია კმაყოფილი ვარ, ჩემპიონატში გამარჯვება სასიამოვნოა ჩემთვის. კარგია, რომ საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში მონაწილეობა სხვადასხვა ქალაქის სპორტსმენებმა მიიღეს, რამაც ტურნირი კიდევ უფრო საინტერესოდ აქცია. ვეცდებით, მომავალ ტურნირებზეც წარმატებული შედეგი ვაჩვენო.

**გიორგი ჭანიშვილი**
სპორტის დეპარტამენტის პრესმდივანი



# ჯობავამ მოსკოვს თავი მოაწონა

გუშინ დასრულდა მოსკოვის ღია საერთაშორისო ფესტივალი "მოსკვაოუფენი", სადაც ხუთი ქართველი მონაწილეობდა: **ბაადურ ჯობავა, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია, სოფიო გვეტაძე და ნაზი პაიკიძე**. კაცები უძლიერეს, A ჯგუფში თამაშობდნენ, ქალები კი პირველად გამოეყვნენ ცალკე.

ჯობავას დღეისთვის 2643 ქულა აქვს რეიტინგ-ცხრილში, რაც ამ ტურნირზე მეთერთმეტე მაჩვენებელი იყო. თქმა არ უნდა, ქართველთა პირველი ნომერი ერთ-ერთი ფავორიტი იყო, მით უფრო, რომ 2006 წელს უფრო ძლიერი "აეროფლოტის" ტურნირი აქვს მოგებული, თუმც ძლიერი ოპონენტები არც ახლა აკლდა და ყოველ პარტიაში მოსაგებად ბოლომდე დახარჯვა იყო საჭირო. ბაადურმა, შეიძლება ითქვას, შესანიშნავად გაართვა თავი ყველა პრობლემას და ტურნირი დიდოსტატური შედეგით - 7 ქულით დაასრულა, მაგრამ, სამწუხაროდ, პირველი ადგილისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა - ჯობავამ მეორე-მეათე ადგილები გაიყო და კოეფიციენტის მიხედვით მეექვსე ადგილზე გავიდა.

მეექვსე ადგილისთვის საკმაოდ სოლიდური პრიზი იყო დაწესებული, მაგრამ როგორც ხშირად ხდება და მოსკოველი საჭადრაკო ჩინოვნიკები ტრადიციულად ამ წესს მიმართავენ, თანაბარქულიანებში ალბათ თანხები გაიყოფა - მეორედან მეათის ჩათვლის საპრიზოებს შეკრებენ და საშუალო არითმეტიკულს გამოიყვანენ - ბაადურს სადღაც შვიდი ათასი დოლარი ერგება.

ნებისმიერ შემთხვევაში ჯობავამ წარმატებულად დაიწყო წელი და იმედია, ასევე გააგრძელებს. ორიოდე დღეში მოჭადრაკეები "აეროფლოტ-ოუფენში" ჩაერთვებიან, რომელიც კიდევ უფრო ძლიერი და პრესტიჟული ტურნირია; საპრიზო ფონდიც მეტია და გამარჯვებული დორტმუნდის სუპერტურნირის საგზურითაც ჯილდოვდება, რაც მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეებთან პაექრობის უფლებას და ელიტაში დამკვიდრების შანსს იძლევა...

ბაადურმა უკვე ისარგებლა ამ შანსით და მართალია, პირველი მცდელობა წარუმატებელი იყო, მაგრამ მეორედ ალბათ ყველაფერი სათანადოდ იქნება.

შედარებით მოკრძალებული შედეგი აჩვენეს ქართველმა ქალბატონებმა, თუმც ათეულში მაინც შევიდა ერთი ჩვენებური - **სალომე მელიამ** ბოლო ტურში შავებით რუსი იულია იაკოვიჩი დაამარცხა და 6,5 ქულით მეექვსე-მეათე ადგილები გაიყო; კოეფიციენტით კი მერვეზე გავიდა. 6 ქულა დააგროვა **სოფიო გვეტაძემ** და მეთხუთმეტე ადგილზე გავიდა. სამწუხაროდ, სუსტად იასპარეზა საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა, საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა **ლელა ჯავახიშვილმა** - 6 ქულით 21-ე ადგილზე გავიდა. სასიამოვნოა, 14 წლის **ნაზი პაიკიძის** კარგი თამაში, - მანაც 6 ქულა დააგროვა და 22-ე ადგილზე გავიდა.

ბოლოს გამარჯვებულებზეც ვთქვათ. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება აღინიშნოს, რომ მოსკოვის საჭადრაკო ფესტივალი სლავების ჰეგემონიით წარიმართა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი უკრაინელებმა: ქალთა ტურნირში ხუთეულში ოთხი უკრაინელია. მართალია **ანა მუზიჩუკი** სლოვენიის სახელით გამოდის, მაგრამ უკრაინაში დაბადებული და გაზრდილია, - მისი და, მარია დღესაც სამშობლოს სახელით ასპარეზობს. **ანამ** ყველას აჯობა და 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მეორეზე **ანა უშენინაა** 7,5 ქულით; მესამეა ევროპის 2000 წლის ჩემპიონი **ნატალია ჟუკოვა** - 7 ქულა; მეოთხეზე ინდოელი თინეიჯერი **ჰარიკა დრონავალია** - 7 ქულა; მეხუთეზე კი ევროპის 2005 წლის ჩემპიონი **კატერინა ლაჰნო** - მასაც 7 ქულა აქვს. რუსმა ქალბატონებმა პირველ ათეულში მეექვსე - **ელენა ტაიროვა**, მეშვიდე - **ოლგა გირია** და მეცხრე - **ირინა ტუროვა**, ადგილები დაიკავეს - ქულათა მარაგი 6,5 გახლავთ.

კაცებში კი საპირისპირო სურათია: პირველ სამ ადგილზე რუსები გავიდნენ: **1. არტიომ ტიმოფეევი - 7,5; 2. ალექსანდრ რიაზანცევი - 7; 3. სერგეი ვოლკოვი - 7;** უკრაინელი **ზაჰარ ეფიმენკო** მეოთხეა - 7 ქულა; მისი თანამემამულე **ალექსანდრ მოისეენკო** კი - მეცხრე - 7 ქულა. ათეულში კიდევ სამი რუსია: **ალექსანდრ ლასტინი, ერნესტო ინარკიევი და იგორ კურნოსოვი** - სამივეს 7 ქულა აქვს. სათქმელია, რომ ერნესტო ინარკიევს ბოლო ტურში ყაიმიც რომ ეთამაშა, ჩემპიონი ხდებოდა. არადა, ინარკიევმა ამ ტურნირზე ლამის უნიკალური შედეგი აჩვენა: პირველ ტურში მოულოდნელი მარცხის შემდეგ ზედიზედ 7 პარტია მოიგო.

**ზვიად შათირიშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. U-16

# ფავორიტებს უჭირთ...

ტრადიციულად, წლის დასაწყისში ჭადრაკის ფედერაცია ცდილობს, ქვეყნის ჩემპიონატები როგორც ასაკობრივ ჯგუფებში, ისე უმაღლესი ლიგისაც ჩაატაროს, რადგანაც გაზაფხულ-ზაფხულის პირზე გარკვეული იყოს იმ მოჭადრაკეთა ვინაობა, ვინც ევროპისა თუ მსოფლიოს ანალოგიურ ჩემპიონატებში ფედერაციისგან შეღავათებს იმსახურებს. ახლახან დამთავრებულ პირველი ლიგის შემდეგ დაფებს 16-წლამდელები მიუსხდნენ.

16 წელი დღევანდელ ჭადრაკში აღარ ითვლება ბავშვურ ასაკად - დიდოსტატების სიუხვე ამ ასაკში მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეინიშნება, თუმც არა - საქართველოში. მიუხედავად ამისა, ნიჭიერი სპორტსმენები გვყავს და თავის გამოჩენა ჯერაც შეუძლიათ საერთაშორისო ასპარეზზე, - ტყუილად არ არის, რომ 16 წლამდე გოგონებში 2 წელია ქართველები ბატონობენ: 2006 წელს **სოფიკო გურამიშვილმა** იმარჯვა, 2007-ში კი **ქეთი წანალაშვილმა** მოახერხა ჩემპიონობა.

სამწუხაროდ, გურამიშვილი და წანალაშვილი ამჟამად არ თამაშობენ. სოფოს ასაკი აღარ აძლევს უფლებას, ქეთი კი ესპანეთში იმყოფება ტურნირზე. მასთან ერთად პირინეის ნახევარკუნძულს სტუმრობს გურამიშვილიც და **მარიამ დანელიაც**, რომელიც ასევე ფავორიტი იქნებოდა, საქართველოს ჩემპიონატში რომ ეთამაშა.

16-წლამდელ ვაჟებშიც არაგვიშავს, მაგრამ აქ გოგონებთან შედარებით, ბევრად ნაკლები თავმოსაწონი გაგვაჩნია. თაობის ლიდერად **ლევან ბრეგაძე** ითვლება, მისი რეიტინგიც შთამბეჭდავია ამ ასაკისთვის - 2427, დანარჩენებს კი ბევრად ნაკლები მაჩვენებელი აქვთ. ეს ფაქტორი, ლევანისათვის ერთგვარი წნეხიც გახლავთ, რადგანაც მას ავალდებულებს ლამის ყველა პარტია მოიგოს, რათა რეიტინგში არ დაიკლოს. როგორც ჩანს, ფსიქოლოგიური ზეწოლა ლევანზე მნიშვნელოვანი გამოდგა და სამი ტურის შემდეგ მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვს, ორიც - ყაიმი. ქულები კი ისეთ მეტოქეებთან გაიყო, რომლისთვისაც ობიექტურად უნდა მოეგო...

ლიდერი კი ხუთი მოჭადრაკეა, რომელთაც მაქსიმალური შედეგი აქვთ. არცერთი მათგანის პირველობა მოულოდნელი არ ყოფილა, თუმც 12 წლის **ირაკლი ბერაძის** ყოფნა ამ კვინტეტში მაინც გამოსარჩევია. ასეთივე ყურადღებას იმსახურებს 11 წლის **ალექსანდრე ებრალიძის** წარმატება, რომელმაც პირველ ტურში შავებით ბრეგაძესთან ყაიმით ითამაშა. ის კი არა და, უნდა მოეგო კიდეც - ორი პაიკით დაწინაურდა მიტელშპილში, მაგრამ მეტოქის ავტორიტეტმა და გამოცდილებამ თავისი გააკეთა და მოგება ველარ შეძლო. ფავორიტთან წარმატება შემთხვევითობა რომ არ იყო, ებრალიძემ მეორე და მესამე ტურებში დაამტკიცა, როცა ორჯერვე იმარჯვა. 2,5 ქულა მხოლოდ მას აქვს და მეექვსე ადგილზეა.

ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს გოგონათა ტურნირიც. აქ უპირველესი ფავორიტი ასაკობრივ ჩემპიონატებში რამდენიმეგზის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი **მერი არაბიძეა**, მაგრამ პირველ ნომერს არც აქ უმართლებს: სამი ტურის შემდეგ მხოლოდ 1,5 ქულა აქვს. მართალია მერი თოთხმეტი წლის ჯერ არ გამხდარა - 25 თებერვალს შესრულდება, მაგრამ მეტოქეებიც ძირითადად თანატოლები ჰყავს: 16 წლის მხოლოდ ორი გოგონაა: **ფატი რიჟამაძე** და **ირმა გელდიაშვილი**; 15 წლის კი - ოთხი: **ლელა უგულავა, მარიამ თევზაძე, მარიამ სულამანიძე** და **სოფიკო ხინთიბიძე**. ამიტომაც არის გასაკვირი მისი ცუდი შედეგი. ჩემპიონატი შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ტარდება და არაბიძეს კიდევ აქვს შანსი, დაკარგული აინაზღაუროს.

მოულოდნელ შედეგად პირველ ტურში უპირველესად **ანა კუჭავას** და **მერი არაბიძის** შედეგი მოინათლა. მართალია შეხვედრა ყაიმით დასრულდა, მაგრამ ანამ მთელი პარტია უკეთ წარმართა და გადამწყვეტი უპირატესობაც მიიღო, თუმცა ცაიტნოტ მოსაგებად გადამწყვეტი იერიში ველარ გაბედა. ანამაც დაამტკიცა, რომ პირველ ტურში წარმატება შემთხვევითობა არ იყო და მეორე და მესამე ტურში მოგებები ჩაიწერა აქტივში. მისი წარმატება გამოსარჩევი იმითაა, რომ 12 წლისაა და ჭადრაკს სერიოზულად მხოლოდ 2 წელი თამაშობს, შარშანდელთან შედარებით კი შეუდარებლად დიდი პროგრესი განიცადა.

გოგონებში მაქსიმალური ქულათა რაოდენობა 2 მოჭადრაკეს აქვს: **ფატი რიჟამაძე** და **ნათია ჯალაბაძე** ლიდერობენ და ერთმანეთს ხვდებიან. მეორე დაფაზე კუჭავა **ნინო ანაკიძეს** ხვდება, რომელიც ტურნირზე მეხუთე ნომრად არის განთესილი. მასაც ანას მსგავსად 2.5 ქულა აქვს და მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს. ორი ქულა ხუთ გოგონას აქვს.

საერთოდ გოგონებში არცთუ ბევრი მონაწილეა - 23; ბიჭებში ბევრად მეტმა მოიყარა თავი - 47. ჩემპიონატი შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ტარდება. ჩემპიონი მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს, მეორეადგილოსანი კი თანატოლთა ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება.

მეოთხე ტურში: გოგონები: ფატი რიჟამაძე (3)-ნათია ჯალაბაძე (3); ანა კუჭავა (2,5)-ნინო ანაკიძე (2,5); მარიამ თევზაძე (2)-ლელა უგულავა (2); ნანი უნაფქოშვილი (2)-ანა შამათავა (2); დეა გოგიშვილი (1,5)-ირმა გელდიაშვილი (2); მერი არაბიძე (1,5)-თეკლა მაჭარაშვილი (1,5); მარიამ სულამანიძე (1,5)-ლიზი ტრაპაიძე (1).

ბიჭები: ირაკლი ბერაძე (3)-გიორგი ნიკოლაშვილი (3); ზურაბ ჯავახაძე (3)-ირაკლი ჯანიაშვილი (3); დიმიტრი კვარაცხელია (3)-ალექსანდრე ებრალიძე (2,5); კახაბერ წერეთელი (2)-ლევან ბრეგაძე (2); ნოდარ დავარაშვილი (2)-ბექა ფიფია (2); ნოდარ ლორთქიფანიძე (2)-ოთო ქოსაშვილი (2); ანდრო ერვანდიანი (2)-ნიკა ვოლკოვი (2); თორნიკე გაბუნია (2)-გიორგი დარსალია (2); თორნიკე ხურციძე (2)-გიორგი ლომიძე (2); ალექსანდრე მერაბიშვილი (2)-ლაშა ხიზანიშვილი (2).

**ზვიად შათირიშვილი**



გიორგი შერმადინმა 41 ქულა დააგროვა

საქართველოს XVI ჩემპიონატი. XVI ტური

# დინამოს ლექცია სტუდენტებს

10 თებერვალი, სპორტის სასახლე

**ხუთდღიანი** მესამე წრის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატმა ვერის ბაღიდან კვლავ სპორტის სასახლეში გადმოინაცვლა. გუშინ, მთავარ საკალათბურთო არენაზე მე-16 ტურის ორი შეხვედრა გაიმართა - ჯერ "დინამომ" მოახდინა მორიგი სენსაცია, შემდეგ - "ავიამშენმა".

| თსუ-დინამო | 84:92 |
|---|---|

20:33, 15:26, 25:12, 24:31

თსუ: არნივიძე, ფანჩულიძე (11 ქ. 6 პ. 3 ჩ), დ. ბერიშვილი (11 ქ. 5 პ), ბარბაქაძე (22 ქ. 12 მ. 3 ჩ. 2 დ), კოხრეიძე (5 ქ. 8 მ), ყველაშვილი (4 ქ. 6 მ), კეიდია (3 ქ), ხეცურიანი (16 ქ. 5 პ), ტყეშელაშვილი (12 ქ. 5 მ)

დინამო: გულისაბედაშვილი (15 ქ. 5 ჩ), ჟღენტი (23 ქ. 3 პ), ლაფანაშვილი (9 ქ. 8 მ. 8 პ), სიგუა (3 ქ. 3 პ), მაისურაძე (7 ქ), ათანელიშვილი (4 ქ. 5 მ), ახალკაცი (16 ქ. 6 მ. 3 ჩ), ფაიქრიძე, სანიკიძე (15 ქ. 14 მ. 4 ჩ. 3 დ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

| ავიამშენი-მაკაბი | 104:85 |
|---|---|

28:24, 24:20, 30:17, 22:24

ავიამშენი: ბერაია (11 ქ), ნიკოლაძე (26 ქ. 4 პ. 3 ჩ), კვიმსაძე (3 ქ. 3 პ), ტულუში (20 ქ. 13 პ. 3 ჩ), იმნაძე (7 ქ), ნინიაშვილი (25 ქ. 9 მ), მათიაშვილი (2 ქ. 5 პ. 6 მ), მინაშვილი (10 ქ)

მაკაბი: ჯიქია (2 ქ), ი. ბერიშვილი (5 ქ. 4 პ), სორდია (3 ქ), გ. შერმადინი (41 ქ. 20 მ. 7 პ), პირველაშვილი (4 ქ), ვაშაკიძე, კორკოტაძე (14 ქ. 5 მ), კოლუაშვილი (4 ქ. 4 პ), ს. შერმადინი (12 ქ. 6 მ), გაგლოშვილი

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 15 | 13 | 2 | 28 |
| 2. თსუ | 16 | 10 | 6 | 26 |
| 3. ავიამშენი | 16 | 8 | 8 | 24 |
| 4. დინამო | 16 | 7 | 9 | 23 |
| 5. ვითა | 15 | 5 | 10 | 20 |
| 6. მაკაბი | 16 | 4 | 12 | 20 |

"დინამოსთან" შეხვედრამდე თსუ-ს ანგარიშზე 10 მოგება და 5 წაგება იყო. სტუდენტებს პირველობის ყველა ფავორიტი გამწარებული ჰყავდათ და, თავისთავად, თვითონაც ფავორიტის სტატუსი ჰქონდათ მიღებული. ასეთ გუნდთან გამარჯვება ყოველთვის რთულია, ხოლო როცა წარმატებას ცხრილის მეორე ნაწილის გუნდი აღწევს, ეს უკვე სენსაციაა.

... თუმცა, "დინამოს" თსუ-სთან გამარჯვება ალოგიკური ნამდვილად არ ყოფილა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ **ზაზა ცაგარეიშვილის** შეგირდებმა მწყობრი თამაში უჩვენეს როგორც დაცვაში, ასევე - შეტევაში. მართალია, იყო მოდუნებები და მცირე ჩავარდნები, მაგრამ საერთო ჯამში დინამოელებმა თსუ-ზე გამართულად ითამაშეს. თუ სტუდენტთა პრესინგის გარღვევა ლიდერებსაც უჭირთ, დილმელებმა კარგად მოახერხეს კონტრტაქტიკის მონახვა და იყო ეპიზოდები, როცა ერთი დინამოელი მეტოქის კალათქვეშ მარტოდმარტო რჩებოდა.

ზაზა ცაგარეიშვილის გუნდის გამარჯვების მეორე მიზეზზე სტატისტიკა საუბრობს: მაშინ, როცა სტუდენტებმა 40 წუთში 46 ორქულიანი სტყორცნეს, დინამოელებმა ეს 55-ჯერ გააკეთეს და 27 ორიანი კალათში მოათავსეს. როგორც ხედავთ, დილმელებმა სწრფ თსუ-ს უფრო სწრაფი თამაში შესთავაზეს, ართმევაზეც უკეთ გამოიყურებოდნენ (14 ჩაჭრა 9-ის წინააღმდეგ) და ამიტომაც გაიმარჯვეს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "დინამოს" თამაში ახალწვეულმა **ვიქტორ სანიკიძემაც** აასწრაფა. მართალია, იგი ჯერ სათანადო ფორმაში არ არის, მაგრამ თანაგუნდელებს მაინც კარგად დაეხმარა: ბოლო წამებზე ერთმანეთს 2 ჩაჭრა, ეფექტური ზემოდან გდება მიაყოლა და ორმაგი დუბლის გემოც გაიხსენა - 15 ქულა, 14 მოხსნა.

მატჩის სნაიპერი "დინამოს" გამოცდილი გამთამაშებელი **არჩილ ჟღენტი** გახდა, რომელმაც 23 ქულა ჩააგდო. მაშინ, როცა მდგომარეობა მეტისმეტად დაიძაბა, თსუ-მ სხვაობა 6 ქულამდე შეამცირა (სირენამდე 1:25 წუთით ადრე), ჟღენტმა ორი საჯარიმო ზუსტად სტყორცნა და არც საფინალო ანგარიშის დაფიქსირებისას აჰკანკალებია ხელი - 92:84.

როგორც სხვა თანაბარ შეხვედრებში, თსუ-"დინამოს" მატჩშიც ხშირი იყო აპელირება მსაჯების მოქმედებებზე. საბოლოოდ ორივე მხარე არბიტრებზე განაწყენებული დარჩა.

"მაკაბის" სეზონის დასაწყისში თანაბრად დაბალანსებული გუნდი ჰყავდა: წინა ხაზში **გიორგი და სოსო შერმადინები** ყოჩაღობდნენ, ხოლო უკანა ხაზიდან მათ **ტყუპი ბერიშვილები** უმაგრებდნენ ზურგს. აქედან გამომდინარე, ლოგიკური იყო "მაკაბის" მიერ "ავიამშენის" ორჯერ დამარცხება. იანვარში გუნდი დატოვა გამთამაშებელმა **დავით ბერიშვილმა**. მის გარეშე გუშინ "ავიას" უკანახაზელების წინააღმდეგ თამაში აშკარად გაუჭირდათ **ირაკლი სორდიასა** და **ირაკლი ბერიშვილს**, ხოლო ორი ირაკლის გარეშე - მთლიანად "მაკაბის". მწვრთნელმა **ნოდარ ქორქიამ** მეორე ტაიმის ბოლოდან საფინალო სირენამდე სორდია და ბერიშვილი მოედანზე აღარ გამოიყვანა, ხოლო ახალგაზრდა **გაგლოშვილსა** და **ჯიქიას** გამოცდილი ავიატორების წინააღმდეგ ბევრი არაფერი გამოუვიდათ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თავის გამოჩენა მანამდე ვერც **სორდიამ** და **ბერიშვილმა** მოახერხეს.

**კოტე ტულუშისა** და **გიორგი ნიკოლაძის** ფორმაში შესვლა აშკარად დაეტყო "ავიამშენს", რომელთა შემჩერებელი ჩვენს ჩემპიონატში არ მოიძებნება. კოტემ გუშინ 20 ქულა და 13 შედეგიანი გადაცემა ჩაიწერა, ხოლო ნიკოლაძემ თანაგუნდელთა შორის სნაიპერობა იკისრა - 26 ქულა ჩააგდო.

საინტერესო იყო სირენამდე დარჩენილი 12 წამი. სწორედ ამ დროს მაკაბელმა გიორგი შერმადინმა ბურთი დაიჭირა. მეტოქის ფარისკენ დაიძრა, თუმცა კალათამდე ვერ მიაღწია: ავიატორებმა წესები დაარღვიეს. შერმადინი საჯარიმოს ხაზთან დადგა, ჯერ ერთი საჯარიმო გამოიყენა, შემდეგ მეორე და აქტივში 41 ქულა ჩაიწერა. ეს მიმდინარე ჩემპიონატის რეკორდი ზახლავთ. მანამდე ორი ტურით ადრე იმავე შერმადინმა 40 ქულას მოუყარა თავი.

**მე-16 ტური დღეს რუსთავში დასრულდება - "ენერჯი" "ვითას" უმასპინძლებს.**

ვაჟა სიმონიშვილი

# ზაზამ იაოს ჩრდილქვეშ გამოანათა

**ზაზა ფაჩულია** ტრავმების შემდეგ ფორმასაც იბრუნებს და "ატლანტაში" დაკარგულ ადგილსაც. "ჰიუსტონ როკეტსთან" მატჩში მწვრთნელ **მაიკ ვუდსონს იაო მინის** შემჩერებელი დასჭირდა და ქართველი ცენტრი 29 წუთით ათამაშა. ამერიკელი ჟურნალისტების მტკიცებით, მართალია, ჩინელის განეიტრალება ვერც ერთმა ატლანტელმა შეძლო, მაგრამ ჯორჯიელთა რიგებში ორი ნათელი წერტილი **ზაზა ფაჩულია** და **ჯოშ ჩილდრესი** იყო. მხოლოდ ამ დუეტმა შეძლო 10-ქულიანი ბარიერის გადალახვა: ზაზამ 11 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა, ხოლო ჯოშმა - 18 ქულა. ფაჩულიას კონკურენტი ელ ჰორფორდი 8-8 ქულა-მოხსნას დასჯერდა.

ჩინურ გვარს ერთხელაც ვახსენებთ: იაო მინმა 31 წუთში 28 ქულა ჩააგდო (9 მოხსნა) და "ჰიუსტონის" გამარჯვების მთავარი შემოქმედი გახდა - 108:89.

"ატლანტას" 47 მატჩიდან 21 აქვს მოგებული და სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში მესამე ადგილზეა.

ვახტანგ ტყეშელაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაინდურაშვილის სიურპრიზი

პირველი გვერდიდან

არადა, წილისყრაც ისეთი შეხვდა, უარესს საგანგებოდ თუ შეუდგენდი - აზერბაიჯანელი მსოფლიოს პრიზიორი **ელხან რაჯაბლი**, იაპონელი მსოფლიოს პრიზიორი **ტაკაში ონო**, ალჟირელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **აბდერაჰმან ბენამადი**, უკრაინელი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **რომან გონტიუკი**, ბრაზილიელი ოლიმპიური პრიზიორი **ფლავიო კანტო**, პოლონელი ევროპის პრიზიორი **რობერტ კრავჩუკი** და სწორედ ის რუსი **სირაზუდინ მაგომედოვი**, რომელმაც თბილისის ტურნირზე მოუგო... ამათ ორი, მართალია, არც ისე ძლიერი, მაგრამ მაინც მასპინძელი და კიდევ რამდენიმე ძალზე გამოცდილი ფალავანიც უნდა დავამატოთ სხვადასხვა გუნდებიდან. თუმცა საბოლოოდ ბედმა მათთან შეხვედრები თავიდან ააცილა, მაგრამ ვისთანაც მოუწია, დამაჯერებლად აჯობა. თავიდან სამი შეხვედრა ვაზარით მოიგო - არგენტინელ **ემანუელ ლუცენტისთან**, ჩეხ **ირჟი პოკორნისთან** და თურქ ჰალილ **იბრაჰიმ ოზერლერთან**, მერე კი ზემოაღნიშნული რაჯაბლი და მაროკოელი **საფუან ატტაფი** დააიპონა. ფინალში მისი მეტოქე რუსთა ახალბედა **ალიბეკ ბაშკაევი** გახლდათ და თითქოს არც მასთან უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შეხვედრის შუაწელში თავად დამარცხდა იპონით. თუმცა, მისი პარიზული გამოსვლა მაინც დადებითად უნდა შეთასდეს.

ამავე წონაში წარუმატებლად გამოვიდა **გრიგოლ შინჯიკაშვილი**, რომელიც ბაინდურაშვილის უმთავრესი მდევარია და ლიცენზიის მოპოვების შანსსაც ინარჩუნებდა. იგი პირველივე წრეში დამარცხდა სლოვენიელ **კლემენ ფერიანთან** და მერე არც სანუგეშოში ჩართვის საშუალება მისცემია.

**ზურაბ ზვიადაური** პირველივე წრეში ყაზახ **მაქსიმ რაკოვთან** დამარცხდა გაფრთხილებით. არადა, მას ძალიან კარგი წილისყრა შეხვდა. **ირაკლი ცირეკიძე** (90) პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი ბრიტანელ ევროპის პრიზიორ **ვინსტონ გროდონს** 2 კოკა აართვა. სიმართლე გითხრათ, მისი წაგება კუბელ **იორგ ბენავიდესთან** ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ცირეკიძემ მასთან იუკოთი წააგო. ამის მიუხედავად, კონკურენტზე მცირე უპირატესობა მაინც მოიპოვა. აქ საქმე უფრო იმაშია, რომ ზვიადაური ვერა და ვერ იბრუნებს ადრინდელ ფორმას. სავარაუდოდ, ხაბარელი მას კიდევ მისცემს ერთ შანსს - უფრო პრალაში, მარტის პირველივე დღეებში.

ჩვენი გუნდის სხვა ლიდერთაგან **ლომერ ჟორჟოლიანის** (100) მარცხს გამოვარჩევთ - პირველივე შეხვედრაში შვედ **მარტი რაცეკთან** წმინდად წააგო და მერე ვერც სანუგეშოში გადაერთო. ცხადია, დასანანი მარცხია, მაგრამ არა განსაკუთრებული. ვფიქრობ, იგი სათანადო დასკვნებს გამოიტანს.

ამავე წონაში საკმაოდ კარგად იასპარეზა **ლევან რაზმაძემ**, რომელიც ოლიმპიურ გუნდში ჟორჟოლიანის მთავარი მოცილეა. მან სამი წრე გაიარა და ძალზე ცნობილ ფალავნებს სძლია. პირველ შეხვედრაში უნგრელ ევროპის ჩემპიონს და მსოფლიოს პრიზიორ **დანიელ ჰადფის** ჯერ იუკო აართვა, მერე - ორი კოკა და მთლიანობაში, დამაჯერებლად აჯობა. მეორეში უტიტულო იტალიელ **ჯანკარლო ჯაკალიას** ორი ვაზარით წმინდა მოგება მიითვალა, მესამეში კი უკრაინელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ვიტალი ბუბონს** იუკოც აართვა და გააფრთხილებინა კიდეც. აი, ამის შემდეგ კი რაზმაძე ზედიხედ ორჯერ დამარცხდა წმინდად - ჯერ ნახევარფინალში კორეელ **იოო კვანგ-სუნთან**, მერე - სანუგეშოში ყაზახ მსოფლიოს პრიზიორ **აშხატ ჟიტკეევთან** და უმედლოდ დარჩა.

**ადამ ოქრუაშვილი** (+100) პირველივე წრეში დამარცხდა ჩინელ **ხიანგჯუი ვეისთან** და მერე ვერც სანუგეშოში ჩაერთო. სანუგეშში ვერც **ბეთქილ შუკვანი** (60) გადავიდა, თუმცა დასაწყისში ორი ბრძოლა მოიგო - საკმაოდ გამოცდილ ფრანგ **ჟერემი კადო-დიუკთან** და აზერბაიჯანელ **სარხან ახმადოვთან**, მერე კი უკრაინელ **გიორგი ზანთარაიასთან** დამარცხდა. სენეგალელ **მუსა დიოპთან** მოგების შემდეგ მასპინძელ დევიდ ლაროსესთან წააგო **ნესტორ ხერგიანმაც**, რომელმაც ამჯერად 66-ში იჭიდავა. ტურნირს ის ამ მარცხით დაემშვიდობა კიდეც. ერთი მოგების შემდეგ მეორე ბრძოლა დათმო **დავით კუპრაშვილმაც** (73) - ესპანელ ევროპის ჩემპიონ **კიოში უემაცუსთან** და ისიც ადრევე გავარდა.

დასასრულს, გეტყვით, რომ ხაბარელმა პარიზში ორი ლიდერი - **ზაზა კედელაშვილი** (66) და **ლაშა გუჯეჯიანი** (+100) არ აჭიდავა.

## თარიღი

**ალექსანდრა ჯაფარიძე.** 11.02.1895, ხრეითი, ჭიათურა - 27.11.1974, თბილისი. ალპინიზმი. პირველი ქართველი მთამსვლელი ქალი, ქართული ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. შესრულებული აქვს 100-მდე სპორტული ასვლა კავკასიონის მწვერვალებზე. საეტაპო იყო პირველი ასვლა მყინვარწვერზე (1923), თეთნულდზე (1930), უშბაზე (1934), დიხ-თაუზე (1950), ცენტრალური კავკასიონის დიდი ტრავერსი (1940). მყინვარწვერის კალთებზე (ზღვის დონიდან 4 100 მ) აღმოაჩინა და შეისწავლა ბეთლემის გამოქვაბული (1948). აღზარდა ქართველ მთამსვლელთა მრავალი თაობა. ქართულ ენაზე თარგმნა ფრანგი მთამსვლელის, მორის ერცოგის გახმაურებული წიგნი "ანაპურნა" (1974). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე. ალექსანდრე ჯაფარიძის სახელი მიენიჭა მის მიერვე დაარსებულ სკოლას ხრეითში დ მწვერვალს კავკასიონზე, ჭაუხების მასივში. ხრეითში გახსნილია მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემორიალური სახლ-მუზეუმი (1983).

**მიხეილ კეკელიძე.** 11.02.1921, თბილისი - 22.11.1973, იქვე. კალათბურთი. თამაშობდა თბილისის "ნაუკასა" (1939-41) და "დინამოში" (1942-50). სსრკ ჩემპიონატების მეორე (1947) და მესამე (1948) პრიზიორი, სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1949, 50). იყო საქართველოს იუნიორთა ნაკრებისა (1947-65) და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სპი) გუნდის მთავარი მწვრთნელი (1950-71). მისი ხელმძღვანელობით იუნიორთა ნაკრებმა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა (1957), სპი-ს გუნდმა კი სტუდენტთა არაერთი საკავშირო ტურნირი მოიგო. საქართველოში კალათბურთელ ბავშვთა ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი. მისი სახელი მინიჭებული აქვს თბილისის განათლების ბავშვთა სპეციალიზებულ საკალათბურთო სკოლასა და ვერის ბაღში მდებარე კალათბურთის სასახლეს. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი.

**გენადი ზაიჩიკი.** დაიბადა 11.02.1957, თბილისი. ჭადრაკი. საერთაშორისო დიდოსტატი (1984). საქართველოს სსრ სამგზის ჩემპიონი (1978, 79, 85). სსრკ ჩემპიონატის I ლიგის სამგზის მონაწილე (1982, 85, 87), მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების მონაწილე (1992, 96). 2002 წლიდან ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**გიორგი ყაჭეიშვილი.** დაიბადა 10.02.1977, თბილისი. ჭადრაკი. საერთაშორისო დიდოსტატი (1999), საქართველოს ჩემპიონი (1995) და სამგზის მეორე პრიზიორი (1992, 2001, 03). ევროპის გუნდური ჩემპიონატების მონაწილე (1997 - თავის დაფაზე მოიპოვა მცირე ვერცხლის მედალი) და მესამე პრიზიორი (2003 - თავის დაფაზე მიიღო მცირე ოქროს მედალი). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების მონაწილე (2000, 04).

**რაშ ხუტაბა.** დაიბადა 10.02.1951, ბრაბუხვა, გუდაუთა. თავისუფალი ჭიდაობა (100 კგ). ევროპის ჩემპიონი (1982), სსრკ ჩემპიონი (1981) და ორგზის მესამე პრიზიორი (1976, 82). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

საქართველოს ვეტერანი კალათბურთელები უთანაგრძნობენ ნარსულში ცნობილ კალათბურთელს ვაჟა ჟღენტს დის გარდაცვალების გამო.

ელექტრონული ბიბლიოთეკა




აგნიეშკა რადვანსკა

ტურნირების მიმოხილვა

# რადვანსკამ ოცეულში შეაბიჯა

პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკას** გამარჯვებით დასრულდა პატაიას ღია პირველობა, რომლის ფინალშიც მან სამ სეტში მოუგო ამერიკელ **ჯილ კრეიბასს** და კარიერაში ვტა-ს მეორე ტურნირი მოიგო.

პირველი ორი სეტიდან, მეტოქეებმა თითო საკმაოდ იოლად მოიგეს. ყველაზე საინტერესო კი მესამე, გადამწყვეტი სეტი გამოდგა, რომელშიც ჯერ კრეიბასმა მოიგერია ორი მატჩ პოინტი, შემდეგ კი თავად შეეძლო თამაშის მოგება, მაგრამ ახლა პოლონელმა ივარგა. საბოლოოდ, სეტი ტაიბრეიკზე გადავიდა, სადაც უფრო სტაბილური რადვანსკა გამოდგა და თამაშიც მისი გამარჯვებით დასრულდა. ამ მოგებით, 18 წლის რადვანსკა რეიტინგის ოცეულში პირველად შევა. შეგახსენებთ, რომ მან კარიერაში პირველი ტურნირი შარშან, სტოკჰოლმში მოიგო.

*"ძალიან უცნაური მატჩი გამოვიდა, მთავარი კი ისაა, რომ მოვიგე. პირველი ორი სეტი ძალიან სწრაფად დასრულდა. მესამეშიც თავიდან 5:1 დავწინაურდი და მეგონა, რომ იოლად მოვიგებდი, მაგრამ ჯილმა თამაში შემოაბრუნა და ანგარიშის გათანაბრების შემდეგ, ბოლო ბურთამდე თავდაუზოგავად იბრძოლა. ტაიბრეიკამდე ორი მატჩ პოინტი კი მივილე, მაგრამ მათი გამოყენება ნერვიულობის გამო ვერ შევძელი. ეს კი ლამის წაგების ფასად დამიჯდა - მალე მატჩ პოინტის წინაშე თავად აღმოვჩნდი. საბოლოოდ, ძალიან გამიმართლა, როცა ბოლო გათამაშება მე მოვიგე, ამაში ბადე მომეშველა"*, - ნამატჩევს განაცხადა რადვანსკამ, ვისაც მესამე სეტის მიწურულს მასაჟისტის დახმარება დასჭირდა.

პოლონელმა შეხვედრა გაუბედავად დაიწყო და პირველი ორი გეიმი მეტოქეს ადვილად დაუთმო. თუმცა შემდეგ აიწყვიტა და ზედიზედ ექვსი გეიმის მოგებით, სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა. მეორე სეტიც პირველის ანალოგიურად დაიწყო. ოღონდ, ამჯერად კრეიბასმა მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება აღარ მისცა. საბოლოოდ, ამერიკელმა სეტი ორი ბრეიკის უპირატესობით მოიგო.

გადამწყვეტი სეტის დასაწყისში, ისევ რადვანსკამ იძალა და მალე ანგარიში 5:1 გახდა მის სასარგებლოდ. მაგრამ ამერიკელმა ისევ გაიბრძოლა და მალე ესოდენ სოლიდური ჩამორჩენის აღმოფხვრა შეძლო - 5:5.

კრეიბასი, ვისაც მეტოქის მსგავსად, პატაიას ტურნირამდე მხოლოდ ერთი ტიტული ჰქონდა მოპოვებული, მომდევნო გეიმის შემდეგ 6:5 დაწინაურდა, მე-12 გეიმში კი, რომელიც ყველაზე ხანგრძლივი გამოდგა, თამაშის მოგების შანსიც გაუჩნდა, მაგრამ პოლონელმა ამის საშუალება არ მისცა.

*"რაც შემეძლო ვიბრძოლე, თავი არ დამიზოგავს, მაგრამ მაინც წავაგე. ამის მიუხედავად, გული არაფერზე მწყდება. ვიცი, ოდნავ უფრო აგრესიული რომ ვყოფილიყავი, იქნებ მომეგო კიდეც, მაგრამ მატჩ პოინტზე თავდაჯერებულობამ მიღალატა. საბოლოო ჯამში, ტურნირზე ჩემი გამოსვლით კმაყოფილი ვარ"*, - განაცხადა 33 წლის კრეიბასმა, ვისაც ექვსი წელია ტურნირი არ მოუგია.

■ ■ ■

პარიზის ჭერქვეშა ღია პირველობა კი რუსეთის **ანა ჩაკვეტაძემ** მოიგო, ვინც ფინალში სამსეტიან დაძაბულ პაექრობაში აჯობა უნგრელ თინეიჯერ **აგნეშ სავაის** და კარიერაში მეშვიდე ტურნირის ჩემპიონი გახდა.

შეხვედრა, რომელმაც ორ საათს გასტანა, ორმხრივი შეცდომებით გამოირჩეოდა. თუმცა, ეს ნაკლებად ეხება გადამწყვეტ სეტს, რომელშიც ორივემ გააუმჯობესა თამაშის ხარისხი და მაყურებელს საინტერესო სანახაობა შესთავაზა. აღსანიშნავია, რომ პირველი ორი სეტის დასაწყისი ერთმანეთის იდენტური გამოდგა. ორივეში პირველი ოთხი გეიმი ერთმა ჩოგბურთელმა მოიგო. და თუ პირველში უპირატესობა რუსის მხარეს იყო, მეორეში უნგრელმა იძალა.

მესამე სეტის დასაწყისში ჩაკვეტაძემ კორტზე ექიმს უხმო, რომელმაც მას ტრავმირებული მხარი დაუმუშავა. პაუზის შემდეგ კი ისე ათამაშდა, ტრავმის კვალი არ ეტყობოდა. უნგრელმა გაბრძოლება სცადა, მაგრამ მის თამაშს ნერვიულობა დაეტყო. შედეგად, გადამწყვეტ მომენტში, როცა ბრეიკით უკან იყო, მან ორმაგი შეცდომა დაუშვა და რუსს ორმაგი მატჩ პოინტი აჩუქა. ჩაკვეტაძემაც საჩუქარი კარგად გამოიყენა.

### პატაიას ღია

პატაია (ტაილანდი).
მეოთხე კატეგორია. ჰარდი
**საპრიზო ფონდი: 170 000 დოლარი**

**ნახევარფინალი**

**აგნიეშკა რადვანსკა** (პოლონეთი, 1)-ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) 6:1, 6:1
**ჯილ კრეიბასი** (აშშ, 7)-აკგულ ამანმურადოვა (უზბეკეთი) 6:4, 6:0

**ფინალი**

**აგნიეშკა რადვანსკა** (პოლონეთი, 1)-ჯილ კრეიბასი (აშშ, 7) 6:2, 1:6, 7:6(4)

### გაზ დე ფრანსის ღია

პარიზი (საფრანგეთი).
მეორე კატეგორია. ჭერქვეშა ხალიჩა
საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი

**ნახევარფინალი**

**ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი,1)-მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი, 3) 2:6, 6:2, 6:0
**აგნეშ სავაი** (უნგრეთი, 7)-ელენა დემენტიევა (რუსეთი, 4) 6:3, 1:6, 7:5

**ფინალი**

**ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი,1)-აგნეშ სავაი (უნგრეთი, 7) 6:3, 2:6, 6:2

ინტერვიუ ჯიმ კურიესთან

# ცონგა საუკეთესო ხუთეულს უმიზნებს

**ნარსულში** ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი ჯიმ კურიე ავსტრალიის ღია პირველობაზე ჟურნალისტად მუშაობდა. "დიდი სლემის" პირველი ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ავტორიტეტულმა ჟურნალმა TENNIS-მა მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანთან ინტერვიუ აიღო, რომელშიც კურიე "მელბურნ-პარკზე" დასრულებულ ტურნირს აფასებს.

**- რა ემართებათ დებ უილიამსებს? ავსტრალიის ღია პირველობაზე მათი წარუმატებლობა მოსალოდნელ კრიზისზე ხომ არ მიგვანიშნებს?**

- რა თქმა უნდა, ავსტრალიაზე დები უილიამსების გამოსვლა იმედგაცრუებად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ტურნირია, თანაც, სეზონის დასაწყისში. 2008 წელს მათგან დიდ გამარჯვებებს ელოდეთ! მე ამის მჯერა.

**- როგორ ფიქრობთ, შეეძლო თუ არა ენდი როდიკს გერმანელი ფილიპ კოლშრაიბერის წინააღმდეგ უკეთ თამაში?**

- კოლშრაიბერი ძალიან მაღალი დონის მოთამაშეა და ენდის უკანა ხაზზე თამაშში ჯობდა. ვფიქრობ, როდიკს უფრო აგრესიულად უნდა ეთამაშა და შემოვლითი დარტყმებით ეცადა ბედი. ნებისმიერ შემთხვევაში, ორივე ჩოგბურთელმა იმ მატჩში უმაღლესი დონის ჩოგბურთი შემოგვთავაზა.

**- რა გავლენა აქვს ტონი რიოჩს ლეიტონ ჰიუიტის თამაშზე? შეძლებს თუ არა ავსტრალიელი კვლავ შევიდეს საუკეთესო ათეულში?**

- რიოჩი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. მასთან მუშაობა ლეიტონისთვის ძველი დონის დაბრუნების საუკეთესო საშუალებაა. მათი თანამშრომლობის შედეგს ძალიან მალე დავინახავთ.

**- როჯერ ფედერერს თქვენს პერიოდში რომ ეთამაშა, შეძლებდით თუ არა მის დამარცხებას?**

- თავის დროზე, ჯიმი კონორსთან, ჯონ მაკინროისთან, ივან ლენდლთან, ბორის ბეკერთან, სტეფან ედბერგთან, ანდრე აგასისთან, პიტ სამპრასთან, მაიკლ ჩანგთან, პატრიკ რაფტერთან, გორან ივანიშევიჩთან მიწევდა ბრძოლა. როჯერზე ფიქრი არ მინდა - ისიც მყოფნის, თუ რა პროფესიონალებს ვამარცხებდი 90-იან წლებში.

**- ავსტრალიის ღია პირველობაზე ახალი ვარსკვლავი დაიბადა - ჟო-ვილფრიდ ცონგა. რას ფიქრობთ ფრანგ ჩოგბურთელზე?**

- ჩემი აზრით, მელბურნში მისი თამაში ყველაზე სანახაობრივი, ეფექტური და შინაარსიანი იყო. ერთადერთი, რაც მაღელვებს, შეძლებს თუ არა ის ამ დონის შენარჩუნებას მომავალში. თუ ჟო ტრავმებს აიცილებს თავიდან, ასევე მოტივირებული იქნება კორტზე და გაუძლებს ზეწოლას, ის მინიმუმ საუკეთესო ხუთ ჩოგბურთელს შორის მოხვდება. იქიდან გამომდინარე, რასაც ახლა ვხედავთ, წესით, ცონგა არ უნდა იყოს ერთი ტურნირის მოთამაშე.

**- შემჩნეულია როდესაც მოთამაშეები, მაგალითად ჯოკოვიჩი ან ივანოვიჩი მატჩის მსვლელობისას ჩოგანს ცვლიან, უკეთესად აგრძელებენ თამაშს. რა მნიშვნელობა აქვს ჩოგბურთელისთვის ჩოგნის შეცვლას?**

- თუ ჩოგბურთელის თამაში უკეთესობისკენ იცვლება, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს ახალი ჩოგნის დამსახურებაა. ყველაფერი დამოკიდებულია იმ ხელზე, რომელსაც ეს ჩოგანი უჭირავს.

**- როცა მოთამაშე მოწოდების წინ ბურთს ამოწმებს, რას ელოდება ის?**

- მოთამაშეებს სურთ აირჩიონ ისეთი ბურთი, რომელსაც უკეთესი ასხლეტის უნარი ექნება, რათა ეს უპირატესობა პირველი მოწოდებისას გამოიყენონ.

**- ცნობილია, რომ თქვენ დოკუმენტურ ფილმს იღებთ, რომლის სახელწოდებაა - Unstrung. რა სტადიაშია ახლა ეს პროექტი?**

- მასზე უფლებები კომპანია "დისნეიმ" შეიძინა. მოქმედების მომავალი გეგმა ამ წელიწადს გაცხადდება. თუმცა დანამდვილებით არაფერია ცნობილი.

**- თქვენ ვეტერანთა ტურის აქტიური მონაწილე ხართ. წელს რომელი ახალი მოთამაშე აპირებს შეუერთდეს Outback Champions Tour-ს?**

- გასულ წელს, ამ ტურში დებიუტი ჰქონდათ პიტ სამპრასსა და მარკ ფილიპუსისს. ახლა მაიკლ ჩანგის იმედი გვაქვს. ის ჩვენთან 2006 წელს თამაშობდა, მაგრამ შემდეგ ტრავმის გამო შეწყვიტა ვეტერანის კარიერა. ახლა მოუთმენლად ველით მის დაბრუნებას. ასევე ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს სხვა ჩოგბურთელებთან, მაგრამ მათ გვარებს ახლა არ დავასახელებ.



ჯიმ კურიე ნოვაკ ჯოკოვიჩისგან ინტერვიუს იღებს

## დევისის თასი

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| **რუსეთი-სერბეთი** | **3:2** |
| 1:0 მიხაილ იუჟნი-ნენად ზიმონჯიჩი | 2:6, 6:3, 6:2, 6:4 |
| 2:0 ნიკოლაი დავიდენკო-ვიქტორ ტროიცკი | 6:1, 1:6, 6:3, 1:6, 6:2 |
| 2:1 იუჟნი/ტურსუნოვი-ჯოკოვიჩი/ზიმონჯიჩი | 3:6, 6:7, 6:7 |
| 3:1 ნიკოლაი დავიდენკო-ნოვაკ ჯოკოვიჩი | 4:6, 3:6, 6:4 ჯოკოვიჩის უარი |
| 3:2 დმიტრი ტურსუნოვი-ვიქტორ ტროიცკი | 6:7, 6:4, 3:6 |
| **ჩეხეთი-ბელგია** | **3:2** |
| 1:0 ტომაშ ბერდიხი-კრისტოფ ვლიგენი | 6:3, 6:1, 6:1 |
| 2:0 რადეკ შტეპანეკი-სტივ დარსისი | 6:4, 7:6, 7:6 |
| 3:0 ბერდიხი/შტეპანეკი-ბემელმანსი/როხუსი | 6:7, 7:6, 7:5, 5:7, 6:4 |
| 3:1 ლუკაშ დლუჰი-სტივ დარსისი | 6:7, 4:6 |
| 3:2 პაველ ვიზნერი-რუბენ ბემელმანსი | 7:6, 5:7, 2:2 ვიზნერის უარი |
| **არგენტინა-ბრიტანეთი** | **4:1** |
| 1:0 დავიდ ნალბანდიანი-ჯეიმი ბეიკერი | 6:1, 6:3, 6:3 |
| 2:0 აგუსტინ კალერი-ალექს ბოგდანოვიჩი | 6:3, 6:1, 6:1 |
| 3:0 აკასუსო/ნალბანდიანი-ჰატჩინსი/ჯ. მარეი | 6:2, 7:6, 6:0 |
| 4:0 ხოსე აკასუსო-ალექს ბოგდანოვიჩი | 7:5, 7:5 |
| 4:1 აგუსტინ კალერი-ჯეიმი ბეიკერი | 6:7, 4:6 |
| **ისრაელი-შვედეთი** | **2:3** |
| 1:0 დუდი სელა-იონას ბიორკმანი | 7:6, 6:3, 6:1 |
| 1:1 ჰარელ ლევი-ტომას იოჰანსონი | 1:6, 1:6, 3:6 |
| 2:1 ერლიხი/რამი-ასპელინი/ლინდსტედტი | 6:3, 7:6, 7:5 |
| 2:2 დუდი სელა-ტომას იოჰანსონი | 6:7, 1:6, 5:7 |
| 2:3 ჰარელ ლევი-იონას ბიორკმანი | 6:0, 4:6, 3:6, 6:7 |
| **გერმანია-კორეა** | **3:2** |
| 1:0 ფილიპ კოლშრაიბერი-ჭაე სონგ ანი | 6:2, 6:2, 6:2 |
| 1:1 ფლორიან მაიერი-ჰიუნ ტაიკ ლი | 5:7, 3:6, 6:1, 7:6, 3:6 |
| 2:1 კოლშრაიბერი/პეტცშნერი-იუნი/ანი | 6:1, 6:3, 6:3 |
| 3:1 ფილიპ კოლშრაიბერი-ჰიუნ ტაიკ ლი | 6:0, 4:6, 6:1, 7:6 |
| 3:2 ფლორიან მაიერი-ჭაე სონგ ანი | 1:6, 6:3, 4:6 |
| **რუმინეთი-საფრანგეთი** | **0:5** |
| 0:1 ვიქტორ ჰანესკუ-რიშარ გასკე | 6:7, 4:6, 5:7 |
| 0:2 ანდრეი პაველი-ჟო ვილფრიდ ცონგა | 7:6, 4:6, 4:6, 4:6 |
| 0:3 მერგეა/ტეკაუ-კლემანი/ლოდრა | 3:6, 4:6, 7:6, 6:3, 2:6 |
| 0:4 ანდრეი პაველი-მიხაელ ლოდრა | 6:7, 6:7 |
| 0:5 ჰორია ტეკაუ-არნო კლემანი | 6:7, 6:2, 4:6 |
| **ავსტრია-აშშ** | **1:4** |
| 0:1 იურგენ მელცერი-ენდი როდიკი | 4:6, 6:4, 3:6, 7:6, 3:6 |
| 0:2 სტეფან კუბეკი-ჯეიმს ბლეიკი | 7:5, 5:7, 2:6, 2:6 |
| 0:3 ნოული/მელცერი-ბ. ბრაიანი/მ. ბრაიანი | 1:6, 4:6, 2:6 |
| 1:3 სტეფან კუბეკი-მაიკ ბრაიანი | 7:5, 1:0 ბრაიანის უარი |
| 1:4 ვერნერ ეშაუერი-ბობ ბრაიანი | 0:6, 6:3, 6:7 |
| **პერუ-ესპანეთი** | **0:3** |
| 0:1 მატიას სილვა-ნიკოლას ალმაგრო | 3:6, 5:7, 0:6 |
| 0:2 ივან მირანდა-ტომი რობრედო | 2:6, 3:6, 3:6 |
| 0:3 ორნა/მირანდა-ლოპესი/ვერდასკო | 3:6, 4:6, 6:7 |
| ლუის ორნა-ტომი რობრედო | გვიან დასრულდა |
| ივან მირანდა-ნიკოლას ალმაგრო | გვიან დასრულდა |

**1/4 ფინალში ხვდებიან**

რუსეთი-ჩეხეთი ; არგენტინა-შვედეთი; გერმანია-ესპანეთი; საფრანგეთი-აშშ.

## ბიატლონი

### მსოფლიო ჩემპიონატი

ოსტერსუნდი (შვედეთი)

**ქალები. სპრინტი, 7.5 კმ**

1. ანდრეა ჰენკელი (გერ) - 19:43.1 (0+0); 2. ალბინა ახატოვა (რუს) - +12.7 (0+0); 3. ოქსანა ხვოსტენკო (უკრ) - +23.2 (0+0); 4. ტორა ბერგერი (ნორ) - +30.1 (1+0); 5. სანდრინ ბეი (საფ) - +31.7 (0+1); 6. სვეტლანა სლეპცოვა (რუს) - +35.6 (0+1).

**მამაკაცები. სპრინტი, 10 კმ**

1. მაქსიმ ჩუდოვი (რუს) - 22:25.4 (0+0); 2. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორ) - +19.8 (0+0); 3. ოლე-ეინარ ბიორნდალენი (ნორ) - +30.0 (0+2); 4. ივან ჩერეზოვი (რუს) - +35.8 (0+1); 5. მიხაელ რიოში (გერ) - +43.5 (0+1); 6. მიხალ შლეზინგერი (ჩეხ) - +55.7 (0+0).

**ქალები. გამოდევნებით, 10 კმ**

1. ანდრეა ჰენკელი (გერ) - 28:56.00 (0+0+0+0); 2. ეკატერინა იურევა (რუს) - +20.5 (0+0+0+0); 3. ალბინა ახატოვა (რუს) - +38.5 (0+0+0+0); 4. ტორა ბერგერი (ნორ) - +55.7 (0+0+1+0); 5. სანდრინ ბეი (საფ) - +55.9 (1+1+0+0); 6. მაგდალენა ნოინერი (გერ) - +1:44.1 (1+1+0+2).

**მამაკაცები. გამოდევნებით, 12.5 კმ**

1. ოლე-ეინარ ბიორნდალენი (ნორ) - 31:04.51 (0+1+1+0); 2. მაქსიმ ჩუდოვი (რუს) - +10.1 (2+0+2+0); 3. ალექსანდრ ვოლფი (გერ) - +42.8 (0+0+1+0); 4. დმიტრი იაროშენკო (რუს) - +50.0 (1+1+0+0); 5. მიხალ შლეზინგერი (ჩეხ) - +52.5 (0+0+0+0); 6. სიმონ ფურკადი (საფ) - +52.6 (0+0+1+0).

## ჰოკეი

# NHL. რეგულარული ჩემპიონატი

### 8 თებერვალი

**ნიუ ჯერსი-ანაჰაიმი 1:2**

0:2, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 რ. კარტერი-1 (ბოშემენი-18აიერი-10), 0:2 რ. კარტერი-2 (პერი-20, კუნიტცი-18), 1:2 პანდოლფო-9 (ვიშნევსკი-3, კლარკსონი-10).

**ვაშინგტონი-კაროლინა 1:2**

0:2, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ე. კოული-12 (სტილმანი-25, ფ. კაბერლე-11), 0:2 ლედი-6 (სამსონოვი-10, ბრინდამორი-30), 1:2 სიომინი-14.

**ბაფალო-ბოსტონი 2:3 (ბ)**

1:0, 1:0, 0:2, 0:0

**გოლები:** 1:0 შპაჩეკი-9 (ბ. კემპბელი-32, პომინვილი-33), 2:0 ვანეკი-16 (დ. რუა-24, სტეფორდი-15), 2:1 ხარა-8 (აქსელსონი-10, კრეისი-10), 2:2 შტურმი-18 (სავარი-47).
**ბულიტები გაიტანეს:** კესელი (ბოსტონი).

**სან ხოსე-კოლამბუსი 2:1 (ო)**

1:0, 0:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 გოკი-3 (რიონიკი-11, მელეი-1), 1:1 ჩიმერა-11 (ვეკა-19, კლესლა-10), 2:1 ჯ. ტორნტონი-16 (ოზოლინში-13).

### 9 თებერვალი

**ფილადელფია-რეინჯერსი 0:2**

0:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 დეივსი-8 (ჟირარდი-14, გომესი-41), 0:2 გომესი-13 (ტიუტინი-10, დეივსი-8).

**პიტსბურგი-ლოს ანჯელესი 4:2**

1:0, 3:0, 0:2

**გოლები:** 1:0 მალკინი-29 (მელოუნი-12, ლეტანგი-8), 2:0 მელოუნი-17 (მალკინი-39, სიკორა-20), 3:0 მალკინი-30 (რაიან უიტნი-17, გონჩარი-38), 4:0 ჯ. სტაალი-8 (კრისტენსენი-11, ტეფი-2), 4:1 დ. არმსტრონგი-7 (კამალერი-15, ფროლოვი-31), 4:2 ბ. ბოილი-3 (ფროლოვი-32, კამალერი-16).

**ტორონტო-დეტროიტი 3:2 (ო)**

1:0, 0:1, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ტაკერი-9 (მაკეიბი-9, ტ. კაბერლე-26), 1:1 ლიდსტრომი-7 (დაციუკი-48, ზეტერბერგი-36), 1:2 სამუელსონი-9 (ლიდსტრომი-47, ფრანცენი-5), 2:2 სუნდინი-23 (კუბინა-21), 3:2 ანტროპოვი-19 (სტრალმანი-4, ტ. კაბერლე-27).

**მინესოტა-აილენდერსი 4:3 (ო)**

1:0, 1:1, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ფოსტერი-5 (ვეილო-5, სკოულა-7), 1:1 გერინი-19 (კომრი-24), 2:1 როლსტონი-21 (მეპარდი-13, ფოსტერი-8), 2:2 პილბერტი-6 (გერინი-12, კომრი-25), 2:3 ბერგენჰაიმი-5 (სატონი-7, შატანი-19), 3:3 როლსტონი-22 (მ. კოივუ-16, ბუშარი-36), 4:3 ბერნსი-10 (გაბორიკი-28, შულტცი-9).

**კალგარი-ედმონტონი 4:1**

1:0, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ნოლანი-13 (ფანოფი-27, (ჰუსელიუსი-29), 2:0 ფანოფი-10 (ტანგვე-33, ა. ოკუანი-19), 3:0 ნოლანი-14 (ჰუსელიუსი-30), 3:1 რ. ნილსონი-7 (სემ განიე-21), 4:1 იგინლა-34 (ტანგვე-34, ა. ერიქსონი-14).

**ბოსტონი-ფლორიდა 3:6**

1:1, 2:3, 0:2

**გოლები:** 1:0 ხარა-9 (გ. მიურეი-10, შტურმი-18), 1:1 ზედნიკი-14 (ო. იოკინენი-29, მეზეი-2), 2:1 გ. მიურეი-11 (აქსელსონი-11, კრეისი-11), 2:2 ზედნიკი-15 (მაკლინი-11, ბ. ალენი-9), 3:2 შტურმი-19 (კესელი-14, სავარი-48), 3:3 ო. იოკინენი-28 (ვოკოუნი-1), 3:4 ბუტი-16 (სალეი-18, მეზეი-3), 3:5 ჰორტონი-16 (უეისი-22, ბოუმისტერი-13), 3:6 პელტონენი-5 (გ. კემპბელი-7, ბოუმისტერი-14).

**ოტავა-მონრეალი 6:1**

3:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 სპეცა-21 (ვოლჩენკოვი-10), 2:0 სპეცა-22 (ჰიტლი-33, ალფრედსონი-37), 3:0 ალფრედსონი-33 (კორვო-21, სპეცა-46), 4:0 ჰიტლი-28 (სპეცა-47, ალფრედსონი-38), 5:0 სპეცა-23 (ჰიტლი-34, ალფრედსონი-39), 5:1 ა. კოსტიცინი-17 (ს. კოსტიცინი-9, პრაისი-1), 6:1 ალფრედსონი-34 (ჰიტლი-35, სპეცა-48).

**ნიუ ჯერსი-კაროლინა 6:1**

4:1, 2:0, 0:0

**გოლები:** 1:0 კ. უაიტი-2 (კლარკსონი-11, პანდოლფო-7), 2:0 პ. მარტინი-4 (ელიაში-20, ლანგენბრუნერი-21), 2:1 კ. ოკუპო-3 (ს. უოკერი-10, ლედი-5), 3:1 ოდუია-3, 4:1 ზუბრუსი-9 (ჯონსტა-23, ე. გრინი-7), 5:1 პ. მარტინი-5 (ელიაში-21, ლანგენბრუნერი-22), 6:1 პანდოლფო-10 (მადენი-18, კლარკსონი-12).

**ატლანტა-ტამპა ბეი 2:1 (ო)**

0:0, 0:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ლეკავალიე-32 (ბ. რიჩარდსი-31), 1:1 მარიან ჰოსა-24 (ვიაჩ. კოზლოვი-16, ენსტრიომი-30), 2:1 ერტნიკი-2.

**დალასი-სენტ ლუისი 6:2**

1:0, 3:2, 2:0

**გოლები:** 1:0 მოროუ-24 (რიბეირო-40, მოდანო-23), 2:0 ი. იოკინენი-13 (პაგმანი-12, ლ. ერიქსონი-12), 3:0 რიბეირო-23 (რობიდასი-10, მოდანო-24), 3:1 მაკლემანი-6 (მეიერსი-11, სტემპნიაკი-20), 4:1 მიეტინენი-11 (ნისკანენი-15), 4:2 მეიერსი-9, 5:2 ი. ლეჰტინენი-8 (დელეი-12, ნისკანენი-16), 6:2 მიეტინენი-12 (რიბეირო-41, გროსმანი-5).

**ვანკუვერი-კოლორადო 2:6**

0:3, 1:2, 1:1

**გოლები:** 0:1 არნასონი-7 (სვატოსი-6, ვოლსკი-21), 0:2 ჰეიდუკი-19 (ჰლინკა-17, ბრუნეტი-25), 0:3 სვატოსი-23 (არნასონი-18, ვოლსკი-22), 1:3 ჰ. სედინი-12 (სალო-9, დ. სედინი-31), 1:4 ბ. კლარკი-5 (ლაილსი-20, ჰენსიკი-4), 1:5 სვატოსი-24 (არნასონი-19, ვოლსკი-22), 2:5 სალო-2 (რეიმონდი-10, დ. სედინი-32), 2:6 ჰეიდუკი-20 (ჰლინკა-18, ბრუნეტი-26).

**სან ხოსე-ნეშვილი 4:3**

1:1, 1:1, 2:1

**გოლები:** 1:0 ჩიჩუ-12 (ჯ. ტორნტონი-48, მ. მიხალეკი-17), 1:1 ფიდლერი-8 (გელინასი-11, ზენონი-4); 1:2 ფიდლერი-9 (ბონკი-11, ჰამჰუისი-19), 2:2 ჩიჩუ-13 (ვლასიჩი-6, ჯ. ტორნტონი-49), 3:2 მ. მიხალეკი-18 (ჩიჩუ-8, ვლასიჩი-7), 3:3 ნიკოლი-7 (ფიდლერი-13, დე ვრისი-8), 4:3 ჩიჩუ-14 (მ. მიხალეკი-18, ჯ. ტორნტონი-50).

ჰოკეი

## სუნდინი ყველაზე სასურველია

26 თებერვალი ბოლო დღეა, როცა ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბებს ტრეიდების განხორციელების საშუალება ექნებათ. კანადური სააგენტოს TSN-ის ცნობით, ამ ეტაპზე ყველაზე დიდი მოთხოვნა "ტორონტო მეიპლ ლივზის" კაპიტან **მატს სუნდინზეა**, რომელმაც ამ კლუბში 13 სეზონი გაატარა. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ "ტორონტოში" 36 წლის შვედის დღეები დათვლილია. სუნდინს ერთადერთი შანსი აქვს, იბრძოლოს სტენლის თასისთვის - უარი თქვას კონტრაქტის იმ პუნქტზე, რომელიც გაცვლას კრძალავს.

საინტერესოა, რომ "ტორონტო" უკვე ზრუნავს სუნდინის შემცვლელზე. "მეიპლ ლივზი" 19 წლის შვედი ფორვარდით, **ფაბიან ბრუნსტრიომით** დაინტერესდა. ეს ჰოკეისტი შვედეთის მეორე ლიგაში თამაშობს და NHL-ის მომავალ ვარსკვლავად ითვლება.

გარდა სუნდინისა, ტრეიდების სავარაუდო კანდიდატებს შორის, ყველაზე ხშირად "სან ხოსეს" კაპიტან **პატრიკ მარლოს**, "ტამპას" მცველს **დენ ბოილსა** და "ატლანტას" ფორვარდს **მარიან ჰოსას** ასახელებენ.

## ფინიქსმა ხულიგანი დაიმატა

"ფინიქს კოიოტზმა" ამერიკის ჰოკეის ლიგიდან (AHL) გამოიძახა **პიტ ვანდერმეერი**. **უეინ გრეტცკის** გუნდმა უკვე გააფორმა კონტრაქტი ამ ფორვარდთან.

ხელშეკრულების დეტალები არ ხმაურდება. 32 წლის ვანდერმეერი, ექვსი ძმა ჰოკეისტიდან ერთ-ერთია. AHL-ში, სადაც ამ თავდამსხმელს თავისი კარიერის ძირითადი ნაწილი აქვს გატარებული, პიტს ერთ-ერთ ყველაზე უხეშ ჰოკეისტად იცნობენ. წელს, "სან ანტონიოს" რიგებში ჩატარებულ 21 მატჩში, ფორვარდს 210 საჯარიმო წუთი დაუგროვდა. AHL-ის ყველაზე უხეშ ჰოკეისტთა საერთო რეიტინგში, ვანდერმეერი 2374 საჯარიმო წუთით მეხუთე ადგილს იკავებს.

## კოლამბუსს ფუტის გაცვლა არ უნდა

"კოლამბუს ბლუ ჯეკეტსის" ხელმძღვანელობა კლუბის წამყვან მცველს, **ადამ ფუტს** შეხვდება, რათა მასთან ერთად გაარკვიოს ჰოკეისტის მომავალი.

*"თუ პლეიოფის საგზურისთვის ვიბრძოლებთ, ამ შემთხვევაში ადამ ფუტს სხვა გუნდში არ გავუშვებთ,* - განაცხადა "კოლამბუსის" გენერალურმა მენეჯერმა **სკოტ ჰაუსონმა**, - *მაგრამ მე კლუბის კეთილდღეობაზეც უნდა ვიმუშაო".*

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მომდევნო ორი კვირის განმავლობაში "კოლამბუსი" სატურნირო მდგომარეობას არ გამოასწორებს, ვეტერან მცველს სხვა გუნდს გაუცვლიან. ფუტს ამ სეზონის შემდეგ უმთავრდება კონტრაქტის ვადა.

## სურეი ისევ ტრავმირებულია

ამ სეზონში არ უმართლებს "ედმონტონ ოილერზის" წამყვან მცველს **შელდონ სურეის**. 31 წლის ჰოკეისტმა მხარის ოპერაცია გაიკეთა და მინიმუმ, ოთხი კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

სურეის ეს ტრავმა მთელი რეგულარულია ტანჯავს. ამის გამო, მან უკვე 25 მატჩი გამოტოვა. შემდეგ თამაში განაახლა, მაგრამ "ყველა ვარსკვლავის მატჩის" წინ, მხარი ისევ ასტკივდა და ახლა, ოპერაციის გადატანა მოუხდა.

სურეი "ედმონტონში" ამ სეზონის წინ გადავიდა და წელს, მხოლოდ 26 მატჩი ჩაატარა. მის ანგარიშზეა 10 ქულა (3 გოლი+7 შედეგიანი პასი). შარშან, შელდონი "მონრეალში" თამაშობდა და მცველებისთვის სარეკორდო, 19 შაიბა გაიტანა რიცხობრივი უპირატესობის დროს.

## ბაფალო კემპბელის შენარჩუნებას ცდილობს

"ბაფალო სეიბრზი" არ აპირებს თავისი წამყვანი მცველის, **ბრაიან კემპბელის** სხვა გუნდში გაშვებას. კლუბის ხელმძღვანელობა კაპიტნის ახალ კონტრაქტზე მუშაობს. არადა, ამერიკულ პრესაში სულ უფრო ხშირად ჩნდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ კემპბელით NHL-ის რამდენიმე გუნდია დაინტერესებული.

*"მართალია, ამჟამად მოლაპარაკებები ჩიხშია შესული, მაგრამ ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ იმისთვის, რომ კემპბელი "ბაფალოში" დავტოვოთ. მის აგენტთან, ლარი კელისთან მუდმივი კავშირი გვაქვს. იმედია, ბრაიანი "ბაფალოში" დარჩება",* - ამბობს "ბაფალოს" გენერალური მენეჯერი **დარსი რეგირი**.

## კრონვალი კიდევ ორი კვირას გამოტოვებს

"დეტროიტ რედ უინგზს" კიდევ ორი კვირა ვერ დაეხმარება შვედი მცველი **ნიკლას კრონვალი**. ჰოკეისტმა მხარის ტრავმა თებერვლის დასაწყისში მიიღო და ექიმების თავდაპირველი პროგნოზით, კრონვალი დაახლოებით 10 დღე ვერ შეძლებდა ყინულზე გასვლას.

მაგრამ უფრო დაწვრილებითმა სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ ტრავმა გაცილებით სერიოზული ყოფილა და შვედმა რეგულარულში დაბრუნება კიდევ კარგა ხნით უნდა გადადოს.

## მინესოტამ ფორსბერგი დაპატიჟა

შარშან, სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს (26 თებერვალი), "ნეშვილმა" "ფილადელფიადან" ცნობილი შვედი ფორვარდის, **პეტერ ფორსბერგის** გადაბირება შეძლო. ამ ტრანსფერის მთავარი სულისჩამდგმელი გახლდათ "ნეშვილის" მაშინდელი მფლობელი **კრეიგ ლეოპოლდი**, რომელმაც ცოტა ხნის წინათ, "მინესოტას" აქციათა დიდი ნაწილი შეიძინა.

ახლა, "უაილდის" ახალი მფლობელი შარშანდელი სვლის გამეორებას აპირებს და განზრახული აქვს, "მინესოტას" შემადგენლობაში ჩარიცხოს ფორსბერგი.

ფორმულა 1

## მალაიზიაშიც ღამის რბოლა იქნება?

გამორიცხული არ არის, რომ უახლოეს მომავალში მალაიზიის გრან-პრი ღამის საათებში გაიმართოს. მიუხედავად დამატებითი ხარჯებისა, ადგილობრივი სპორტული ჩინოვნიკები ამ იდეას პერსპექტიულს უწოდებენ.

*"ჩვენ ამასთან დაკავშირებით, ბერნი ექლსტოუნთან მოლაპარაკებები ჯერ კიდევ 2006 წლის სექტემბერში დავიწყეთ. საქმე ეხებოდა სეპანგის ავტოდრომზე მძლავრი განათების დაყენებას. მაგრამ ბერნი ამ საკითხზე სინგაპურელებთან და ავსტრალიელებთან საუბრობდა. მას სურს, რომ ოკეანისგალმა ეტაპები ევროპას დღის საათებში აჩვენოს.*

*ბერნის ჩვენთვის ულტიმატუმი არ წამოუყენებია - ან ღამის რბოლა ან გრან-პრის კალენდრიდან ამოღება. ფორმულა 1-თან 2010 წლამდე გვაქვს კონტრაქტი და ხელშეკრულების კიდევ 5 წლით გახანგრძლივებას ვაპირებთ",* - ამბობს სეპანგის ავტოდრომის დირექტორი **დატო მოკზანი მაჰატირი**.

კალათბურთი

## სიენას ამერიკელი მცველი დაემატა

სიენას "მონტეპასკიმ" იტალიის "კაპო დ'ორლანდოდან" ამერიკელი მცველი **დრეიკ დინერი** გადაიბირა. ადრე იტყობინებოდნენ, რომ ამ მოთამაშით აგრეთვე "მილანი" და "ვირტუსი" იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ საბოლოოდ, დინერისთვის ბრძოლა იტალიის მოქმედმა ჩემპიონმა მოიგო.

"მონტეპასკისთვის" ეს ტრანსფერი მნიშვნელოვანი იყო, რადგან გუნდის წამყვანმა მოთამაშეებმა, **კშიშტოფ ლავრინოვიჩმა** და **რომეინ სატომ** იტალიის თასის გათამაშებაში ტრავმები მიიღეს.

იტალიის წლევანდელ ჩემპიონატში დინერი საშუალოდ 18.2 ქულას, 4.3 მოხსნასა და 2.4 შედეგიან გადაცემას აგროვებს.

## უნიკახაში ცვლილებებია

ევროლიგის მონაწილე ესპანეთის "უნიკახას" ერთ-ერთი წამყვანი ნევრი გამოაკლდა. მარჯვენა ფეხის ტრავმა მიიღო მცველმა **კარლოს კაბესასმა** და როგორც ექიმები ვარაუდობენ, ის დაახლოებით ერთი თვე ვერ შეძლებს თამაშს.

ესპანურმა კლუბმა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ კვირას ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი იწყება, სასწრაფოდ მოუნახა შემცვლელი ესპანეთის ნაკრების მცველს. "უნიკახამ" სეზონის ბოლომდე გაუფორმა კონტრაქტი საბერძნეთის "არისის" მცველს **ტერელ კასლს**. ეს უკანასკნელი წლევანდელ ევროლიგაში საშუალოდ 7.2 ქულას აგროვებს.

## TV სპორტი

### 11 თებერვალი. ორშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ინდეპენდიენტე.
15:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნიცა-მარსელი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ლივერპული.
19:05 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:35 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვერდერი.
21:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:50 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:50 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:55 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბლექბერნი (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ნიუკასლი.
09:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ოსასუნა.
11:42 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
12:13 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ვალენსია. ესპანეთი.
14:32 სპორტკლუბი.
14:51 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
15:21 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუს შტატი. ნოროესტე-ბრაგანტინო.
17:06 ფეხბურთი. Barca TV.
17:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი.
19:48 სპორტული ისტორია.
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ლივერპული.
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალიადოლიდი.
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ატლეტიკო.
01:56 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუს შტატი. სან პაულუ-სანტოსი.
03:42 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ვალენსია. ესპანეთი.
05:59 ბიოლა. ჩემპიონთა თამაშები.
06:57 ფეხბურთი. Barca TV.
07:04 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
07:31 გოლფი. მიმოხილვა.

#### EUROSPORT

11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
12:00 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
12:30 ციგურებით სრბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ბერლინი. გერმანია.
14:15 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ფინალი. ეგვიპტე-კამერუნი. განა.
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ლიბერეცი. ჩეხეთი.
17:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ოსტერსუნდი. შვედეთი.
17:30 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. ოსტერსუნდი. შვედეთი.
18:00 სნუკერი. მალტის თასი. ფინალი.
19:15 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ფინალი. ეგვიპტე-კამერუნი. განა.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 მულტისპორტი.
22:00 სნუკერი. მალტის თასი. ფინალი.
00:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
02:45 მულტისპორტი.
03:00 სნუკერი. მალტის თასი. ფინალი.
04:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. I ტური. ფლენსბურგი (გერმანია)-ჰამბურგი (გერმანია).
14:00 ჰოკეი. შკოდას თასი. შვეიცარია-საფრანგეთი. ლოზანა. შვეიცარია.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ფინალი. ეგვიპტე-კამერუნი. განა.
18:00 ჰოკეი. შკოდას თასი. შვეიცარია-საფრანგეთი. ლოზანა. შვეიცარია.
19:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-არისი.
20:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. როჩესტერი-ტორონტო.
21:00 ახალი ამბები.
21:30 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
22:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. შვეიცარია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. I ტური. ფლენსბურგი (გერმანია)-ჰამბურგი (გერმანია).
00:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-არისი.
01:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. როჩესტერი-ტორონტო.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ჰოკეი. შკოდას თასი. შვეიცარია-საფრანგეთი. ლოზანა. შვეიცარია.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| არგენტინა | |
|---|---|
| სან ლორენსო-ნიუელსი | 0:2 |
| ესტუდიანტესი-ბანფილდი | 2:1 |
| სან მარტინი-არგ. ხუნიორსი | 2:0 |
| ტიგრე-ხიმნასია (ლ-პ) | 2:1 |
| ველესი-კოლონი | 4:3 |
| რასინგი-ოლიმპო | 1:1 |
| ლანუსი-ინდეპენდიენტე | 1:0 |
| როსარიო-ბოკა | 1:1 |
| რივერი-ხიმნასია (ხ) | გვ. დასრულდა |
| არსენალი-ურაკანი | გვ. დასრულდა |

| ჩილე | |
|---|---|
| უნ. კატოლიკა-უნ. ესპანიოლა | 1:2 |
| რეინჯერსი-ანტოფაგასტა | 1:0 |
| პალესტინო-კოლო კოლო | 1:0 |
| მელიპილა-ლა სერენა | 2:3 |
| უნ. კონსეპსიონი-ევერტონი | 1:3 |
| უნ. ჩილე-კობრესალი | 1:0 |
| კობრელოა-ო'ჰიგინსი | 1:2 |
| აბ. ნუბლენსე-ოსორნო | 2:0 |
| ს. მორნინგი-უაჩიპატო | 2:2 |
| აუდაქსი-დ. კონსეპსიონი | გვ. დასრულდა |

| მექსიკა | |
|---|---|
| ტეკოსი-ამერიკა | 1:2 |
| ხაგუარესი-პუებლა | 0:1 |
| სან ლუისი-ტოლუკა | 2:0 |
| ტიგრესი-ვერაკრუსი | 0:3 |
| ატლანტე-მორელია | 2:0 |
| ატლასი-გვადალახარა | 0:2 |
| პუმასი-მონტერეი | 2:1 |
| ნეკაქსა-კრუს აზული | გვ. დასრულდა |
| ს. ლაგუნა-პაჩუკა | გვ. დასრულდა |

### კალათბურთი

| NBA | |
|---|---|
| ბოსტონი-სან ანტონიო | 98:90 |
| მაიამი-ლეიკერსი | 94:104 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| აელ-აეკ | 68:76 |
| კოლოსოსი-აელ | 76:69 |
| პანათინაიკოსი-პაოკ | 103:73 |
| ოლიმპია-პანელინიოსი | 58:74 |
| მარუსი-რეტიმნო | 79:78 |
| ეგალეო-პანიონიოსი | 101:99 (ო) |
| ოლიმპიაკოსი-არისი | 81:61 |

| ესპანეთის თასი | |
|---|---|
| **1/2 ფინალი** | |
| ტაუგრესი-ბილბაო | 68:66 |
| რეალი-ხუვენტუდი | 76:81 |
| **ფინალი** | |
| ტაუგრესი-ხუვენტუდი | 80:82 |

| იტალიის თასი | |
|---|---|
| **1/2 ფინალი** | |
| სკავოლინი-კლიმამიო | 80:88 |
| ბიელა-აველინო | 63:77 |
| **ფინალი** | |
| კლიმამიო-აველინო | 67:75 |

| საფრანგეთის თასი | |
|---|---|
| **1/2 ფინალი** | |
| ვიში-ტულონი | 72:71 |
| შოლე-ვილერბანი | 75:63 |
| **ფინალი** | |
| ვიში-შოლე | 40:67 |

### ჰოკეი

| NHL | |
|---|---|
| ვაშინგტონი-რეინჯერსი | 2:2 |
| პიტსბურგი-ფილადელფია | 4:3 |
| დეტროიტი-ანაჰაიმი | 2:3 |

| ევროტური | |
|---|---|
| ფინეთი-რუსეთი | 0:5 |
| შვედეთი-ჩეხეთი | 4:2 |
| ჩეხეთი-რუსეთი | 4:2 |
| შვედეთი-ფინეთი | 1:2 |

### ჩოგბურთი

| WTA. პარიზი | |
|---|---|
| შავაი-დემენტიევა | 6:3, 1:6, 7:5 |
| ჩაკვეტაძე-ბარტოლი | 2:6, 6:2, 6:0 |
| ჩაკვეტაძე-შავაი | 6:3, 2:6, 6:2 |

| WTA. პატაია | |
|---|---|
| ა. რადვანსკა-ბიჩკოვა | 6:1, 6:1 |
| კრეიბასი-ამანმურადოვა | 6:4, 6:0 |
| ა. რადვანსკა-კრეიბასი | 6:2, 1:6, 7:6 |

მსოფლიო თასი

# ლინდსი ვონი გალიდერდა

ამერიკელი **ლინდსი ვონის** გამარჯვებით დასრულდა სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასის სერიის დაშვების მორიგი რბოლა, რის შემდეგაც მან აბსოლუტურ კლასიფიკაციაში ლიდერის პოზიცია ავსტრიელ **ნიკოლ ჰოსპს** დაათმობინა.

ვონმა დაშვებაში ამ სეზონში მეოთხე, კარიერაში კი მეცხრე გამარჯვება მოიპოვა, რითაც თავისი სახელოვანი თანამემამულის, **პიკაბო სტრიტის** მიღწევა გაიმეორა. რაც მთავარია, ვონმა ამ ჩქაროსნულ დისციპლინაში, პრაქტიკულად, გაინაღდა ბროლის მცირე გლობუსი, აბსოლუტურში კი ჰოსპს სამი ქულით გაუსწრო.

სესტრიერეს ბანკეტას ფერდობი, რომელზეც კაცმა მოთხილამურეებმა ტურინის ოლიმპიადაზე იასპარეზეს, ვონმა უშეცდომოდ ჩაისრიალა და უახლოეს მდევარს, კანადელ **კელი ვანდერბეეკს** 0.62 წამით აჯობა. მესამეზე იტალიელი **ნადია ფანკინი** გავიდა, ვინც ერთხანს სპორტიდან წასული იყო, რადგან ექიმებმა გულის პათოლოგია დაუდგინეს. თუმცა მკურნალობის შემდგომმა ტესტებმა აჩვენა, რომ ფანკინის სპორტში დაბრუნება შეეძლო. ჰოდა, რაც დაბრუნდა, მას შემდეგ პირველად კვარცხლბეკზე სესტრიერეში ავიდა.

კვარცხბეკამდე ცოტა დააკლდა ჩქაროსნული დისციპლინების ორ სპეციალისტს - ავსტრიელ **რენატე გიოჩლსა** და შვეიცარიელ **ნადია შტიგერს**, რომლებმაც იდენტური შედეგებით, მეოთხე ადგილი გაიყვეს.

ბანკეტას ფერდობზე ქალებმა ბოლოს ოთხი წლის წინათ იასპარეზეს და მაშინ ვონს მოგების რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ დაეცა და ფინიშს ვერ მიაღწია. სამაგიეროდ, ამჯერად მისი გამოსვლა უშეცდომო იყო - სტარტიდან ფინიშამდე საუკეთესო გრაფიკი ჰქონდა.

*"ამინდთან დაკავშირებით ბოლო ხანს გარკვეულ პრობლემებს ვაწყდებოდი, მაგრამ ამჯერად ყველაფერი რიგზე იყო. თანაც ვიცოდი, რომ თუ სუბიექტური გარემოება ხელს არ შემიშლიდა, რბოლას აუცილებლად მოვიგებდი. ამჯერად შესანიშნავ ამინდში მოგვიწია გამოსვლამ, თუმცა მაინც ვინერვიულე, რადგან ასეთ დროს ხანდახან თავს მოდუნების საშუალებას ვაძლევ ხოლმე, ეს კი ჩქაროსნულ რბოლაში ძალიან სახიფათოა"*, - განაცხადა ვონმა, ვინც ამ სეზონში დაშვების ეტაპები კანადის ლეიკ ლუისში, ავსტრიის სენტ ანტონში და იტალიის კორტინა დ'ამპეცოსა და სესტრიერეში მოიგო.

გერმანიის გარმიშ პარტენკირხენში ჩატარებული კაცების სლალომის ეტაპი კი ავსტრიელი **რაინფრიდ ჰერბსტის** გამარჯვებით დასრულდა. ჰერბსტმა ორივე ცდაზე საუკეთესო დრო დააფიქსირა და კარიერაში მეორედ მოიგო მსოფლიო თასის სლალომის რბოლა. მასთან ნახევარ წამზე მეტი წააგო იტალიელმა **მანფრედ მიოლგმა**, მესამეზე კი ხორვატი **ივიცა კოსტელიჩი** გავიდა.

მხოლოდ 25-ე ადგილს დასჯერდა ამ სეზონში სლალომის სამი ეტაპის მომგები ფრანგი **ჟან-ბაპტისტ გრანჟი**, ვინც ამის მიუხედავად, სლალომის კლასიფიკაციაში მაინც შეინარჩუნა ლიდერობა. ხელი მოეცარა გრანჟის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტს, ავსტრიელ **მარიო მატს**, რომელმაც ფინიშს ვერც კი მიაღწია და სლალომის კლასიფიკაციაში მეოთხე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

*"სიტყვებით შეუძლებელია იმ განცდის გადმოცემა, რაც მე დამეუფლა. ჩემი კარიერის განმავლობაში იშვიათად მეძლეოდა თავის გამოჩენის საშუალება, რაც ხშირი ტრავმებისა და ექვსი ოპერაციის შედეგია. ახლა კი, როგორც იქნა, ყველა პრობლემა უკან დავტოვე და ბედნიერი ვარ, რომ გამარჯვებასაც მივაღწიე"*, - განაცხადა 29 წლის ჰერბსტმა, ვისაც ტურინის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი აქვს მოპოვებული (სლალომი), ამავე დისციპლინაში მსოფლიო თასზე პირველი გამარჯვება კი ორი წლის წინათ მოიპოვა.

რბოლა უქულოდ, პირველივე ცდის შემდეგ დაასრულა აბსოლუტური კლასიფიკაციის ლიდერმა, ამერიკელმა **ბოდე მილერმა**, თუმცა ამით მაინც ვერ ისარგებლა მისმა მთავარმა კონკურენტმა, ავსტრიელმა **ბენი რაიხმა**, ვინც ორი ცდის ჯამში მე-11 ადგილს დასჯერდა. გარმიშის სლალომის შემდეგ, მილერი რაიხს აბსოლუტურში 98 ქულას უგებს. აღსანიშნავია, რომ ორივე მოთხილამურეს ბროლის დიდი გლობუსი ერთხელ აქვს მოპოვებული - ამერიკელი თასს 2005 წელს დაეუფლა, მომდევნო სეზონში კი ის მას ავსტრიელმა ჩამოართვა.


ვონი ასპარეზობისას

### სესტრიერე (იტალია)
### ქალები. დაშვება

1. ლინდსი ვონი (აშშ) 1:38.86; 2. კელი ვანდერბეეკი (კანადა) 1:39.48; 3. ნადია ფანკინი (იტალია) 1:39.63; 4-5. ნადია შტიგერი (შვეიცარია) 1:39.71; 4-5. რიენატე გიოჩლი (ავსტრია) 1:39.71; 6. მარია რიში (გერმანია) 1:39.82; 7. ბრიტ იანიკი (კანადა) 1:39.91; 8. ჩელსი მარშალი (აშშ) 1:40.03; 9. დომინიკ ჟისენი (შვეიცარია) 1:40.08; 10. ანია პერსონი (შვედეთი) 1:40.11...

### აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ლინდსი ვონი (აშშ) 968; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 965; 3. მარია რიში (გერმანია) 821; 4. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 787; 5. მარლის შილდი (ავსტრია) 759; 6. ჯულია მანკუზო (აშშ) 718; 7. ანია პერსონი (შვედეთი) 668; 8. დენიზე კარბონი (იტალია) 619; 9. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 604; 10. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 539...

### გარმიშ პარტენკირხენი (გერმანია)
### კაცები. სლალომი

1. რაინფრიდ ჰერბსტი (ავსტრია) 1:42.00 (50.97, 51.03); 2. მანფრედ მიოლგი (იტალია) 1:42.65 (51.42, 51.23); 3. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 1:43.18 (51.75, 51.43); 4. კრისტიან დევილე (იტალია) 1:43.29 (51.77, 51.52); 5. ჟულიან ლიზერუ (საფრანგეთი) 1:43.30 (51.56, 51.74); 6. მიტია დრაგშიჩი (სლოვენია) 1:43.36 (52.00, 51.36); 7. ტედ ლიგეტი (აშშ) 1:43.40 (52.06, 51.34); 8. იოჰან ბროლენიუსი (შვედეთი) 1:43.94 (52.05, 51.89); 9. მიტია ვალენჩიჩი (სლოვენია) 1:44.29 (52.89, 51.40); 10. მატიას ჰარგინი (შვედეთი) 1:44.41 (52.15, 52.26)...

### აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ბოდე მილერი (აშშ) 1067; 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 969; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 882; 4. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 682; 5. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 641; 6. ტედ ლიგეტი (აშშ) 612; 7. მანფრედ მიოლგი (იტალია) 601; 8. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 558; 9. რაინერ შიონფელდერი (ავსტრია) 462; 10. მარიო მატი (ავსტრია) 440...



ახალი ამბები

## მემფისიდან წასვლა მილერსაც მოუნდა

"მემფის გრიზლისს" ნელ-ნელა ხელიდან ეცლება წამყვანი კალათბურთელები. როგორც იცით, გასულ კვირას "ლოს ანჯელეს ლეიკერსში" გადავიდა **პაუ გასოლი**. ახლა კი, ფორვარდმა **მაიკ მილერმა** გამოთქვა "გრიზლისის" დატოვების სურვილი.

*"თუ ტრეიდის შესახებ კარგი წინადადებით მოგვმართავენ, კლუბი ვალდებულია განიხილოს და გაგებით მოეკიდოს მას. ჩვენ უკვე მივაღწიეთ ამასთან დაკავშირებით შეთანხმებას. გუნდის დატოვება ნამდვილად მინდა, მაგრამ ჯერ "მემფისის" მოთამაშე ვარ და ვეცდები, მას მაქსიმალური დახმარება გავუწიო"*, - აცხადებს მილერი.

## ნიქსი ბენ უოლასს უმიზნებს

"ჩიკაგო ბულზი" და "ნიუ იორკ ნიქსი" მომავალი ტრეიდის შესახებ ანარმოებენ მოლაპარაკებას. საქმე ეხება "ხარების" წამყვან მცველს **ბენ უოლასს**, რომელსაც "ნიქსში" უპირებენ გაშვებას.

უოლასის სანაცვლოდ, "ჩიკაგო" "ნიქსიდან" სამი კალათბურთელის მიღებას აპირებს. ესენი არიან: მცველი **ფრედ ჯონსი** და ორი ფორვარდი - **კვენტინ რიჩარდსონი** და **მალიკ როუზი**.

## პოპოვიჩი გასოლის ტრეიდმა აღაშფოთა

"სან ანტონიო სპურსის" მთავარმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა** აღშფოთება ვერ დამალა **პაუ გასოლის** "ლოს ანჯელეს ლეიკერსში" გადასვლის გამო.

*"ის, რაც "მემფისის" ხელმძღვანელობამ გააკეთა, არანაირ ახსნას არ ექვემდებარება. ვფიქრობ, NBA-ში უნდა იყოს სპეციალური კომიტეტი, რომელიც ყველა ტრეიდს განიხილავს და მე იქ სიამოვნებით ვიმუშავებდი. ამგვარი კომიტეტი რომ არსებობდეს, "მემფისსა" და "ლეიკერსს" შორის ტრეიდს ვეტოს დავადებდი"*, - ამბობს პოპოვიჩი.

## კიდის 99-ე სამმაგი

გასულ უიქ ენდზე, "ნიუ ჯერსი ნეტსის" გამთამაშებელმა **ჯეისონ კიდმა** კარიერაში 99-ე სამმაგი დუბლი შეასრულა. "შარლოტ ბობკეტსთან" მატჩში, ვეტერანმა მცველმა 19 ქულა, 11 მოხსნა და 13 შედეგიანი პასი დააგროვა და წელს ლიგას ტრიპლ-დაბლების რაოდენობით (12) ლიდერობს.

აღსანიშნავია, რომ ამ რეგულარულში "ნიუ ჯერსი" და "შარლოტი" მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს და სამივეჯერ, კიდმა სამმაგი დუბლის შესრულება შეძლო.

## გარნეტი ოლ სტარს გამოტოვებს?

"ბოსტონ სელტიქსის" ერთ-ერთი ლიდერი **კევინ გარნეტი** ისევ ვერ ახერხებს რეგულარულ ჩემპიონატში დაბრუნებას. ფორვარდს "სან ანტონიოსთან" მატჩის გამოტოვებაც მოუწია, რომელიც თბილისის დროით, დღეს დილით გაიმართა. ასე რომ, გარნეტი, რომელიც მუცლის კუნთის ტრავმას მკურნალობს, ზედიზედ შვიდი მატჩია ვერ ეხმარება თავის კლუბს.

ექიმები არ გამორიცხავენ, რომ გარნეტმა შესაძლოა "ყველა ვარსკვლავის მატჩიც" გამოტოვოს, რომელიც ამ კვირას, ნიუ ორლეანში გაიმართება. არადა, ფანების გამოკითხვაში "ბოსტონის" ფორვარდმა ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

### 8 თებერვალი

**ორლანდო-ლეიკერსი 113:117**

44:33, 19:31, 24:34, 26:19

**ორლანდო:** ჰოვარდი (19 ქ. 11 მ), ნელსონი (17 ქ. 9 პ), ლუისი (16 ქ), თურქოგლუ (16 ქ), ევანსი (12 ქ), ბოგანსი (11), კუკი (11 ქ).
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (36 ქ. 10 მ), გასოლი (30 ქ. 9 მ), ფიშერი (14 ქ. 7 პ), ოდომი (12), რადმანოვიჩი (10), ვუიაჩიჩი (10).

**ტორონტო-კლიპერსი 98:102**

26:21, 32:29, 19:28, 21:24

**ტორონტო:** ბოში (29 ქ. 12 მ. 4 ჩ), მური (16 ქ), დელფინო (14 ქ), ბარნიანი (14 ქ. 4 ჩ), კალდერონი (11 ქ. 14 პ).
**კლიპერსი:** მაგეტი (35 ქ. 9 მ), მობლი (19 ქ), ტორნტონი (19 ქ. 9 მ), კამანი (16 ქ. 12 მ).

**შარლოტი-ნიუ ჯერსი 90:104**

18:24, 23:22, 25:27, 24:31

**შარლოტი:** უოლასი (21 ქ), რიჩარდსონი (17 ქ), დადლი (15 ქ), ბოიკინსი (13 ქ), ოკაფორი (10 ქ. 17 მ), მოჰამედი (5 ქ. 11 მ).
**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (23 ქ), კიდი (19 ქ. 11 მ. 13 პ), კარტერი (18 ქ), ბუნი (12 ქ. 11 მ), უილიამსი (11 ქ).

**ატლანტა-კლივლენდი 95:100**

26:25, 24:34, 19:21, 26:20

**ატლანტა:** ჯ. ჯონსონი (23 ქ. 8 პ), ი. უილიამსი (21 ქ), სმიტი (15 ქ), ჩილდრესი (12 ქ).
**კლივლენდი:** ჯეიმსი (26 ქ. 11 მ. 7 პ), ნოუბლი (18 ქ), ილგაუსკასი (17 ქ. 11 მ. 4 დ), ჰიუზი (15 ქ), დ. ჯონსი (13 ქ), სნოუ (2 ქ. 5 ჩ).

**ნ. იორკი-ს. ანტონიო 93:99 (ო)**

17:18, 31:14, 14:27, 26:29, 5:11

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (24 ქ. 8 პ), ჯონსი (19 ქ), ლი (14 ქ), რენდოლფი (13 ქ. 10 მ), ბელკმენი (10 ქ).
**სან ანტონიო:** დანკანი (21 ქ. 14 მ), ჯინობილი (20 ქ. 9 პ. 5 ჩ), ფინლი (17 ქ), ორი (13 ქ).

**დეტროიტი-პორტლენდი 91:82**

27:18, 32:17, 22:22, 10:25

**დეტროიტი:** ბილაპსი (17), სტაკი (13 ქ), ჰემილტონი (10 ქ), ჯონსონი (10 ქ).
**პორტლენდი:** ოლდრიჯი (22 ქ), ჯეკი (10 ქ).

**მინესოტა-ბოსტონი 86:88**

18:16, 27:24, 21:22. 20:26

**მინესოტა:** ჯეფერსონი (18 ქ. 9 მ), სმიტი (16 ქ), გომესი (13 ქ), ბრიუერი (11 ქ).
**ბოსტონი:** პირსი (18 ქ), ალენი (17 ქ), პოუ (16 ქ), პოუსი (14 ქ), რონდო (12 ქ), პერკინსი (1 ქ. 4 დ).

**დალასი-მემფისი 92:81**

20:20, 29:18, 29:17, 14:26

**დალასი:** ნოვიცკი (21 ქ), ჯორჯი (13 ქ), ბასი (12 ქ), ტერი (11 ქ), დიოპი (8 ქ. 12 მ).
**მემფისი:** გეი (18 ქ. 12 მ), მილერი (15 ქ), კრიტენტონი (10 ქ).

**ფინიქსი-სიეტლი 103:99**

26:23, 27:26, 25:25, 25:25

**ფინიქსი:** ა. სტაუდემაიერი (33 ქ. 10 მ), ჰილი (16 ქ), ბარბოზა (15 ქ), ბელი (14 ქ), ნეში (13 ქ. 8 პ), სკინერი (4 ქ. 10 მ. 4 დ).
**სიეტლი:** უილკოქსი (22 ქ. 15 მ), შრეჯაპი (13 ქ), კოლისონი (11 ქ. 12 მ), გრინი (10 ქ).

**საკრამენტო-იუტა 117:104**

32:26, 26:31, 30:30, 29:17

**საკრამენტო:** მარტინი (27 ქ), არტესტი (22 ქ), მილერი (15 ქ), დუბი (15 ქ), სალმონსი (13 ქ).
**იუტა:** ბუზერი (23 ქ. 12 მ), უილიამსი (18 ქ. 9 პ), კირილენკო (14 ქ. 2 დ), პარკინსი (13 ქ), ოკური (11 ქ), ჰარპრინგი (11 ქ), მილსეპი (6 ქ. 4 დ).

**დენვერი-ვაშინგტონი 111:100**

30:16, 26:31, 32:25, 23:28

**დენვერი:** ენტონი (49 ქ), აივერსონი (18 ქ. 11 პ), მარტინი (16 ქ), კლეიზა (10 ქ), კემბი (6 ქ. 17 მ).
**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (21 ქ), იანგი (19 ქ), სტივენსონი (15 ქ), სონგაილა (15 ქ), ბლეტჩი (14 ქ. 10 მ).

### 9 თებერვალი

**იუტა-ჩიკაგო 97:87**

24:22, 25:17, 23:26, 25:22

**იუტა:** ბუზერი (22 ქ. 12 მ), დ. უილიამსი (15 ქ. 11 პ. 2 ჩ), კირილენკო (15 ქ. 2 დ), კორვერი (10 ქ. 4 პ. 2 ჩ), ჰარპრინგი (10 ქ).
**ჩიკაგო:** სეფოლოშა (22 ქ. 7 მ. 4 პ. 2 ჩ), ნოჩიონი (14 ქ), ჯო სმიტი (14 ქ. 4 მ), დიუჰონი (11 ქ. 8 პ. 4 ჩ), ბ. უოლასი (9 ქ. 7 მ. 3 დ. 2 ჩ).

**ინდიანა-პორტლენდი 101:93**

20:20, 31:28, 20:15, 30:30

**ინდიანა:** გრეინჯერი (29 ქ. 3 ჩ), დიენერი (15 ქ. 9 პ), მერფი (13 ქ. 8 მ), მ. დანლივი (11 ქ), ფოსტერი (10 ქ. 14 მ), რაში (10 ქ. 11 მ).
**პორტლენდი:** ოლდრიჯი (21 ქ. 12 მ), უებსტერი (18 ქ. 8 მ), ჯეკი (15 ქ. 10 პ. 2 ჩ), აუთლო (15 ქ), ფრაი (14 ქ).

**ფილადელფია-კლიპერსი 101:80**

29:25, 30:15, 23:26, 19:14

**ფილადელფია:** უილიამსი (18 ქ), ა. მილერი (17 ქ. 9 პ. 5 მ), დალემბერი (16 ქ. 6 მ. 4 დ), იგუოდალა (15 ქ. 7 მ. 2 ჩ. 2 დ), უ. გრინი (11 ქ. 6 მ. 3 ჩ).
**კლიპერსი:** მაგეტი (26 ქ. 2 ჩ), მობლი (19 ქ. 2 ჩ), ტორნტონი (18 ქ. 10 მ), კამანი (4 ქ. 11 მ).

**ნიუ ჯერსი-მემფისი 112:99**

22:20, 26:22, 33:29, 31:28

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (33 ქ. 10 მ), სტოიაკოვიჩი (26 ქ. 3 ჩ), პარგო (13 ქ. 2 ჩ), არმსტრონგი (11 ქ. 2 დ), რ. ბატლერი (10 ქ. 2 დ), პოლი (2 ქ. 16 პ).
**მემფისი:** გეი (26 ქ. 6 მ), მ. მილერი (18 ქ. 6 მ. 5 პ), კონლი (16 ქ), მილიჩიჩი (14 ქ. 7 მ. 3 დ. 2 ჩ), უორიკი (12 ქ).

**მილუოკი-ნიუ იორკი 98:99**

25:26, 25:22, 31:26, 17:25

**მილუოკი:** რედი (21 ქ. 3 ჩ), ვილანოვა (21 ქ. 13 მ. 2 დ), ჩ. ბელი (17 ქ. 7 პ. 2 ჩ), დ. მეისონი (15 ქ. 7 მ. 2 ჩ), ბოგუტი (9 ქ. 6 მ. 4 დ).
**ნიუ იორკი:** კროუფორდი (30 ქ. 5 პ), ფ. ჯონსი (18 ქ. 6 მ. 2 დ), ლი (17 ქ. 9 მ), ზ. რენდოლფი (12 ქ. 10 მ), კარი (11 ქ).

**ჰიუსტონი-ატლანტა 108:89**

31:21, 25:10, 32:24, 20:34

**ჰიუსტონი:** მინი (28 ქ. 9 მ. 2 დ), მაკგრეიდი (15 ქ. 8 პ), სკოლა (14 ქ. 9 მ), უელსი (11 ქ. 6 პ), ალსტონი (10 ქ. 5 პ).
**ატლანტა:** ჩილდრესი (18 ქ), ზაზა ფაჩულია (11 ქ. 9 მ), ჰორფორდი (8 ქ. 8 მ).

**გ. სტეიტი-საკრამენტო 105:102**

28:19, 23:27, 27:32, 27:24

**გოლდენ სტეიტი:** მ. ელისი (34 ქ. 9 მ. 5 პ), ს. ჯექსონი (26 ქ. 6 მ), ე. ჰარინგტონი (13 ქ. 7 მ), ბ. დევისი (10 ქ. 9 მ. 7 პ), ბიედრინში (9 ქ. 9 მ).
**საკრამენტო:** ბიბი (24 ქ. 7 პ), არტესტი (23 ქ. 13 მ. 3 ჩ. 2 დ), სალმონსი (19 ქ. 8 მ), ბ. მილერი (10 ქ. 13 მ. 2 ჩ).


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად მათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი



ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონისტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge



ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა